


652  
1969/2




ඩීජිත්‍යාච්‍යාන ප්‍රතිඵලි



1969 5

5

ଶ୍ରୀକୃତ୍ତବ୍ୟାକୁମାରୀ



**1969**

11.817

ପ୍ରକାଶନ କମିଶନ - ଉତ୍ତରପ୍ରଦେଶ

ଭାବୁରେଣ୍ଟାଫ୍ରିଟଗଲ୍-ମ୍ସକାନ୍ତର୍ଗଲ୍ବ ଦା  
ସାହିତ୍ୟରେଣ୍ଟାଫ୍ରିଟଗଲ୍-ମ୍ସକାନ୍ତର୍ଗଲ୍ବ ଦା  
ସାହିତ୍ୟରେଣ୍ଟାଫ୍ରିଟଗଲ୍-ମ୍ସକାନ୍ତର୍ଗଲ୍ବ ଦା

ରେଧାଖ୍ଯବନ୍ଦି

ଅ. ଶବ୍ଦିମା

ସାରେଧାଖ୍ଯବନ୍ଦିମା କରିଲୁଗିଲା:

ବ. ଆବ୍ୟନ୍ତିରିକି

ଢ. ପାରଶାନିଦେ (୩/୩ ମଲିଗାନି).

୪. ଲାକିମା

୫. ହାବ୍ୟନ୍ତିରିକି

୬. କାଲିବାଜି

# თოეზია—უპირველეს ეთვლისა!

ამ პოეტური დევიზით ტარდება ქართული ლექსის დღესას-  
წული — რუსთაველის დღე. ლალად უდერს მეგობრობის,  
ძმობის, სიყვარულის ჰიმნი, ქართველი ხალხის უკვდავების  
შაგალობელი.

მაშია ეპრანიძე

## დ ი დ ე ბ ა შ ე ნ დ ა!

შენ ზღვა სიბრძნე ხარ ღილი რუსთველის,  
ბარათაშვილის ღელვა და შფოთვა.  
ჩაგეხუტები, ჩამეხუტები  
ჩემო სიმღერავ და სულის მოთქმავ.  
შენ არ დალეწე ციხე ქაჯეთის.  
არ ქმენ საქმენი შენ საგმარონი?!  
მომესალბუნე, შენ გეაჯები,  
ჯამბანე შენი ტაძრის მირონით.  
შენ ხარ აკაკის ჩანგი ღვთიური,  
ვაჟას დიადი სულის ნათება.  
შენი ბუბუნი, ვით ღედის ნანა,  
მე საფლავშიაც მომენატრება.  
ხან სიცილი ვარ, ხან ჩაფიქრება,  
ხან ვცემ ნალარას, ხან ვიცრემლები...  
რომ არ ვიმღერო, როგორ იქნება  
„ნიკორწმინდა“ ან „ლურჯა ცხენები“.  
შენ მაგალიბებ, ვისზეც ვიფიცებ,  
ვისი თვალებიც მე გულსა მთხოვენ.  
ჩემო სილბოვ და ჩემო სიმტკიცევ,  
შენა ხარ ჩემი ვეფხური ღონე.  
ღიღნი ტაძარი შენით აშენდა,  
ნუმც მოგვკლებოდეს შენი წყალობა.  
ო, პოეზიავ, ღიღება შენდა,  
ჩვენთა საფიცარო წმინდა გალობავ!



## ქართული მუსიკი

### ვ ე ნ ღ ე მ ი ლ ო ც ე

მეძახი შენ და  
შენსკენ ვიჩქარი,  
შენი ნუგეში არ დამელევა,  
შენ — ჩემო ერთო თეთრო ცისკარო  
და ჩემი სულის არღაბერებავ.

შენ, საოცნებო მთებო და ჭალავ,  
ჩაუქრობელი შუქით იელვეთ!  
მამულო ჩემო, შენ გვაძლევ ძალას  
შენით ამაყებს და ბედნიერებს.

მამულო ჩემო, ჰყვაოდე მარად,  
ოქრო დაისხას შენმა ყანებმა!  
შენს საღიღებლად,  
შენს გასახარად  
სიცოცხლე როგორ დამენანება?!

დაგჭირდეს, —  
წვეთი წყალივით შემსვი,  
დაგჭირდეს, —  
მთებში ნიავად ვქროდე.  
შენ დამილოცე გული და ლექსი  
და არც გიმტყუნებს, — იმედი გქონდეს.



## დ ე ს დ ე ბ ა ა ს ე ც ...

ზღება ასეთი ამბავიც ზოგჯერ:  
 ვერ იტყვი ძველს და  
 ვერც იტყვი ახალს.  
 თითქოს ვაგონებს და ენა მოგჭრეს,  
 და თავად გიყვირს თუ როგორ წერდი,  
 რით მიგაბამდა სიტყვა მაგიდას.  
 ნუთუ შენს სულში ჯდებოდა ღმერთი,  
 ღამარაკობდა ის შენს მაგივრად?  
 ასეთი რამეც დაგემართება:  
 რათმებით სული აღარ გათბება,  
 რადგანაც სიტყვა ძნელი და ჯიქი  
 წამოიქცევა ვითარცა ჭიქა.  
 შინვლი: დაგადო მაშინ სასჯელი  
 სიტყვამ, რომელიც ცუდად გასჭერი,  
 შოათრიე და ჩაგდე ლოდად  
 ლექსში, რომელიც მას არ უნდოდა.



## ზერაბ გორგოლიძე

### მ ა ჩ ვ ე ნ ე თ

დაბინდდა!...

ხის კატრებს ჩიტები მოესია,  
ატყდა ურიამული, დაისის პოეზია  
მთვარე...

ცის ყვავილი სრულ სიმყუდროვეშია,  
მიმოდის მიმოზა სიჩუმის პოეზია.

ტბაში კენჭს ჩავაგდებ —  
ლოდები ყორეზეა,  
ლოდი დაცურდება, ხმაურის პოეზია.

სივრცის დემონები —  
ფრთებით შუბლს მოესმიან,  
თვალები გაქვავდება, ფიქრების პოეზია.

ცისფერი გამები დაფნების კონებშია.

წკრიალებს წვიმები, მუსიკის პოეზია.

ბალახის ბუდეები ჭადრების რტოებშია,  
დაბლა მოლს მისთელავს, ასაკის პოეზია.

დარეკავს ქუჩები...

მზე წითელ გორებზეა,

და დავობს ვიღაცა, ცხოვრების პოეზია.

გათენდა!...

ხის კატრებს მზის მართვე მოესია,

მაჩვენეთ, ხად არის უსაგნო პოეზია.



## პ რ ე ტ ი

გუძღვის ნესტორ მალაზონიას.

ავდარია თუ მზეა თაკარა,  
 თუ გაზაფხულის ფრთებით ვირთვებით,  
 მოჩქეფს, ვით ბროლის წყარო ანკარა,  
 პოეტის გულის მარგალიტები.  
 მისგან დაძრული სიტყვა გვალალებს,  
 მისი ლამაზი ელვა ფრთიანი,  
 სამშობლოს მინდვრებს, მთებს, იალალებს  
 ედება სუნთქვა ზარნიშიანი.  
 ქართული ლექსის ადგილის დედა  
 დასაბამიდან ხალხის გულია,  
 მაგრამ იმ სიტყვას პოეტი სჭედავს,  
 პოეტის სისხლში გამოუვლია.  
 მაში, ამოადნე ოქროს ზოდებად,  
 მგოსანო, შენი გულის ქონება,  
 ისევ გეძახის დედასამშობლო  
 წინამძღვრად,  
 მეკვლედ,  
 შთამავონებლად...

ქართული ლექსის წმინდა ტაძარი  
 დიდებულია და იღბლიანი,  
 შიგ ბულბულების ისმის გალობა  
 და გარეთ გრგვინავს სიტყვა ხმლიანი...  
 ჩვენ ლექსი ხმალზე ვერ მოვათავეთ,  
 რადგან სხვის ხელში იყო სადავე...  
 ქართული ხმალი, ვით ბასრი ელვა,  
 ხელში ეჭირა პოეტს და მებრძოლს,

იყო ქუჩილი, მტვრევა და ძლევა,  
 რომ მტერს ხალიბის ფოლადი ეგრძნო  
 იქნებ, ვინ იცის, ხმალი, ხანჯალი  
 მუდამ ვერ იყო ომახიანი,  
 მას ელვარება პოეტმა მისცა,  
 ხმალი ლექსებში გახდა ფხიანი.  
 თავისუფლების წმინდა ემბლემას  
 ღიღხანს აწროობდა ვაჟა, ილია,  
 ღიღი აკაკის ლექსის სტრიქონიც  
 ხმლის ელვარებით გაპოხილია...  
 დღეს საქართველო შზის სურნელებით  
 გვაქვს ბოძებული, როგორც ნობათი,  
 ვამბობთ — სხვა არის მისი ველები,  
 ვამბობთ — სხვა არის მისი მყობალი...  
 მაგრამ ხომ გვახსოვს, სიტყვა ალმასი  
 ზარით, ქუჩილით მტერს მიჰყიოდა,  
 გვახსოვს, ლექსები ბრძოლით, განგაშით,  
 წინ, შეტევაზე გადადიოდა,  
 ღიღება მგოსანს, ვისი ნალირაც  
 ელვად უძლოდა ფრთამალ არწივებს,  
 სიმართლისთვის რომ სისხლი დაღვარეს  
 და გამარჯვების დროშა არწიეს.  
 მათი ხმა თითქოს დღესაც მომესმის  
 ომახიანი და შემართული,  
 მაგრამ ვინ იტყვის, იმ ფიცხ ბრძოლებში  
 არ იბრძოდაო ლექსიც ქართული!  
 ვინ იტყვის, ლექსი ქვეყნის დარაჯად  
 არ იდგა მეღგრად, ელვა-მეხურად,  
 ომის დროს მასაც ეცვა ფარაჯა,  
 ნამუსიანი ქუდი ეხურა!

კვლავ თუ დაგვჭირდა სიტყვა ალური,  
 კალმის ტალკვესით ცეცხლის გაჩენა,  
 კვლავ შთაგონება ლეგენდარული  
 ჯავშანში ჩასვამს ამ ჩვენს მარჯვენას.  
 გამოვალთ ველზე სიტყვის მახვილით,  
 მტერთან სარკენად, საჭიდილოზე,  
 დედასამშობლოს გადაძახილი  
 კვლავ ამირანის ძალას გვიბოძებს...

ხომ არ დაბერდი, ძმაო მგოსანო,  
 წინ სიხარული გველის მრავალი,  
 დამწიფებული ველი მოსავლის,  
 დილა ნათელ მზით ამომავალი.  
 წინ ველებია თავთუხიანი,  
 მამა-პაპური ზვრები, მინდვრები,  
 მართალ გულით და სიტყვით ფხიანით  
 ამ ლორთქო ყანებს ისევ სჭირდები.  
 მთებს აკვირდები,  
 ბარს ზურმუხტოვანს,  
 ცას, ტოროლებით უბეავსებულს,  
 სჭირდება შენი ოქრომჭედლობა  
 გმირის მარჯვენას,  
 დედის საკსე გულს.  
 ხმა გაიკაუე, ძმაო მგოსანო,  
 ეს ცხელი სისხლი განა წყალია,  
 ახალ სიმღერას ელის ქვეყანა,  
 დასაბერებლად აღარ გცალია.  
 რომ დაესევა ცაცხვებს ფუტკარი,  
 დაეკიდება ზეცას მერცხლები,  
 ამოაბრუნებს ყამირს გუთანი, —  
 ამ სილამაზეს სად გაექცევი?!

შენი სახლის წინ დამწიფდა სურო,  
 ყვითელ ნისკარტით კრეფენ ჩიტები,  
 ამას ათას წელს უნდა უყურო,  
 თვალი გალალდეს ამ დღის დიღებით...

გზებზე ფარდაგად მწვანე მოლია,  
 პოეტს ქარიშხლის გზები უვლია,  
 პოეტის მთები დაუთოვია,  
 პოეტის სულში გაზაფხულია.



## გემი „რუსთაველი“ ბათუმის ნავსადგურში

ზეცა ჩამოაქვს ზღვაზე /თოლიებს,  
 ტალღა შრიალებს როგორც თაველი  
 და დატვირთული ხალისით, თრთოლვით  
 ლურჯ ნავსადგურში დგას „რუსთაველი“.

შლის სიზმარეულ ფერად იალქნებს  
 და დგას ამაყად როგორც შეჰფერის,  
 დგას ისე როგორც ციხე-სიმაგრე,  
 შმაგ ზვირთებისგან აუღებელი.

და დილის სუნთქვა ჩქერებს დაივლის  
 თუ მწუხრის ქარი ჩამოიქროლებს, —  
 ზღვათა სხეულზე წერს „რუსთაველი“  
 სიყვარულის და ძმობის სტრიქონებს.

...ცვივა თოლიებს თეთრი ფანტელი,  
 ზღვას რუსთაველი გაჰყვა თრთოლვითა  
 და მისი ანდა არის ანტენა,  
 მგოსნის დიდებას იჭერს რომლითაც.  
 პლანეტის ყველა მერიდიანზე.



# გისი ნაამბობი

ბალუჯისტანისაკენ მიმავალი მგზავრი უთუოდ ქერმანის პროვინციას გაივლის და ჩვენც ამ პროვინციაში მოვხვდით. აქაურობა ისევე გადამსარ-გადარუჯულია, როგორც სხვა ბევრ ადგილას. მოსავალი მოჰყავთ დიდი ვაი-ვაგლახით. ყველა სახნავ-სათესი უნდა მორწყონ. მიუხედავად ამისა, მანც მოჰყავთ იმდენი, რომ თავი შეინახონ და ცოტაოდენი ბაზარზეც გაიტანონ.

პროვინციის ცენტრი ქალაქი ქერმანია. ქალაქი ოდესაც ცნობილი და იმ დროის შესაძარად კეთილმოწყობილი. ირან-ინდოეთის გზა. ამ ქალაქზე გაივლიდა და საფაჭროდ დაძრული ქარავნები ყველაზე საიმედო თავშესაფარსა და მომსახურებას აქ პოულობდნენ.

ჩვენი მისვლისას ქალაქი მიძინებულს ჰგავდა. რამდენიმე კუსტარული საქსოვი ფაბრიკაც კი უმოქმედოდ იყო.

ცხელოდა. მიწას ალმური ასდიოდა, ჰაერში მტვრის ბული იდგა და სუნთქვა სჭირდა, მაგრამ ადგილობრივი მცხოვრები ამ სიცხეს ცხელი ჩაის სმით იგერიებდნენ და ჩვენც ჩაიხანას შიგაშურეთ.

ხალხი ბლომად ირეოდა, გარუჯული სახის ადამიანები ოფლად იღვრებოდნენ, მაგრამ ამას არაფრად აგდებდნენ და ცხელ ჩაის ისე ეწაფებოდნენ, როგორც მოწყურებული ცივ წყაროს.

ერთ ადგილას ჩამოვსხედით და საუზმე დავუკვეთეთ.

საუზმის დროს შევნიშნე, რომ იქ მყოფთა ყურადღება მიქცეული იყო ერთი საკმაოდ მოხუცებული კაცისაკენ, რომელიც ჩვენს მახლობლად იჯდა და ფინჯანით მირთმეულ ჩაის დინჯად შეექცეოდა.

— რაშია საქმე? — შევეკითხე ონიკაშვილს. — რას მოელიან მაგ მოხუცისაგან?

— ძველი ამბების მომყოლია, — მიპასუხა აბასყულიმ, — ალბათ რაიმე საინტერესოს იტყვის.

მართლაც, მორჩა მოხუცი ჩაის სმას, სკამზე გასწორდა, აქეთ-იქით მიმოავლო თვალი და ხმამაღლა დაიწყო:

\* დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული აჭარა“, № 4.

— ქერმანო! დიდო ქერმანო! ოდესლაც შენ ისე განთქმული და ქლიერი იყავ, რომ მთელი ქვეყნის ლომები შენს ბოძზე იყო მიბმული, მთელი აღმოსავლეთის საკუჭნაო და ხაზინა შენ გქონდა ჩაბაოებული. შენს ოთხივე ალაყაფის კარებში ყოველი მხრიდან შემოდიოდა დატვირთული ქარავნები. მუსიო ფრანგები და ინგლისელები, ბერძნები, იტალიელები და გურჯები აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს. შენ იყავ ჭიშკარი აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის, შენი ნახვა და გაცნობა იყო ყველასათვის სასურველი და სანატრელი.

მოხუცმა ლრმად ამოითქვა სული და დაუმატა:

— დღეს ჩალაა შენი სიცოცხლე. შემს გარშემო შემოკრებილ ტომებიდან მეტად მცირე ნაწილი დარჩენილა. აღარ ელტვიან შენს კარებსა და ჭიშკარს, აღარ მოდიან ევროპიდან და ინდოეთიდან ძვირფასი საქონლით დატვირთული ქარავნები... ეჭ, ქერმანო, ქერმანო, ინდოეთისა და კავკასიის კლიტევ, საღლაა შენი დიდება და სახელი.

მოხუცმა ნალვლიანად ამოიოხრა და დადუძდა.

ჩას მომტანმა ბიჭმა სინი ჩამოატარა და მოხუცის სასარგებლოდ შეწირულება შეაგროვა, რომელშიაც რასაკვირველია ჩვენი გროშებიც მოხვდა.

მიუხედავად აუტანელი სიცხისა ჩვენ გზა განვაკრძეთ. გავიარეთ რამდენიმე დასახლებული ადგილი, ზოგან მეტად ლამაზიც... და საღამოს სოფელ კარაურაკში მივედით. ეს სოფელი ყველაზე უფრო მომეწონა, როგორც მდებარეობით ისე მისი ბალ-ნარგავებით. ყველაზე მეტად რაც ამ სოფელს ამშვენებდა, ეს იყო საკმაოდ მოზრდილი მდინარე, რომელიც შეუ სოფელში მიედინებოდა.

— ამაღმ აქედან არ მივდივართ, — განვუცხადე ჩემს თანამგზავრებს და ისინიც კმაყოფილნი დარჩენ, რომ ასეთი გრილი ადგილი ავირჩიე.

მოვძებნეთ ჩაიხანა და ჩვენი მანქანით მის წინ დავბარგდით. რასაკვირველია ჩვენი სტუმრობა ჩაიხანის პატრონს ძალიან ესიამოვნა. მაშინვე მოგვეგება და კარგი სამსახური შემოგვთავაზა.

ძალიან მოქანცული ვიყავით. მასპინძელს ვთხოვე ჩემთვის. აივანზე გაეშალა საწოლი და ერთი ფინჯანი ჩაი მოეტანა.

ჩემი მხლებლები იადულა და აბასყული ჩაიხანის პატრონს ქვემო სართულში ჩაყვნენ და იქ დანაყრდნენ.

ჩაიხანის პატრონს მათვეის ვინაობა უკითხავს და ამათაც უპასუხიათ.

— როგორ, — გაკვირვებია მასპინძელს, — ჩვენი ძველებიც ხომ ფერეიდონელი ქართველებია! — და შემდეგ თავისი გვარი უთქვამს.

— თავაძე?! — ახლა იადულა, გაფართოვებია თვალები. — მეც

ხომ თავაძე ვარ. — და ეს ორი ერთი გვარის ქართველი ერთმანეთს გადახვევია.

— ის ვინდაა? — ახლა ჩემი ვინაობით დაინტერესებული მასზე კინძელი.

— ის ჩვენი ძველი ქვეყნიდან, დიდ საქართველოდან არის. — უპასუხნია ონიკაშვილს და ეს საბრალო მასპინძელი კიდევ უფრო გაუკვირვებია.

— ეს რა ვნახე, ეს რა ბედი მეწია! — ალფროვანებული ჩაიხანის პატრონი თავზე დამადგა. — თქვენ გურჯი ხართ? თქვენ ჩვენი ძველი სამშობლოს მიწიდან მოსული? ჩვენი ნათესავი და მოკეთე?

მე ვუპასუხე.

— ჩვენ ამ სოფელში ორასი კომლი გორგიჯები ვართ. წინათ გურჯებს გვეძახდნენ, ახლა გორგიჯები ვართ. — და მასპინძელი მოჰყვა. — როცა ჩვენები ფარსებს ტყვედ წამოუყვანიათ, მაშინ ისინი ქრისტიანები ყოფილან. იქნებ არც დაიჭეროთ, ჩემი წინაპარი მღვდელი ყოფილა. დიდი წვალება გამოუვლია უბედურს. ძალიან უწამებიათ, მაგრამ თავისი სარწმუნოება საფლავში ჩაუტანია. ჩაუტანია შეუბლალავი და შეურცხვენელი. ჩვენ კი... ძალა რას არ გასტეხს. — ნაღვლიანად დაუმატა მან. — ვიცი ნაკლებად დასაჯერებელი ამბავია, მაგრამ მე შემიძლია დაგიმტკიცოთ, რომ არ ვტყუი. — ბოდიში მოიხადა, ახლავე მოვალო შეგვბირდა და სადღაც გაქრა.

— აი მოვედი. — რამდენიმე წუთის შემდეგ გამოცხადდა იგი და მაგიდაზე რაღაც შეხვეული დადო. — იცნობთ რაც არის. — ჯერ სუთ-თა ჩვარი შემოაცალა, შემდეგ გასანთლული ქალალდი და ჩვენს წინ აკიაფდა ძველებურად მოჩუქურობებული ხის ჯვარი და ჩარჩოში ჩამული ღვთისმშობლის ხატი. ღვთისმშობელს პატარა იესო უჭირავს ხელში.

— ეს არის ჩვენი ქართველობის დამამტკიცებელი საბუთი და თაღბიდან თაობამდე გადავვაქვს ეს ძვირფასი განძი... — კარგად დააცერდა ღვთისმშობლის გამოსახულებას და შემდეგ მე შემომხედა. — იცით რა ძალის მქონეა, რა სასწაულს ახდენს? ფეხმძიმე ქალი, რომელსაც მშობიარობა გაუძნელდება, ამ ხატით პოულობს შველას. როგორც კი მიაშველებენ, მაშინვე დაიძვრის ბავშვი და ქალი თავისუფლდება. — ეს განძი ისევ სათუთად შეახვია და მოწიწებით შეინახა.

— თუ არიან ამ კუთხეში ისეთი გორგიჯები, რომლებმაც ქართული იციან? — შევეკითხე მე ამ მაკმაღიან ქართველ პატრიოტს.

— არიან, არიან. — მომიგო მან. — ხვალ დილით მე თქვენ ასი წლის მოხუცს მოგიყვანთ, რომელიც ამბობს ქართული ვიციო.

მე მაღლობა გაღავუხადე და ვთხოვე, იქნებ სხვებიც იპოვნო ასეთი მეოქი.

ამ საუბრის შემდეგ მასპინძელმა ნამდვილი მასპინძლობა გამოიჩინა. რაც კი შეეძლო, ყველაფერი მოგვართვა და გაგვიმზადა. მეორე დღეს, ჯერ კიდევ საუზმე არ მიგველო, რომ ორი მოხუცები მოგვიყვანა და გაგვაცნო.

— მე ამ სოფლის ხანი ვარ. — მითხრა ერთმა მათგანმა, რომელიც ქართულს ძლივს ამტვრევდა. — ჩემი ძველი გვარი ასლანიშვილია. შვილი ძმა ვართ. ორი ოჯახში ვმუშაობთ, ხუთი ძმა კი ინგლისელებთან — ტელეფონის ხაზზე.

მეორე მოხუცი ქართულს უფრო კარგად ლაპარაკობდა.

— ჩვენი წინაპრები დიდი ხანი არაა რაც ფერეიდონიდან გადმოსახლებულან ამ კუთხეში. — მითხრა მან. — ჩემი ძველი გვარი ხუციშვილია. სოფელ ახჩიდან, ფერეიდონშია. სახელად იბრაჰიმი მქვია.

მოხუცებმა ბევრი რამ საინტერესო მიამდეს აქაური ქართველების შესახებ.

— ჩვენი ძველები მეტად ყოჩალნი და მებრძოლნი ყოფილან. — დაიწყო მოხუცმა ხუციშვილმა. — აქაურ მომთაბარე ტომებთან შებრძოლების უნარი მხოლოდ მათ ჰქონიათ. ამიტომაც ჩამოუსახლებია შაპს ამ მხარეში ქართველები და აქაურობის დაცვა დაუვალებია. ქართველები აქედან გადასულან პაკისტანსა და ავღანისტანში, სადაც სოფლები გაუშენებიათ და დასახლებულან. ორმოცი ათასი კომლი ქართველი მაჰმადიანია ამჟამად გაბნეული ამ ქვეყნებში და თავიანთი წინაპრების ჩვევებსა და ტრადიციებს ინარჩუნებენ.

მე დამაინტერესა მათი ცხოვრების მატერიალურმა და კულტურულმა მხარეებმა.

— ახლა არაგვიშავს. — მიპასუხა მოხუცმა, — რაც მთავარია, ჰავას შევეგუეთ, სამოსახლო ადგილები კარგი გვაქვს, გვყავს პირუტყვი, ცხვარი, აქლემი, ვირები, ძროხები. ხეხილიც გვაქვს გაშენებული, ვენახიც. პალმების წვენიდანაც კარგი შემოსავალი გვაქვს, მაგრამ სწავლა-განათლების მხრივ ნამეტანი ჩამორჩენილები ვართ.

მოხუცებმა სინანული გამოთქვეს, რომ ქართველები ცოტანი არიან და ხშირად ესხმიან მათ თავს ცალკეული მომთაბარე ტომები. ერთხელ ექვს მწყემს უურჯს ასამდე ავღანელი დასხმია თავს და საქონლის მოტაცება მოუნდომებია. მწყემსებს გორგიჯებისათვის კაცი გაუგზავნიათ და შველა უთხოვნიათ.

მაშველი ძალა მალე გამოჩენილა. შებმიან ერთმანეთს მომხდურ-დამხდურნი და სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღებულა. გორგიჯებს გზა მოუჭრიათ ავღანელებისათვის და გამოუვალ მდგომარეობაში ჩა-უყენებიათ.

ბრძოლა იმით დამთავრებულა, რომ გორგიჯებისათვის დაზავება

უთხოვნიათ და რამდენიმე სული საქონელი მიუციათ ზარალის ასა-  
ნაზღაურებლად.

— მას შემდეგ ვეღარ ბედავდნენ ჩვენს საქონელზე თავდასხმასა  
და გატაცებას. — დაუმატა მოხუცმა.

ჩვენი საუბარი კარგახანს გაგრძელდა. ბევრი საინტერესო ამბავი  
მოვუყევით ერთმანეთს.

— ახლა კი ჩვენს ოჯახებსაც უნდა გაეცნოთ. — შემომთავაზა ხუცი-  
შვილმა და ასლანიშვილს შეხედა.

— რასაკვირველია. — დაუდასტურა ასლანიშვილმა. — ამ სიშო-  
რიდან ჩამოსული ჩვენი ნათესავი რომ ოჯახში არ გვესტუმროს, როგორ  
შეიძლება.

მე მადლობა გადავუხადე და უარის თქმა დავაპირე, მაგრამ ეს მე-  
ტად უხერხული იყო და, რადგანაც მათი ოჯახის ნახვა-გაცნობა ჩემ-  
თვისაც საინტერესო იყო, დავეთანხმე.

პირველად /ამ სოფლის ხანისას, ასლანიშვილისას მივედით.

ხანს ერთსართულიანი სახლი ედგა. წინ სასტუმრო დარბაზი, აქეთ-  
იქით სხვადასხვა ოთახები. იატაკი და კედლები მოფენილი იყო ძვირ-  
ფასი ხალიჩებითა და აბრეშუმის ქსოვილებით. დარბაზის ოთხივე კუთ-  
ხეში თითო სკივრი იდგა, რომლებზედაც გადაფარებული იყო გარეული  
თხის კარგად დამუშავებული ტყავი. კედელს ამშვენებდა ძველებური  
ფარი, შუბი, ხმალი, კაჟიანი თოფი, დამბაჩა, ტყვია-წამლის ჩასაყრელი  
ტყავის პარკები და წყლის ჭურჭელი — მოზრდილი მათარა.

— ყველაფერი ეს ჩვენი წინაპრების ნაქონია და მათ სამახსოვროდ  
შემოგვინახავს. — მითხრა ხანმა და მკითხა, თქვენ თუ გაქვთ მამა-პაპა-  
თა სახსოვრად შემონახული ასეთი განძიო.

გვერდით მოზრდილი ოთახი იყო, იქიდან დიდრონი მუთაქები გა-  
მოიტანა მასპინძელმა და ამ დროს დავინახე, რომ ოთახი სავსე იყო ძვი-  
რფასი საგებ-სახურავით. კედლებზე თვალი ვკიდე ქალების ტანსაც-  
მელს, გრძელ კაბებსა და ლამაზ ქულაჯებს.

ეზოში მოთამაშე გოგო-ბიჭი დავინახე და მასპინძელს ვთხოვე,  
ისინი ჩემთან მოეყვანა.

— რა გჭვია შენ გოგონა? — ვკითხე ბავშვს.

— მასიმა. — მიპასუხა ბავშვმა და დიდრონი შავი თვალები შემო-  
მანათა.

— მე ფაპრადი მქვია. — შეუკითხავად მითხრა ბიჭმა და თავი  
დაპირა, მე მას თავზე ხელი გადავუსვი და მივეალერსე. გოგონამ იწყი-  
ნა ეს და საყვედურით აღსავსე თვალებით შემომხედა.

— შენც კარგი გოგონა ხარ! — ვუთხარი და ახლა მას მოვეალერ-  
სე. მერე ისინი ერთად დავაყენე, ცქერა დავუწყე.

— რათ გვიყურებ ასე? — გაიკვირვა ბიჭმა.

— მინდა გავიგო, თქვენში რომელი უფრო გავს ქართველს.

გავულიმე მე.

— ესეც ქართველია, მეც ქართველი ვარ. ორივენი გურჯები ვართ  
— თამამად მომიჭრა გოგონამ.

— მართალია, თქვენ ნამდვილი ქართველები ხართ, მაგრამ ქარ-  
თული რომ არ იცით...

— გვასწავლეთ — წამოიძახა ბიჭმა.

— ვისწავლით — დაუმოწმა დამ.

ბავშვები მართლაც ძალიან გავდნენ ქართველ ბავშვებს. ისეთი შა-  
ვი და ეშხიანი თვალები, თხელი ტუჩები და ბროლივით თეთრი კბილები  
ჰქონდათ, იშვიათად შევხვედრივარ ირანში მცხოვრებ ქართველებს შო-  
რის ისე შემონახულსა და დაცულ ქართულ სახეებს, როგორც გორ-  
გიჯებში.

ცოტა შესვენების შემდეგ ეზოში გამოვედით და გავიარეთ. ამ  
დროს მეზობლების ქალები სახლის ფანჯრებს მოაწყილნენ და დაგვიწყეს  
ჭვრეტა. ალბათ ძალიან სურდათ დაენახათ შორეული სამშობლოდან  
მოსული სტუმრების სახე, მაგრამ ამის ნებას სარწმუნოება არ აძლევდა  
და არც მათი ქმრები დათანხმდებოდნენ, დაერღვიათ წლობით დამკვი-  
ლრებული ადათი.

მეც ძალიან მსურდა აქაური ქალების სახის დანახვა, მსურდა აღმე-  
ლგინა ქართველი ქალის ისტორიული სახე, მაგრამ ამ სურვილის გამხე-  
ლაც კი ვერ გავბედე.

მაგრამ აი. აგერ ერთი სტუმარი ეწვია ჩვენს მასპინძელს. დროებით  
მან ჩვენ მიგვატოვა და ახალ მოსულთან მივიდა. ეს შენიშვნეს ქალებმა,  
მოიხსენეს პირსაფარი, მოადგნენ აივანს, დაგვიწყეს აქერა და ჩვენც მო-  
გვცეს საშუალება რამდენიმე წუთით გვეცეირა მათთვის. ეს გააკეთეს  
ჩემი პატივისცემის ნიშნად და ამ პატივისცემისათვის მე მათ შორიდან  
თავის დაკვრით მაღლობა გადავუხადე.

ჩვენს მასპინძელს სამი ცოლი ჰყავდა. თითოეული მათგანიდან ორ-  
ორი ვაჟი და სამ-სამი ქალი მისცემოდა. ასე რომ ის თხუთმეტი შვილი-  
სა და ოცდაათი შვილიშვილის პატრონი იყო. ექვს ვაჟში მხოლოდ ერ-  
თი იყო ასე თუ ისე ნასწავლი და მსახურობდა, დანარჩენები სოფლის  
მეურნეობას ეწეოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ პირუტყვი ბევრი ჰყავთ, პურიც მოჰყავთ,  
ხილიც ეშოვებათ, თავს მაინც მეტად საწყლად და დაჩაგრულად თვლიან.

სწავლა-განათლება, ადამიანური ცხოვრება სურთ და ენატრებათ.

აქაური ქალები მეტად ბეჭითნი არიან. შალ-აბრეშუმისაგან ისეთ  
რამეებს ქსოვენ, რომ ფაბრიკის ნაქსოვიდან ვერ გაარჩევთ. ოჯახს რა  
სახის ქსოვილიც სჭირდება, სულ თვითონ ქსოვენ. რძის ნაწარმიც კარგი  
გამოუდით. ბლომად ჰყავთ ქათმები, იხვები, ინდაურები და ბატები.

ნანის სახლიდან მანქანით წავედით ხუციშვილისას. სამი კილომეტრის გავლის შემდეგ შევედით სოფელში. აქ მთელი მოსახლეობა მდინარის პირას გამოსულიყო, კარვები დაედგათ და შიგ ცხოვრობდნენ.

— ზაფხულობით, ასეთ სიცხიან დღეებში ასე იქცევიან ხოლო აქაურები. — მითხრა ხანმა, რომელიც მიგვაცილებდა.

კარვებს შორის ერთი უფრო მოზრდილი შავი კარავი იდგა.

— ამაში მამასახლისი ცხოვრობს, — გვეუბნება ჩვენი თანამგზავრი. — ჩვენც მას უნდა ვეახლოთ პირველად.

დავუჯერეთ და მანქანა შავ კარავთან გავაჩერეთ.

მამასახლისი საქმეში იყო გართული. ორი ცხვარი დაეკლა და მცხოვრებლებს უნაწილებდა. წესად, თუ კანონად ჰქონიათ, საკლავს მამასახლისი ანაწილებს.

მანქანიდან ჩამოსული არ ვიყავით, რომ მამასახლისი და სოფლის თავკაცები გვეახლნენ. მოწიწებით თავი დაგვიკრეს და სალამი მოგვცეს. ჩვენც მივესალმეთ და მოვიკითხეთ. როცა გაიგეს მე საქართველოდან ვიყავი, აღტაცებულებმა ღმერთს მადლობა შესწირეს, სათითაოდ მოვიდნენ, ხელები მომხვიეს და გულში ჩამიკრეს.

ახლა მეორენაირი ცერემონიალი გაიმართა. საერთოდ ასე იციან შეხვედრისას: დამხვდურები დასხდებიან ერთ მხარეს, მოსულები ანუ სტუმრები — მეორე მხარეს. რამდენიმე წუთით მიაჩერდებიან ერთმანეთს, თითქოს ესაა უნდა წაიჩხუბონო, უტრიალებენ თვალებს ერთი-მეორეს და ბოლოს დამშვიდდებიან.

როცა ეს პროცედურა დამთავრდა, ერთი ყველაზე უხუცესი წამო-ღვა და მკითხა:

— ჩემი ხალხი როგორ არის? ღმერთის შეწევნით კარგად იქნებიან.

— და როცა ამის პასუხი მიიღო, ხელები აღაბყრო და ღმერთს მადლობა შესწირა.

მოხუცის შემდეგ ასეთი შეკითხვა რიგრიგობით ყველამ გაიმეორა.

ამ მოკითხვა-გამოკითხვის შემდეგ გაიმართა ზეიმი. მთელი სოფელი შეგროვდა. მოვიდნენ გრძელკაბებიანი და ფერად ხავერდისქულაჭებიანი ქალები, ახალგაზრდები, ბავშვები, ქალებს თავ-პირი აქაც ახვეული ჰქონდათ და თვალსაჭრეტიდან გვიცერდნენ. ერთმა ახალგაზრდამ მახლობელი კარვიდან ორი ფანდური გამოიტანა, ერთი თვით დაიჭირა, მეორე ამხანაგს მისცა და ორივემ დალოცვის სიმღერა გვიმღერა.

როცა მათთან შეხვედრით კმაყოფილებმა წასვლა დავაპირეთ, ერთ-მა მოხუცმა თავის შვილიშვილს დაუძახა და უბრძანა:

— გაიქეც სახლში, გამოიყვა ორი ცხვარი და როცა საქართველო-დან მოსული სტუმარი ეზოს წინ გამოივლის, ცხვრები მაშინვე დაკალი, სისხლი გზაზე მოასხი, ხოლო ხორცი მეზობლებს დაურიგე. ილო-

ცონ იმისათვის, რომ ჩვენმა ძმებმა საქართველოში გაიმარჯვონ და მე-  
ღნიერონ.

ახალგაზრდამ ბაბუას დავალება შეასრულა.

ამ სოფლიდან ვეწვიეთ ფერებიდონიდან გადმოსახლებულ ქართვე-  
ლებს. ამ სოფელში ცხოვრობდა ჩვენი ახალგაცნობილი მოხუცი ხუცი-  
შვილი, რომელიც თან მივყვებოდა.

მივედით ერთ პატარა სოფელში. სოფელს ირგვლივ მიწის ღობე  
აქვს შემოვლებული. შუა ადგილას ალაყაფის კარებია, კუთხეებში სა-  
თოფურები და კოშკები. თავდასხმის ღროს შეუძლიათ თავდაცვა და  
მტრის მოგერიება.

შევედით ამ შემორაგულ სოფელში. დავათვალიერეთ იქაურობა.  
მივედით ხუციშვილის სახლთან. სახლის კარები გაიღო და ერთი კაცი  
გამოგვეგება.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით. — ფართოდ გააღო მაა  
სახლის კარი.

ჩვენ სასტუმროში შევედით. იქაურობა ლამაზად იყო მოწყობილი.  
კედლება და იატაკი აქაც ხალიჩებითა და ფარდაგებით მოეფინათ.

ცოტა ხანი და გვერდით ოთახიდან გამოვიდა მასპინძლის მეუღლე,  
მალალ-მალალი, საქმაოდ ხანში შესული დარბაისელი ქალი და ქართუ-  
ლად მომესალმა.

— ბედნიერი იყოს თქვენი მობრძანება. ხომ კარგად იმგზავრეთ.  
როგორ ბრძანდებიან ჩემი ქართველი დები საქართველოში? ბედს ხომ  
არ ემდურიან. ვაუკაცებს თუ ზრდიან სამშობლოსათვის?

მაღლობა მოვახსენე. კითხვაზე პასუხი გავეცი და თავი დავუკარი.

დიასახლისმა ღმერთს მაღლობა შესწირა. შემდეგ მიბრუნდა, ყველა-  
ზე დიდი მუთაქა გამოიტანა და მომართვა. აქ სკამის ნაცვლად მიღებუ-  
ლია მუთაქები.

— თქვენ ჩვენი ძველების ქვეყნიდან ხართ და კარგად უნდა მოგია-  
როთ, — მითხრა მან და მთხოვა დავბრძანებულიყვავი.

გაიგეს თუ არა ჩვენი მისვლა, მთელი სოფელი შეგროვდა. მოვიდა  
ამ სოფელში ყველაზე უხუცესი და საპატიო მოხუცი ქალბა ჭაფარ-  
ყული. იგი ჩვენი აბასყულის ნაცნობი გამოდგა და უნდა გენახათ მათი  
შეხვედრა; მთელი საათი ეხვეოდნენ ერთმანეთს და ესიყვარულებოდნენ.

დავსხედით სახლში. მამასახლისი და ხანი კარებთან ჩამოსხდნენ  
და მოსულთ ჩემ თავს აცნობდნენ. შემოდიოდნენ რიგრიგობით, ხელს  
მართმევდნენ, მკითხავდნენ, ჩვენი ძველები როგორ არიანო, მაკვირდე-  
ბოდნენ, მათვალიერებლნენ და მოშორებით დგებოდნენ.

ამ სოფელში, როგორც ფერეიდონში, ყველა ქართულს ლაპარა-  
კობს და ქართული ჩვევებიდან ბევრი რამე არის შემონახული.

მოხუცმა ქალბა ჯაფარყულიმ მომიყვა ამ სოფელში ჩამოსახლე  
ბის ისტორია.

— ჩემი თაოსნობით მოხდა ეს. — დაიწყო მან. — ახალგაზრდობი-  
სას ჩალვადრობას ვეწეოდი, ვყიდულობდი მატყლს, ერბოს, ინდისურ-  
მას, ხმელ ხილს, კევის ხეს, გამქონდა, ვყიდდი, კარგი შემოსავალი მქონ-  
და. მთელი პალუჯისტანი შემოვლილი მაქვს. მართალია, აქეთ მგზავრო-  
ბა საშიში იყო, მაგრამ აქაური გორგიჯები დიდ მფარველობას მიწვდე-  
ნენ. გარდა ამისა, ნაზარ-ხანიც მშეალობდა და მისი შიშით ხომ სულ ვე-  
რაფერს მიბედავდნენ. ერთხელ ნაზარ-ხანმა მითხრა: მოდი, ჩამოიყვანე  
ფერეიდონიდან რამდენიმე მოსახლე ქართველი, მოგცემ მიწას, ამ ადგი-  
ლას დასახლდით და კარგადაც იცხოვრებთო.

ჭკუაში დამიჭდა მისი რჩევა. მიწა მართლაც კარგი არის, მოსავალი  
მოდის, პირუტყვის მოშენება შეიძლება. ვიფიქრე, ვიფიქრე და ჩემი სუ-  
რვილი ჩემს მეზობლებს გავუზიარე. ბევრმა მოიწონა ჩემი გადაწყვეტი-  
ლება და ერთ მშვენიერ დღეს ფერეიდონიდან ოცდახუთი კომლი გად-  
მოესახლდით.

მართალია, ყოველგვარი პირობები გვქონდა, თითქმის არაფერი გვა-  
კლდა, მაგრამ ბევრმა აქაური ჰავა ვერ აიტანა და ისევ უკან გაბრუნდა,  
ზოგი კი მოკვდა და გადაშენდა. ამჟამად მხოლოდ შვიდი მოსახლე დავ-  
რჩით ამ სოფელში. — გულდაწყვეტით დაამთავრა მოხუცმა.

ის ნანობდა, რომ ასეთი საქმე გააკეთა, ასე მიატოვებინა სახლ-კა-  
რიშეზობლებს და აქ გადმოასახლა.

— ვინ იცის, იქნებ რაიმე დანაშაულობისათვის გვსჯის ღმერთი, —  
თქვა მან, და ცოდვად ის მიიჩნია, რომ სალოცავი და სამშობლო მხარე  
მიატოვა. ჩემი შეცდომა და დანაშაული ისევ მე უნდა გამოვასწორო, ეს  
დარჩენილი მოსახლეობა თავის კუთხეს დავუბრუნო და მოვალეობა მო-  
ვიხადოო.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ჩვენთან ოთხი მოხუცი ქალი შემოვიდა  
და თხოვნით მოვგმართა.

— ურჩიეთ ჩვენს კაცებს, დაბრუნდნენ ფერეიდონში. — ცრემლ-  
მორეული თვალებით გვთხოვა ერთმა მოხუცმა.

— იქ სიკვდილი გვირჩევნა აქ სიცოცხლეს, — დაუმატა მეორემ.

— შიმშილისაგან დაცემული რომ ვიყო ფერეიდონში, იქაური მი-  
წის მაღლით მოვჭობინდები და წამოვდგები, — ჩაილაპარაკა მესამემ.

მეოთხემაც ჩაიღუდუნა რაღაცა, მაგრამ არ გამიგონია.

იმ ღამეს ყველანი ხუციშვილისას დავრჩით. სოფლის მამაკაცებშა  
ჩვენს საპატივცემლოდ ჩვენთან ივახშეს. ქალებმა ფანდური დაუსრეს,  
ბავშვებს ხორუმი აცეკვეს.

მეორე დილით, ამღვარი არ ვიყავი, რომ ქალებს საუზმე გაემზადე-  
ბინათ და გველოდებოდნენ.

წინა ღამით გვთხოვეს, რამდენიმე დღე დარჩითო და უარი რომ ცა-  
თხარით და წასულა ამოვიჩემეთ, ქალებს მდიდარი საგზალი და მეტად  
ბინათ. მანქანაში ვერ ჩავატრეთ, იმდენი ჩურჩელები, ხაჭაპურები, და დები,  
შემწვარ-მოხარშული ქათმები და ინდაურები მოეზიდათ. ყველა  
ოჯახს გაელო თავისი წილი და მეტად კმაყოფილნი იყვნენ, რომ მათ ნა-  
ხელას მათივე ერის შვილი, ქართველი კაცი დიდ საქართველოდან  
მიირთმევდა.

გამოთხოვებისას კვლავ შეიკრიბნენ და გამოგვაცილეს.

— სალაში ჩვენს ძველ სამშობლოს!

— მოკითხვა ჩვენს ძმებსა და დებს! — მოგვძახოდნენ და ხელებს  
გვიქნევდნენ.

— მშვიდობით, ნახვამდის, ძმებო და დებო! — ვპასუხობდი მე  
და სოფელს ვტოვებდი.

## ზაჰედანის გზით

სოფელ კაურაქიდან ზაჰედანისაკენ მიმავალი გზა მეტად სახიფათო  
და ფათერაკიანია. განსაკუთრებით საშიშია უდაბნოს ძლიერი ქარი, რო-  
მელსაც ტალღასავით მოაქვს სილა, ქვიშა და მტვერი. ვაი მას, ვისაც მო-  
უსწრებს; ან მტვრის კორიანტელთან ერთად გაიტაცებს ან უზარმაზარ  
მთის ქვეშ მოაძწყვდევს და დამარხავს.

სოფლიდან დილით გავედით, გავიარეთ რამდენიმე კილომეტრი და  
ერთ დასახლებულ დაგილს მივადექით. აქედან იწყება უდაბნო თავისი  
აელვარებული სიმხურვალითა და თავაწყვეტილი ქარბუქ-კორიანტე-  
ლით. აქ შევჩერდით, შევედით საჩაიეში და დავისვენეთ. ის იყო წასუ-  
ლელად ავბარგდით, რომ ჩვენთან მოვიდა დაცვის უფროსი, მაღალ-ბა-  
ლი ჭაბუქი და გაგვაფრთხილა:

— თქვენ მოგიხდებათ ორმოცდაათი კილომეტრი მეტად სახიფათო  
გზის გავლა. მართალია, ჯერჯერობით ამინდი ხელსაყრელია, მაგრამ მოუ-  
ულოდნელობისაგან დაზღვეული არა ვართ. შეიძლება უეცრად მოგის-  
წროთ და დაიღუპოთ.

— მაშ თქვენი აზრით უკანვე უნდა გავბრუნდეთ? — ვკითხე მე —  
თუ ჩვენთვის საჭიროა ზაჰედანში მისვლა?

— ვინ გიშლით, ბატონო. მიბრძანდით, მე მხოლოდ გაგაფრთხილეთ.

— თავაზიანად გვეუბნება დაცვის უფროსი.

— გაფრთხილებისათვის დიდი მადლობა მომიხსენებია, — ვუთხარი  
მე, — მაგრამ გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ.

— აი, რა. — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ გვითხრა უფროსმა. — აქე-  
დან ოცდახუთი კილომეტრის მოშორებით არის ჩვენი მეორე საგუშავო.

მე ახლავე ვაცნობებ მას, რომ თქვენ გადით. ისინი ფრთხილად იქნებიან, თუ ვინიცობაა ქარბუქი ამინიჭრა, წამოვლენ თქვენს მოსაშველებლიდ, ტეტად მარდი აქლემები ჰყავთ. მაგრამ თქვენ მარტო სხვისი იმედით არ უნდა დარჩეთ. ჩვენ ყოველ ორ კილომეტრზე გზის პირას გვაქვს გავეთებული მიწისქვეშა სადგომები, თუ ვინიცობაა ქარმა მოგისწროთ, მოძებნეთ და შეეფარეთ.

მე არ მენახა უდაბნოს ქარბუქი, არც მის სიძლიერეზე მქონდა წარმოდგენა და ცოტა არ იყოს დაცვის უფროსის ასეთი გაფრთხილებაც გადაჭარბებულად მეჩვენა. მან შემატყო ეს და გაიღიმა.

— თქვენ რომ ერთხელ მაინც გაგევლოთ აქეთ, ასე არ იფიქრებდით.

— მითხრა მან და რამდენიმე უბედური შემთხვევა მომიყვა.

შარშან ოთხი ინგლისელი და ოთხიც ადგილობრივი მცხოვრები დალუპულა. მანქანით გასულან ამ საღარაჯოდან, ორიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ მოხვედრილან საშინელ გრიგალ ში და მანქანასთან ერთად დამარცულან.

— ჰოდა, საჭიროა ფრთხილად იყოთ. — კვლავ გაგვაფრთხილა უფროსმა.

ამ კაცის ნაამბობმა, ცოტა არ იყოს, დამატიქრა, მაგრამ ამ დროს ჩვენ ერთი მანქანით მომავალი მგზავრი შემოვემატა და ოდნავ დაგვაიშედა. მას გამოევლო ჩვენი გასავლელი გზა, ახლა უკან ბრუნდებოდა და ჩვენთან ერთად გადაწყვიტა წამოსვლა.

— მართალია, ულელტეხილზე სახარბიელო ტაროსი არ დგას, თითქოს ქარბუქისათვის ემზადება, მაგრამ, ვფიქრობ, გადასვლას მოვასწრებთ. — თქვა მან და წასვლა გაგვიპირდა.

დავიძარით. ჩვენ წინ წავედით, თანამგზავრი უკან გამოგვყვა.

მზე წვავდა ყველაფერს, მიწას ალმური ასლიოდა. მანქანა ხურდა, ლაპლაპებდა, ჩვენ სული გვეხუთებოდა. კიდევ კარგი, ლურჯი სათვალეები დამირჩა თან, თორემ მძლოლს საჭესთან ყოფნა და მანქანის მართვა გაუჭირდებოდა.

ორი ქედი გადავიარეთ. შევუდექით მესამეს, რომ უეცრად ხევიდან რაღაც შხუილით დაიძრა ჰაერში და ჩვენკენ წამოვიდა. ეს იყო ჰაერში ავარდნილი გრიგალის ბოძი, რომელსაც რაღაც წისქვილის ქვის მსგავსი საგანი მოჰქონდა. მიგხვდით, რომ ეს საგანი იყო ერთად შეკრული ფხვიერი მიწის უზარმაზარი მასა, რომელსაც შეეძლო დაეფარა საკმაოდ დიდი ფართობი.

ვიგრძენით მოახლოებული საშიშროება. მძლოლმა მაქსიმალურ სიჩარეზე გადართო მანქანა და გზის გადამღობავ გრიგალის სვეტს გადაუსწრო, სამშვიდობოზე გაგვიყვანა, მაგრამ უკან რომ მოვიხედეთ, ჩვენი თანამგზავრი მანქანა არ ჩანდა.

— ჩანს ვერ გადმოასწრო. — თქვა მძღოლმა დანანებით. — ვაი თუ გრიგალმა გაიტაცა!

— გავბრუნდეთ, შევიტყოთ მათი ბედი! — ვუთხარი მე მძღოლს და მანაც არ დააყოვნა, მანქანა მიაბრუნა.

მძღოლი მართალი გამოდგა. უკან მომავალ მანქანას გრიგალისთვის ვერ გამოესწრო, მაგრამ მთლიანად მის გულში არ მოხვედრილიყო და ესეც დიდ რამეს ნიშნავდა. მგზავრები ცოცხლები დარჩენენ. მანქანაც არ დაზიანებულიყო. იგი სილაში ჩაფლული აღმოვაჩინეთ და ძლივძლივობით ამოვათრიეთ რკინის ბაღურების საშუალებით.

ქარი მატულობდა და ძლიერდებოდა. მოსალოდნელი იყო გრიგალად ქცეულიყო და აქჩეარდით. ოცი წუთის შემდეგ მივედით მორიგ საგუშა-გოზე. აქ სიმშვიდე იყო, ნიავიც არ იძვროდა, მაგრამ შორს მოჩანდა მტვე-რისაგან შენისლული ცა, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ფართოვ-დებოდა.

— იჩქარეთ წასვლა, თორემ გრიგალი მოგისწრებთ და გზას გადაგი-ლობავთ. — გვითხრა საგუშაგოს უფროსმა, გვირჩია წასვლა და თან ერთი თავისი კაცი გაგვაყოლა. ეს კაცი მანქანაში ჩავისვით და წავედით.

გზაში მშვიდობიანად მივდიოდით, ვსაუბრობდით. საგუშაგოდან გა-მოყოფილმა კაცმა რომ გაიგო მე ქართველი ვიყავი, დიდ საქართველო-დან, სიხარულით თვალები გაუბრწყინდა.

— მე აქაური გორგიჯი ვარ, გურჯი, ქართველის მოდგმა, — ამაყად თქვა მან. — აქაური სადარაჯოების გუშაგები, მათი უფროსები და მტვე-ლებიც გორგიჯებია, — და მტკიცედ დაუმატა: — თქვენ ჩემი სტუმარი უნდა დარჩეთ.

გზა მშვიდობიანად გავიარეთ. ჩვენი ახალი თანამგზავრი გვართობდა ტკბილი საუბრით. გვიყვებოდა აქაური გურჯების ამბებს.

ამ საუბარში გადავიარეთ უკანასკნელი ქედი, გავედით სამშვიდობო-ზე და ერთ პატარა დასახლებულ ადგილას გავჩერდით.

— აქ დამიცადეთ, — გვითხრა ჩვენმა ახალმა თანამგზავრმა, — ძალე მოვალ. — და სწრაფად წავიდა.

ჩვენ ისედაც არ ვჩქარობდით, შევისვენეთ. ტანსაცმელი გავიბერტ-ყეთ. დავრახათდით და ამასობაში თანამგზავრიც გამოჩნდა. მას ახალგა-ზრდა ოფიცერი მოჰყვა, აქაური დაცვის უფროსი. მაღალი, შავულვაშე-ბიანი ვაჟუაცი. თეთრი და განიერი შარვალი ეცვა, ასეთივე ფერის ფიჭა-კი. თავზე დიდი ჩალმა ჰქონდა მოხვეული.

— ესენი გურჯებია, — უთხრა მას ჩვენმა თანამგზავრმა. — ეს კაცი, — ანიშნა ჩემზე, — დიდი საქართველოდან არის მოსული. მე მსურს წავიყვანო სახლში და შემდეგ კი აქაური გორგიჯები გავაცნო.

ოფიცერმა ცნობისმოყვარეობით შემათვალიერა.

— ჩი აჯაბ (რა გასაკვირია), — თქვა მან, — მაგრამ ჯერ ჩემსას უნდა-

მობრძანდნენ, პურ-მარილი მიიღონ და შემდეგ, სადაც მათი სურვილი იქნება.

ჩვენ წინააღმდეგობა არ გაგვიწევია და დაცვის უფროსს ბინაზე ვე-წვიეთ. ცხოვრობდა იქვე, მახლობლად, აღმოსავლურ ყაიდაზე მორთულ ბინაში. მისვლისთანავე ხელპირი დაგვაბანიეს, ტანსაცმელი გაგვიწმინ-დეს და შემდეგ სუფრა გაგვიწყვეს.

ვისადილეთ. კარგად დავნაყრდით და საუბარი გავაძით. დაცვის უფროსს ძალიან აინტერესებდა ქართველი ხალხის ამბავი: რა სარწმუნოე-ბა აქვთ, როგორ მუშაობენ, რას ესწრაფვიან, რას სწავლობენ, როგორი ვაჟკაცები ჰყავთ.

როცა მე ვპასუხობდი და ქართველი ხალხის დღევანდელ ყოფა-ცხოვრებაზე ველაპარაკებოდი, ახალგაზრდა ოფიცერი კმაყოფილი იღი-მებიღა. ვამჩნევდი, ქართველი ხალხის სიკეთე და გამარჯვება საამაყოდ მიაჩნდა. ხშირად ჩაურთავდა ხოლმე, აი ნამდვილი მებრძოლი ხალხი, აი ნა-მდვილი გმირებია.

მერე მან მომიყვა თავის გვარისა და წინაპრების თავგადასავალი და ვინაობა.

— მე სარდალ მალიქ-შახის შვილიშვილი ვარ. — დაიწყო მან. — მა-მაჩემს მალიქ-ქუჩიკ ხანს უწოდებდნენ. მისი შიშით აქაური ტოშები ძრწოდნენ. ქერმანიდან აქამდე რაც საგუშაგოებია, ჩვენებს — გორგი-ჯებს აბარიათ, ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ამ გზაზე წესრიგის და მშვი-დობის დაცვისათვის. ეს მოვალეობა გორგიჯებს ნადირ შაპის დროიდან აქვს დაკისრებული და საამისო ფირმანიც იმ დროს არის დაწერილი.

ამის შემდეგ მოგვიყვა საკუთარი ოჯახის ამბავი. მამამისი, მელიქ-ქუ-ჩიკ ხანი, რომელიც ინდოეთში მიმავალ გზის დაცვას ხელმძღვანელო-ბდა, ყაჩაღებთან შებმისას მოუკლავთ. მართალია, შემდეგ ეს ყაჩაღები შეუცყრიათ და ნაწილი ამოუხოცავთ, მაგრამ ოთხი უწლოვანი ვაჟი და-ობლებული დარჩენილა.

— თქვენთან ლაპარაკით ვერ გავძლები. — თქვა ბოლოს ოფიცერ-მა. — მინდა ცველაფერი გიამბოთ, რაც გადაგვხვდა, რაც გვჭირს. საკუთარ ერსა და სამშობლოს მოკლებულნი სხვას ვემსახურებით, სხვის კარს ვი-ცავთ და ვდარაჯობთ, სხვის მონობაში ვართ, მაგრამ არავინ გვიფასებს, რო-ცა საჭირონი ვართ, სისხლ-ხორცად გვთვლიან, როცა ჩვენი სისხლი არ სჭირდებათ, მაშინ გიაურების მოდგმას გვიწოდებენ და გვიწყრებიან. ასეთი ყოფილა სამშობლო მიწა-წყალს მოწყვეტილი აღამიანის ბედი. მახ-სოეს, მამაჩემი ქართულად ლაპარაკობდა და ბავშვებსაც გვასწავლიდა. ბაბუაჩემმა ქართული წერა-კითხვაც იცოდა. საბრალო, ნაღვლიანად იტ-ყოდა ხოლმე, ორას ორმოცდაათი წელია საქართველოს ჩვენკენ არ გამო-უხედავსო.

— ზაჰედანში რომ მიხვალთ, — განაგრძო მასპინძელმა, — მონახეთ  
მალი მაჰუდ ხანი. ჩვენი მოდგმისა და სისხლის გორგიჭია. იგრძელებულ  
კარგად მოგიყვებათ ჩვენს ამბავს.

გამოთხოვებისას მეტად მგრძნობიარე სიტყვით მოგვმართა:

— სამშობლოში რომ ჩახვიდეთ, ემთხვიეთ ჩვენს მაგიერად ჩვენი  
სამშობლოს მიწას. სალამი გადაეცით ჩვენს ძმებსა და ნათესავებს. საყვე-  
დურიც უთხარით. — და ცრემლმორეულმა დაუმატა: — ვისპობით,  
გნადგურდებით, მაგრამ თქვენ მაინც იყავით კარგად, მოუარეთ სამშობ-  
ლოს. ჩვენი ბედი სავალალოა, მაგრამ თუ თქვენ გამაგრდებით და გაძ-  
ლიერდებით, იქნებ ოდესმე ჩვენზედაც იფიქროთ.

გამიჯვირდა, ახალგაზრდა კაცი ასე გულაჩუყებული რომ ვნახე.

გზად კიდევ ერთ სოფელში გავიარეთ. აქაც გორგიჭები ცხოვრობდ-  
ნენ. ერთი ასოცი წლის მოხუცი მოგვიყვანეს. მხნე, ამაყი, კარგად  
შენახული.. იგი თითო-ოროლა სიტყვას გვეუბნებოდა ქართულად და თვა-  
ლებში მოგვჩერებოდა.

— მამაჩემი ქართული წერა-კითხვის მცოდნე იყო, — გვითხრა მან.  
— მე ძლივდლივობით რამდენიმე სიტყვა შემოვინარჩუნე.

შემღეგ წაგვიყვანა და გვიჩენა ერთი დიდი აბანო.

— ეს აბანო ქართველთა ჯარის სარდლის ბრძანებით არის აშენებუ-  
ლი. როცა ეს მხარე საქართველოს ჯარს დაულაშქრავს, აბანოც მაშინ აუ-  
გიათ.

მოხუცმაც იგივე ამბავი მოგვიყვა, რომელიც დაცვის უფროსისაგან  
გვქონდა მოსმენილი, მხოლოდ უფრო დაწვრილებით და დამაჯერე-  
ბლად.

— ამ მხარეში ჯანდიერების საგვარეულოს დიდი სახელი და ლირსება  
ჰქონდა და აქამდეც აქვს შემორჩენილი, — გვითხრა მან ბოლოს. — მმა-  
რთველები და დიდი ხანები სულ ჯანდიერების გვარიდან იყვნენ. დღეს  
ბევრს არ ახსოვს თავისი წინაპრების საამაყო სახელი, მაგრამ თავიანთი  
იველი სამშობლოს სიყვარული სათუთად აქვს შემონახული.

ამ სოფელში ბევრი საინტერესო ამბის მოსმენა და გაეგება შეიძლე-  
ბოდა, მაგრამ ჩვენ ზაჰედანში მიგვეჩარებოდა და დიდხანს ვერ გავჩე-  
რდით. პატივისცემისათვის მაღლობა გადავიხადეთ და გულდაწყვეტილა  
წამოვედით.



ზაჰედანში შუადლისას ჩავედით. ეს ქალაქი ძველ ინდო-ევროპის სახ-  
მელეთო გზაზე მდებარეობს და ბევრ ისტორიულ ამბებთან არის დაკავში-  
რებული. მას ძველად დოზდაბს ეძახდნენ და თავიდანვე დიდ სავაჭრო სა-  
ტრანსპორტო ცენტრად იყო ცნობილი. აქედან ინგლისელებს რკინიგზა  
აქვთ გაყვანილი, რომლითაც უკავშირდებოდნენ ინდოეთსა და პა-  
კისტანს და ამ ქვეყნების სიმდიდრეს მუქთად ეზიდებოდნენ; გაპქონდათ  
რაც მოეწონებოდათ და რაც მათთვის საჭიროებას წარმოადგენდა.

ეს ქალაქი ირან-პაკისტანის საზღვარზე მდებარეობს. ამ ორი ქვეყნის  
სასაზღვრო საგუშავოებიც აქ არის განლაგებული.

საშინლად ცხელოდა. ჩვენ მანქანა მოფარებულში დავაყენთ და  
საჩაიეში შევედით.

ცოტაოდენი დანაყრებისა და შესვენების შემდეგ მე გარედ გამოვე-  
დი და გრილოში დადგმულ ხის ტახტზე წამოვწექი. მოქანცულს მალე  
ტკბილად ჩამეძინა. ჩემი მხლებლები აბასყული და იადულა მძლოლთან  
ერთად ყალიონს შეექცეოდნენ.

კარგა ხანს მეძინა, ალბათ კიდევ ვიძინებდი, რომ იადულას არ გავე-  
ღვიძებინე.

— პატრონო, — მითხრა მან, — ჩვენ გაგვეცნო აქაური გორგიჯების  
სარდალი, რომელსაც თქვენ შესახებაც ვუთხარით და ისე გაეხარდა,  
რომ აღარ იცის რა ჰქნას. ძალიან სწადია თქვენი ნახვა და გაცნობა. თუ ნე-  
ბას დართავთ, გეახლება.

— სთხოვეთ, — ვუთხარი მე. — მხოლოდ იცი რა, ბარემ საღილიც  
შეუკვეთეთ და ერთად ვისაღილოთ.

იადულა დავალების შესასრულებლად გაიქცა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველაფერი მზად იყო. პატარა სუფრა  
გაგვიშალეს და აბასყულიმ აქაური გორგიჯების სარდალიც მოიყვანა.

სარდალს ორიც სხვა მოჰყვა. ერთი ამ სარდლის ძმა — ხანში შესუ-  
ლი კაცი, სახელად ლომანი, მეორე, ბიძაშვილი, შუახნის ვაჟკაცი დუსტ-  
მამადი.

სარდალი ახოვანი ჩანდა, შავი და გრძელი ულვაშებით, რაც აქაურ  
ტირთად მკვიდრთათვის დამახასიათებელი არაა. თმაში ჭალარა შერეოდა,  
რაც მეტად უხდებოდა, მაგრამ გრძელი აბრეშუმის პერანგი, თეთრი გა-

ნიერი შარვალი და თავზე შემოხვეული ჩალმა არც თუ ისე ეხამუშებოდა.

მოსკლისთანავე უმდაბლესი სალამი მყალრეს, მიწამდე დამიკრეს თავი, შემდეგ დასხლნენ, შემათვალიერ-შემომათვალიერეს და რიგრიგობით ალაპარაკდნენ.

— ხომ მშვიდობიანად იმგზავრეთ? — მკითხა პირველად სარდალმა.

მე მადლობა მოვახსენე. კარგად ვიმგზავრეთ-მეთქი.

— საქართველოში რა ამბებია? ხომ კარგად ბრძანდებიან ჩვენიანები? — ახლა დუსტ-მამადი მაძლევს შეკითხეას.

— კარგად გახლავთ. დღემდე მშვიდობა სუფევდა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ დღეს საბჭოთა კავშირს ფაშისტური გერმანია დასხმია თავს და ალბათ ჩვენს რუს ძმებთან ერთად ქართველ ვაჟკაცებსაც დიდი ბრძოლები მოუწევთ (საბჭოთა კავშირზე გერმანელი ფაშისტების თავდასხმის ამბავი სწორედ იმ დღეს გავიგეთ).

მოხუცმა ლომანნმა დარღიანად ამოიოხრა.

— ეჭ, ქართველებისათვის ღმერთს მუდამ ომი და მოუსვენრობა ურგუნებია, — თქვა მან. — სამშობლოში თუ სამშობლოს გარედ, საკუთარ მიწაზე თუ სხვის ქვეყანაში, იარაღასხმული და საომარ მდგომარეობაში უნდა იყოს. სამას სამოცი წელია, რაც სამშობლოს მოცილებული, ამ ქვეყანაში ვართ და ერთი წუთითაც არ გაგვიშვია იარაღისათვის ხელი. როგორც ძალლი, ისე ვიცავთ და ვდარაჭობთ სხვის მამულსა და მიწა-წყალს. ალბათ, საქართველოშიაც ასე მოუსვენრად ხართ. ამ ომშიაც ბევრი ქართველი ვაჟკაცი დაეცემა. ახლოს მაინც ვიყო საქართველოს სალოცავებთან, ას ცხვარს შევწირავდი და ქართველების გამარჯვებას შევსოხოვდა ღმერთს.

ეს მოხუცი აქა-იქ ქართულ სიტყვას გამოურევდა, ნათქვამსაც ხვდებოდა, მაგრამ ლაპარაკი არ შეეძლო.

მე დამაინტერესა ამ ხალხის თავგადასვალმა: მომინდა გამეგო რას ემყარებიან აქაური გორგიჯები, როცა იძახიან, რომ ისინი ქართველები არიან და მათი სამშობლო საქართველოა.

მოხუცმა ლომანნმა გაიღიმა.

მართალი ხართ. თქვენ შეგიძლიათ უარი თქვათ ჩვენს ქმობაზე, რადგან ამჟამად ჩვენ არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება. ეჭ, ჩემო ბიძავ, ჩვენი ძველი საბუთები დავკარგეთ. დავკარგეთ მაშინ, როცა ჩვენი სიცოცხლე ისე საშინელ საფრთხეში ჩავარდა, თავის გადარჩენაზე ვფიქრობდით მხოლოდ. — და მოხუცმა რამდენიმე წლის წინანდელი ამბავი მოგვიყვა.

— ერთხელ მოულოდნელად აქაურ გორგიჯებს სამი ათასი კაცისაგან შემდგარი ურდოები დაგვესხა თავს. ცოლ-შვილი. წყლის საღენ გვირაბებში ჩავყარეთ, სახლ-კარი მივატოვეთ და შემოსეულ ბრბოსთან ბრძოლაში ჩავებით, მაგრამ რიცხობრივად მეტმა მტერმა დიდი ზარალი მოგვა-

ყენა და დამარცხებულებმა ჩვენც წყალსაღენ გვირაბს მივაშურეთ და ათი კილომეტრის მოშორებით ამოვედით. იქ დაგვიხვდა ჩვენი ცოლ-შვილი და იქაური გორგიჯებიც, რომლებიც ჩვენს დასახმარებლად აპირობდნენ წამოსვლას. იმ ღამეს არ გვიძინია, დავგზავნეთ ბიჭები გორგიჯებში და ვაჟკაცებს მოშველება ვთხოვეთ. შინ არავინ დარჩენილა, ვისაც კი იარაღის აღება შეეძლო, ჩვენსკენ გამოეშურა. დილით ჩვენ უკვე ორი ათასამდე შეიარაღებული გორგიჯი გვყავდა და რამდენიმე ათეული ცხენოსანი, რომლებიც მზვერავებად გამოვიყენეთ და ღიღი საქმე შევასრულებინეთ.

მეორე დღეს მტერთან შებმა ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა, ღიღი ზარალი მივაყენეთ, ნახევარზე მეტი ჯარი გავუწყვიტეთ, ბევრი ტყვევ დაგვნებდა და შეწყალება გვთხოვა, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა, მაგრამ რაც მთავარია და ჩვენთვის ყველაზე ძვირფას განძს წარმოადგენდა, ის დავკარგეთ. ბრძოს ჩვენი სახლ-კარი მთლიანად გადაეწვა და ავეჯთან ერთად ბევრი საბუთები და დოკუმენტები დაიფერფლა. ზაბოლისა და ავღანისტანის გორგიჯების წინაპრების მიერ საქართველოდან წამოლებული საბუთები, ირანის შაჰის ბოძებული ლირსებები, სიგელები და სხვა ისტორიული ნივთები, რომლებიც ჩვენს ქართულ წარმოშობასა და ქართველობას ამტკიცებდა, მთლიანად დაგველუბა.

შემდეგ მოხუცმა წინაპრები გაიხსენა.

— ჩვენი მამის სეით თაღი-ხანის პაპა გორგი-ხანი ყოფილა, გვარად ასლანიკაშვილი, ქართულის კარგი მცოდნე და მჭევრმეტყველი. მთელი აბეჭდის გორგიჯები მას თვლიდნენ მფარველად და მოჭირნახულედ. ამიტომაც ყოველგვარი საბუთები და ისტორიული მასალები ჩვენსას ინახებოდა. ჩვენისთანა დიდი გვარის შთამომავალი ხანები არიან ავღანისტანში, რომლებიც ჯანდიერების გვარის შტოს ეკუთვნიან. არიან აგრეთვე დიდი ხანები, ომანის ზღვის სანაპიროების მოსახლეობას რომ ფლობენ და უძლვებიან. ქართველთა ამ დიდ წარმომადგენლებს მინდობილი აქვთ საზღვრების დაცვა.

საუბრის დამთავრების შემდეგ მოხუცმა გვთხოვა წავყოლოდით სახლში და მისი ოჯახიც გაგვეცნო. ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდით. გზაში ვინც გვხვდებოდა, ყველა მოწიწებით გვესალმებოდა. გორგიჯები კი ხელზე კოცნიდნენ თავიანთ სარდალსა და სახელოვან მმართველს.

გავიარეთ იქაურ ბაზარში, დავათვალიერეთ სავაჭროები და მივედით გვირაბით გამოყვანილ წყაროსთან, რომელიც მეტად ცივი და საამო სასმელია.

— ასეთი თხუთმეტი წყარო გვაქვს გამოყვანილი. — მეუბნება ჩვენი მასპინძელი. — ამ წყლებით ვრწყავთ ბოსტნებსა და ყანებს. ეს არის ჩვენი წინაპრების გამოყვანილი და ამჟამად ჩვენი სიცოცხლე და საარსებო საშუალება. ამ წყაროების მეოხებით არის რომ წელიწადში ორი მოსავა-

ლი მოგვყავს და სული გაგვაქვს, თორემ ისე ამ მხარეში ცხოვრება მეტად გაგვიძნელდებოდა.

მივედით სარდლის მელიქ მამედის სახლში. სასტუმრო დარბაზში მის გვიღეს. მაშინვე პატარა სუფრა გაგვიშალეს და პირველ ყოვლისა ბატარ ჭიქით ჩაი და შარბათი მოგვაროვეს. შემდეგ ნაირნაირი ტკბილეულობა მოაყოლეს და ჩვენთან ერთად დასხდნენ.

საუბარი კვლავ მოხუცმა წამოიწყო, გველაპარაკა იქაურ გორგიჯების დამსახურებაზე, მათ ჭირ-ვარამზე, შემდეგ სხვებიც აყვნენ და სალამობ-დე ასე შევექეცით. ვახშმისათვის მასპინძელმა ორი ცხვარი დააკვლევინა, გრძელი სუფრა გააწყობინა და იმ კუთხეში მცხოვრები მოხუცი გორგი-ჯები მოიპატიუა.

ამ სუფრაზეც ბევრი ილაპარაკეს თავიანთი ბედის უკუღმართობაზე და მოხვევეს მათი ამბავი მომეთხრო დიდ საქართველოში მათი სისხლისა და ხორცის მოზიარე, მაგრამ დაშორებულ ძმებისათვის.

მეც შევპირდი, შევასრულებდი მათ თხოვნას.

აქ არ შემიტანია ლევან გამყრელიძის ნაამბობი ბევრი საინტერესო ფაქტი არაბეთში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში ქართველების ცხოვრების შესახებ. თუკი შევძელი, ამის თაობაზეც მოვუთხრობ მკითხველებს.



## ცა და მზვერვალი

როგორც მთამსვლელის გული და მუხლი,  
 მე არავისი შემშურდა ისე:  
 აღმართს მიჰყვები და ქედს არ უხრი,  
 მიღიხარ ცისკენ და მწვერვალისკენ.  
 ვაკე ძირს გრჩება ასჯერ ნანახი,  
 შენ ზევით ხარ და ღრუბელი ქვევით,  
 ბუჩქი გაცილებს, ხე და ბალახი  
 ტოტებისა და ფოთლების ქნევით.  
 მიღიხარ.  
 მოქუხს ბროლის ჩანჩქერი,  
 ყელ-ყურლამაზი გამორბის შველი,  
 ჭიხვი ოცდება შენი ნაცქერი,  
 ჯეირანს ხიბლავს სიმარდე შენი.  
 ახვალ და... მიწა! თოვლი აცვია...  
 და წინ მიიღოტვის მზვერავი თვალი.  
 თურმე კაცისთვის, ვინაც კაცია,  
 არც ცა არსებობს და არც მწვერვალი!...



ცოდნა მოღვაწე

## გამის პირი

ივნისი ილეოდა. სისხამ დილით დავადექი გზას. ნამიან გზისპირზე შეს ჯერაც არ დაეხედა. ნიავიც მიმალულიყო სოფლის ორლობეში. გატრუნულ ჰაერს ეტყობოდა, დღეს პაპანაქება სიცხე იქნებოდა. თხუთმეტი წელია სოფელში არ ვყოფილვარ — ყველაფერი შეცვლილი და თანაც მიმიდველი მეჩვენებოდა. თვალი გამირბოდა გზის ორივე მხარეს. ჭიშკარს ძალი რომ მოაწყდა, არ შემშინებია, პირიქით, გამიხარდა, რადგან ჩემში თანდათან იღვიძებდა სოფელში გატარებული საგაზაფხულო არდადეგების დღეები. სამი წელია, არც ბაბუაჩემი მინახავს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობ და ბაბუაჩემა თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლო. იგი ახლა ოთხმოცდახუთი წლისაა.

ვიცოდი, რეინიგზის სადგურიდან ბაბუაჩემის სახლამდე ხუთი კილო-მეტრი იყო, მაგრამ ამ დილა ადრიანად სოფელში მიმავალ ავტომობილს ვერსად წავაწყდი, ავტობუსისათვის კი ორი საათი უნდა მეცადა. მარტოდ დავადექი გზას. სოფელში მხოლოდ თხუთმეტ დღეს ვაპირებდი დაარჩენას. ბაბუაჩემი ახლა შინ დამხვდებოდა. მამამ მითხრა, იგი კოლექტივში ცკვე აღარ მუშაობსო. მახსოვს, პარმალში უყვარდა ჯღომა, კონტად შეკრეპილ წვერზე ხელს ჩამოისვამდა და დინჯად შეახვევდა ხოლმე გაზეთის ნახევში თუთუნს. ხანდახან ყანაში მივყავდი, თოხს ხელში მომცემდა და მეტყოდა, ვისაც თოხი ხელში არ აულია და ოფლი არ მოუდენია, ურომის ფასი არ იცისო, ასეთი კაცი უსაქმურობას ეჩვევა და ცხოვრებას იოლი გზით აპირებსო. ეს სიტყვები, მგონი, სიკვდილამდე არ დამავიწყდება.

მე და ჩემმა ბიძაშვილმა ოდა-სახლის წინ ვიცოდით თამაში. ომის წინ დაწყებული სახლი ახალგაწყობილი იყო. სოფელში ბევრს ჯერაც არ ჰქონდა სახლი დამთავრებული. ბაბუაჩემის მეზობლად თორმეტიოდე წლის ბიჭი ცხოვრობდა. მეზობლები უვლიდნენ. ბიჭი გულჩათხრობილი, განმარტოებული იყო, ჩვენთანაც არ გაღმოდიოდა სათამაშოდ. ერთი თა ჰყავდა და მთელი დღე იმას დასდევდა. ერთხელ ბაბუაჩემა იმ ბიჭზე მითხრა, უქნარას შვილიაო. შევატყვე ბაბუაჩემს ის ბიჭი არ უყვარდა, მა-

გრამ ყურადღებას მაინც არ აკლებდა, ხან მჭიდი და ყველი მიჰქონდა, ჩანაც ცხელი საღილი. ბებიახემი საცვლებს ურეცხავდა ხოლმე. ბიჭი კი ჩვენთან მაინც არ გაღმოდიოდა სათამაშოდ. ძველებური ოდა-სახლი ერგა. საღამოობით აივანზე ჩამოჯდებოდა ხოლმე. შიშველი ფეხები დამსკურარი ჰქონდა. ალბათ, ახლა იგი მარტოდ აღარ ცხოვრობს, ან იქნებ ჩემსა-გით სტუდენტია. ვინ იცის?!

გზა ფიქრებში გავლიე. ბაბუახემი პარმალის წინ იჭდა. ჭიშკარში ჩასვლისთანავე ძალლი გამომენთო. ბაბუახემმა შეუძახა, მერე შუბლი მოიჩრდილა და ჭიშკრისაკენ გამოიხედა. არ მელოდა და ვერ მიცნო. მერე უნდა გენახათ მისი სიხარული. კარგა ხანს თვალებსა და ლოყას მიკოცნიდა.

ნასაღილევს მე და ბაბუახემი შინ მარტოდ დავრჩით. მინდოდა ბიძაშვილებს ყანაში გავყოლოდი, მაგრამ არ ქნეს, ნამგზავრი ხარ, დღეს დაისვენეო, მე ბაბუახემს აღარ მოვშორებივარ, მთელი კარ-მიღამო ფეხით შეშომატარა. ვენახის ბოლოში შევისვენეთ. ვენახს გზის მხარეს ტრიფოლიატი გასდევდა, სამი მხრიდან კი მესერის ლობე ერტყა.

მესერი ჩემზე მაღალი იყო. მას იქით ფერდობზე მინდორი ეშვებოდა და ოდნავ დავაკებაზე ეზოს ისევ მესრის ლობე გასდევდა. გამახსენდა, სწორედ იმ ეზოში ცხოვრობდა მარტოხელა ბიჭი. სახლი გამოკეტილი ჩანდა. მესრის ლობე ალაგ-ალაგ სიძველისაგან გადაწოლილიყო. ეზოში ლორები დარბოდნენ. ბაბუახემმა თვალი შემასწრო, მესერში ვიყურებოდი. ვენახის პირას ხმელ მორზე ჩამოჯდა და თუთუნი ამოილო. მესერს მოვშორდი. საღაც ჩვენ ვისხედით, შაბიამანით კასრი იდგა. ვენახი ახალ შეწამლული იყო.

— წელს, შვილო, კარგი მოსავალი უნდა დარჩეს! — თქვა ბაბუახემ-მა და თუთუნი შეახვია, ვენახისათვის არ შეუხედავს, მაგრამ მივხვდი, რთველს გულისხმობდა. — ამ დალოცვილს კარგი მტევნები აქვს, — შეგომხედა, — მაჭრობაზე ამორხალ?

— ამოვალ, ბაბუ, წელს უთუოდ ამოვალ!

— ვნახოთ! — დინგად თქვა მან და თუთუნს მოუკიდა, მაგრამ ავ დროს შენიშნა, ვაზს მტევანი ჩამომტკვრეოდა. ადგა და ფრთხილად შეაცალა, მერე ვაზს ხელით მიუალერსა. ერთხანს უყურა და ისევ თავის ადგილს დაჭდა.

გაღმა ეზოში საქონელი შევნიშნე. ცოტა ხნის შემდეგ ეზოში ტიტლი-კანა ბიჭი გამოჩნდა, ხელში გრძელი წკეპლა ეჭირა, საქონელს შეუძახა და ეზოდან გადარეკა. ეზოში მხოლოდ ლორები დარჩნენ. ცაზე ღრუბლის ფთილა იყო და მისი ჩრდილი სწორედ იმ სახლს ეცემოდა.

— ბაბუ, საღ არის ის ბიჭი, ი იქ რომ ცხოვრობდა? ვკითხე მე.

— ვინ, გიგლა? — თბილისში, — წარბი შეკრა, — სახლს ყიდის, მაგრამ მუშტარი ვერ ნახა.



— მშობლები სად არიან?

— დედა გარდაეცვალა, მამა უცხოეთში გაიჭა.

— ჰო...

ბაბუაჩემი კარგა ხანს დუმდა, მერე შევატყვე, ღრმად დაფიქტურულად ექაჩებოდა თუთუნს. მზის გადახრამდე ვისხედით ჩვენ ვენახის ბოლოში. მართლაც რომ აუტანელი სიცხე იყო, ნიავი თითქოს არ იძროდა. ბაბუაჩემმა იმ დღეს საინტერესო ამბავი მომიყვა. შეიძლება თხუთმეტიოდე წლის წინათ ამ ამბავს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ალბათ, რამდენიმე საათს ბაბუაჩემს ვერც მოვუსმენდი. მაგრამ ახლა მისთვის სიტყვა არ გამიწყვეტია, ვიჯექი სმენად ქცეული და თვალებში შევყურებდი.

...გიგლას მამას, დათოს, მშობლები ადრე გარდაეცვალა. მას იმ დროისათვის კარგად გაწყობილი მამისეული სახლი და რამდენიმე ჰქეტარი მიწა დარჩა. მამა ვაჭარი ჰყოლია — სოფლიდან ხე-ტყეს ეზიდებოდა ქალაქში გასაყიდად. ამბობდნენ, ოქროც ჰქონდათ გადამალული. დათოს მამის სიკვდილის შემდეგ ოქრო გაუყიდია და რევოლუციის წინა დღეებში იმ ფულით მიწა შეუძენია. კარ-მიდამოს შექრის ლობე ერტყა. როგორც კი მიწას შეისყიდდა, ღობეს ახალი მიწის საზღვარზე გაავლებდა. ადრე დილით დგებოდა, რომ თავისი კარ-მიდამო ფეხით შემოევლო. ვა იმას, თუ ვრნებ ერთ მტკაველ მიწას გამოპარავდა. მაშინვე მთელ სოფელს ფეხზე დააყენებდა და გამომპარველს სიკვდილით ემუქრებოდა.

სახლი წაბლისა ჰქონდა, წელამდე სიმაღლის სკეტებზე შემდგარი, გვერდზე მიღგმულ სამზარეულოდან ოთახში პირდაპირ შეისვლებოდა. ოთახი ხალიჩებითა და ხის საწოლებით იყო გაწყობილი. შუა ოთახში მუხის მაგიდა იდგა. ოცი წლის იყო დათო, როცა ცოლად თანასოფლელი გოგო შეირთო. ნინოს მშობლები სიხარულით ცას ეწიენ, რომ ქალიშვილი სოფელში ყველაზე შეძლებულ კაცს მიათხოვეს.

— ღმერთო, ჩვენს შვილს პატრონი გაუჩნდა, აღარ გაუჭირდება! — ამბობდნენ ისინი და ფიქრობდნენ, სიძე წვრილშვილის გაზრდაში დაეხმარებოდა. მათ არაფერი უთქვამთ დათოსათვის, მაგრამ ელოდნენ, მიწის ნაკვეთს გამოვგიყოფს და დაგვამუშავებინებსო.

ცხოვრების გამოუცდელ ნინოს გასაჭირი მშობლებმაც კი არ იცოდნენ. ყველაფერს ითმენდა საწყალი ქალი, ქმრის ერთი ღიმილი მისთვის მთელი სიცოცხლე იყო, მაგრამ დათო წარბს ერთხელაც არ გაუხსნიდა, არც გვერდით დაისვამდა და აზრს არ გაუზიარებდა. ნინო მეზობლის ქალებისაგან რომ გაიგონებდა, ბედნიერი ხარო, გულზე შემოეყრებოდა, თუმცა თავდაპირველად იმასაც კი ვერ მიმხვდარიყო, რას ეძახდნენ ისინი ბედნიერებას.

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ იყო, რომ ნინო სიხარულით ცას ეწია. იგრძნო, რომ მარტო არ არის. ნასადილევს ქმარმა ხელი ჩავლო და გარეო

გაიყვანა, მთელი კარ-მიღამო ფეხით შემოატარა. ქმარი გზადაგზა ჩერდებოდა და ხელით უჩვენებდა, ეს მიწა ამ ხუთი წლის წინათ ვიყიდე, ეს ამ ორი წლის წინათო. საკუთარ ტყეშიც იარეს კარგა ხანს. დათოს სიამიყისაგან გული უფართქალებდა. ამდენი მიწა თავადსაც კი არ ჰქონდა, ამ-ბობდა იგი. ნინოს მასთან ყოფნა სიამოგნებდა, ეგონა, ამის შემდეგ ქმარი მას გულს გაუხსნიდა, აბა მიწა მას სრულებით არ ახარებდა. შინ რომ და-ბრუნდნენ, ნინომ გაოცება ვერ დამალა.

— რამდენი მიწა გვქონია?! — თქვა მან.

— აბა რა გეგონა! — თავის დაკვრით მიუგო ქმარმა.

— კი, მაგრამ, ამდენი მიწა რათ გვინდა?

— როგორ თუ რად? — შესძახა დათომ. — მიწა ეს ყველაფერია.

— ადგა, გარეთ გავიდა და იმ ღამით შინ გვიან დაბრუნდა. ქალისათვის ხმა არ გაუცია. არც შემდეგ დღეებში დალაპარაკებია ქალს. მეორედ ნინომ ქმარი ბიჭის შეძენის დღეს ნახა წარბგახსნილი. დადიოდა აივანზე დათო და გაიძახოდა, მემკვიდრე შემეძინა, მემკვიდრე, რაღა წამახდენსო.

ნინოს მშობლები მათ მეორე დღეს ეწვივნენ. სიძემ თავი გამოიჩინა — სიმამრს, როგორც ერთ დღეს ცოლს, კარ-მიღამო დაათვალიერებინა. ამო-დენა მიწა უპატრონოსავით იყო გავერანებული. სიმამრს გული უკვდი-ბოდა.

— დათო, შვილო, ცოტა მიწა გამოგვიყევი, დავამუშავებთ და მოსა-ვალს თქვენც გაგინაწილებთ!

დათომ წარბი შეკრა.

— რას მიქვია, გამოგვიყავი?

შემდეგ სიმამრს სიძის ოჯახში ფეხი არ დაუდგამს. ჩვილბავშვიანი ნინო მშობლების უყურადღებოდ დარჩა. მეზობლებიც ალარ გადადიოდ-ნენ მასთან. სახლი თითქმის დაყრუვდა. ნინოს ესმოდა, სოფელში რაღაც ხდებოდა. ისიც კი გაიგო, ვისაც ბევრი მიწა აქვს, უნდა ჩამოერთვასო. ქმარმა იცოდა თუ არა ეს ამბავი, ვერ გაიგო. იგი ფეხს იშვიათად შემოდ-გამდა ხელმე. და მაშინაც ხმას არ სცემდა. ნინომ მშობლებს შესჩივლა. მამამ ქადნებით გააქნია თავი, შვილისათვის არაფერი უთქვამს, მაგრამ ეტყობოდა, გულში ბოლმა უტრიალებდა.

დათო კი მთელი ერთი კვირა სადღაც გადაიკარგა, შინ სახეგაბრწყი-ნებული დაბრუნდა, მაგრამ ცოლისათვის თვალში არ შეუხედავს, ოთახი უსიტყვოდ გადაჭრა, გადამალული მამა-პაპური ზანდუკი გამოიტანა, გახ-სნა, ამოალაგა ქამარ-ხანჯალი, შეახვია მამისეულ ჩოხაში და იმავე საღა-მოს გაუჩინარდა. მერე ორი კაცი მოვიდა, დათომ გამოგვეზავნაო, უთხ-რეს ნინოს, მუხის მაგიდას ხელი ჩაჰედეს და სახლიდან გაიტანეს.

გაზაფხული იდგა, მთებში ლანქერს წვიმებიც მოჰყვა. ნესტიან ჰაერ-ში ზამთრის სუსტი ტრიალებდა. ნინო ბუხართან იჯდა, ბავშვი არ გამი-ცივდესო. საშინელი ხმაური გაისმა გარეთ. კარი გამოაღო: მთელი სოფე-ლი შეკრებილიყო და თემისაკენ ხმამაღალი ლაპარაკით მიდიოდა. არავის

დაუნახავს, რომ ნინომ კარი გამოაღო. ერთი ლობეზე მომდგარიყო და იმუქრებოდა. რას ამბობდა იგი, ნინოს არ გაუგონია.

— კრებაზე არ წამოხვალ! — დაუძახა კარის მეზობელმა ნინოს.

ჭალი გაშრა, კრება გასაგონადაც არ უნდოდა დათოს, თანხმობა რომ განეცხადებინა, სახლი უნდა დაეტოვებინა, თორემ სულერთია, ქმარი შინ მაინც არ გააჩერებდა.

— ბავშვი ვის დავუტოვო?! — ცრემლი მოადგა ნინოს თვალზე.

— კაცო, ვის ელაპარაკები! — შეუტია ნინოს კარის მეზობელს ხნიერშა მამაკაცმა.

— ჭალი რა შუაშია.

ხალხი ტალღასავით ბობოქრობდა. ვიდრე შარაგზაზე სიჩუმე არ ჩამოვარდა, ნინო გაშეშებული იდგა აიგანზე. ჭიშკართან მეზობლის ბიჭმა ჩაირჩინა, ეტყობოდა, აბობოქრებულ ხალხს ადევნებოდა, უცნაურად გამოიყურებოდა, სახე აფორიაქებული ჰქონდა.

— გოგია ბიჭო, გოგია, — დაუძახა ნინომ.

შეცაბუნებული ბიჭი ჭიშკარს მოადგა, ორივე ხელი ისე ჩასჭიდა ჭიშკარს, თითქოს მისი მოგლეჯა სურსო.

— თემში რა გინდათ? — ჰკითხა ნინომ.

— კრებაა.

— რა კრება?

— მაგას მალე გაიგებ! — მუქარით თქვა ბიჭმა და ჭიშკარს გველნაკბენივით გაშორდა.

ნინო ვერაფერს ვერ მიხვდა, რა ხდებოდა სოფელში, სად და რაომ გარბოდა ხალხი. მკერდში ჩაკრული ბავშვით ოთახში შევიდა. სიმარტოვე ასე არასოდეს არ უგრძნია, საკუთარი სახლის კედლები მიუკარებელი ეჩვენებოდა.

გარეთ კი გაზაფხული იდგა. წვიმამ საღამო ხანს გაღაილო. ცაზე ვარსკვლავები რომ გამოჩნდა, ჩამოსველებული სახლები, ხეები ყვავებივით მხრებჩამოყრილი იდგა სიბნელეში. ნინო ბავშვს აკვანთან ეჭდა. ბუხარში კარგა ხანია ცეცხლი ჩაქრა, წიფლის ნაკვერჩხალიც ჩაიფერფლა, ოთახში ჭრაქი ხრჩოლავდა. საღაც ჭრაქი იდგა. კედელს კვამლის შავი ზოლი ასდევდა. მქრქალი შუქი აკვანს ცეცმოდა. ნინოს ფეხის შორეული ხმა მოესმა და კარებისაკენ მოიხედა. ყრუ სიჩუმეში ხმა თანდათან მკვეთრად გამოიკვეთა და მიხვდა, კიბეზე ვიღაც ამოდიოდა. დააკვირდა, დათოს ფეხის ხმას ჰგავდა. იცოდა, ქმარს შეიძლება მისთვის ხმა არ გაეცა, მაგრამ მაინც სიმსუბუქე იგრძნო.

დათოს ოთახში არ შეუხედავს, აივნის სვეტზე ჩამოკიდებულ ხალათს ხელი დაავლო, მხრებზე მოიხურა და გაბრუნდა. კიბე ახლა მძიმე ნაბიჯებით ჩაიარა. ნინომ კარი გააღო და თვალი ეზოში მიმავალ ქმარს დააზევნა. გული გალიაში გამომწყვდეულ ჩიტივით უფართქალებდა. დათო ეზოდან

გავიდა და შარაგზის სიბნელეში გაუჩინარდა. ხელში მას პატარა ჩემოდანი ეჭირა. სახლი ისევ სიჩუმემ მოიცვა. ნინო ჭრაქის მტრქალ შუქზე ბავშვს დააჩერდა, რომლის სუნთქვა, სიცოცხლის ერთადერთი ნიშანწყალი იყო დაყრუებულ სახლში.

ნინოს აკვანთან ჩამოეყინთა. თავი აკვანსაც ჩამოკრა, მაგრამ დაწოლა არ უფიქრია. ვიდრე ჩამობნელდებოდა, ტახტზე ლეიბ-საბანი გაშალა, ქმარი მოვა და დავწვებიო. ახლა როცა შუალამემ მოატანა, ძილი ვეღარ დაძლია და ყვინთავდა. ორივე ხელი აკვანზე ისე ჰქონდა შემოხვეული, თითქოს ეშინოდა, ჩვილი არავის მოეტაცა. ცარიელი ოთახი კიდევ უფრო შიშის მომგვრელი იყო. ერთადერთი ტახტი კუთხეში დასჯილი ბავშვივით იდგა.

გათენებისას დათომ აიგანზე ამოაბიჯა. თვალებმიბლეტილი ნინო მაშინვე წამოხტა. დათომ ცოლს ცივად შეხედა, მაგრამ იგი ამ დილით შეცვლილი ჩანდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს რაღაც იდუმალი ძალა ცოლისკენ ეწეოდა, მხოლოდ სიმკაცრე ვერ დაეძლია. ცოტა ხნის შემდეგ ცოლი აიგანზე გაიყანა. ქალი თვალებში შესციცინებდა, ოლონდ კი მას რაიმე ეთქვა და მაშინვე ყველაფერს ყურმოჭრილ ყმასავით აუსრულებდა. დათომ მხარზე ხელი გადადო, და ეს იყო პირველად მათი ერთად ცხოვრების მანძილზე, სახეზე კმაყოფილმა ღიმილმა გადაურბინა და უთხრა:

— მიწა ვიყიდე!

— მიწა?

— ჰო, დობიროს ბოლოში, დომენტის მიწა!

ქალი შეცდა.

— ამდენი მიწა რად გვინდა, როცა სახლში მაგიდა არ გვიდგას, — ვეღარ მოითმინა ქალმა, თუმცა იცოდა, იმ პატარა ბეღნიერებას, რომელიც წამით განიცადა, დაკარგავდა.

— როგორ თუ რად გვინდა! — გაბრაზდა დათო და ცოლის მხრიდან ხელი ჩამოიღო. მათ შორის ისევ სიცივემ დაიბუღრა. დათო მიხვდა, რომ ცოლთან არაფრის თქმა არ შეიძლებოდა. ეგონა, გაახარებდა, ნამოქმედარს მოუწონებდა და აი, არც მას არაფერი არ ესმის, არ ესმის მიწის ფასი. ყველაფერი ბედია, თორემ ათი ჰექტარი მიწის მქონე ქმარზე უკეთესი ვინ უნდა იყოს ქვეყნად.

— დარი ჩანს, ბოსტანს მიხედე, მე ყანას მოვჩალავ! — უთხრა უხეშად ცოლს დათომ.

ბოსტანი ათიოდე მეტრი იყო. მძინარე ბავშვი ნინომ ღვთის ანაბარა მიატოვა აკვანში და სახლის გვერდით მიყუდებულ თოხს ხელი წამოავლო. მას არ შეეძლო ქმრისათვის უარი ეთქვა. კვალი რომ გაიტანა, აკვანში ბავშვს დახედა, მერე ისევ ბოსტანში ჩავიდა. ბოსტნიდან ორასიოდე შეტრზე საყანე მიწა იყო. დაბალი, თხმელის ძველი ღობე ერტყა. აღმოსავლეთიდან ღელე ჩაუდიოდა. საყანე მიწას ხეხილის ბალი გასდევდა. ხი-

ნო ბოსტანს რომ მორჩა, ქმარს ყანაში საღილი ჩაუტანა. ცალ ხელში ბავ-  
შვი ეჭირა და ცალ ხელში უუთა. დათომ ფუთა ხის ქვეშ მოლზე გაშა-  
ლა. წარბი უკმაყოფილოდ შეკრა, საღილი ეცოტავა, თუმცა ქალისათვის  
არაფერი უთქვამს, დოქიდან ღვინო გადმოასხა და უსიტყვოდ გადაპკრა.  
ვეებერთელა ლუკმას პირში ისე იგდებდა, თითქოს საშური საქმე ჰქონ-  
და.

— წუხელ კრება იყო, გაიგე? — ჰკითხა ნინომ.

— ვიცი!

— რაო, რატომ შეიქრიბნენ, ხომ არ გაგიგია?

— არა, — ბოლმიანი ხმით უპასუხა დათომ. — არც მათ იციან, რა უნ-  
დათ. სულერთია, არ გამოუვათ! — ისე შეხედა ცოლს, თითქოს ის ყოფი-  
ლიყო დამნაშავე. — მიწა?!.. მიწა ჩემია. წართმევაზე რომ აქვთ თვალი და  
ყური, ეზრუნათ და ექნებოდათ. თავს წავაცლი, ვინც კი ჩემს მიწაზე ფეხს  
დაადგამს.

ქალმა ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— მიწა ვის მიაქვს?

— კოლექტივს! — და მან ლუკმა ნერვულად ჩაიგდო პირში, კბილის-  
ლრჭიალით ჭამდა. მერე თვალი გაუშეშდა და თავისთვის თქვა — არაფე-  
რი გამოუვათ, ცეცხლის ფასი მიმიცია შიგ. მამაჩემის მიწა ვინ უნდა წამა-  
რთვას! არა, არაფერი არ გამოუვათ.

ბაბუაჩემი დინჯად მიყვებოდა ამ ამბავს. მაგრამ ფარული ნერვულო-  
ბა და შინაგანი დაძაბულობა მაინც ეტყობოდა. რას ვიფიქრებდი, თუ ასე  
იმოქმედებდა წარსულის გახსენება, მით უფრო მას სრულებით არ ეხებო-  
და ეს ამბავი. როგორც ვიცი, ბაბუა ხელზე მოსამსახურე იყო სოფლის  
დუქანში. სახლ-კარი არ ჰქონდა, ღამეს დუქნის სხვენზე ათევდა თივა-  
ზე. მერე მეზობელ სოფლიდან ქალი მოიყვანა, ქალს მზითვად ძველი ქო-  
ხი ერგო, წერა-კითხვაზე მწყრალად იყო. რევოლუციის შემდეგ სოფ-  
ლის ახალი მაღაზიის დარაჯად დამდგარა. სოფელში მას პირველს განუცხა-  
დებია კოლექტივში შესვლის სურვილი. ასე მოვიდა იგი დღემდე, და ახ-  
ლა, როცა ვისმეს ცხოვრების უკმაყოფილებას შეატყობის, წარბს შეკრავს.  
ტუჩი აუთრთოლდება და ბრაზით ეტყვის, ეე... წინათ უნდა გეცხოვრა,  
წინათ და ნახავდი, რა იყო ცხოვრებაო. ბაბუაჩემმა ჩამოლარული ლაწვები  
მოიქექა და მიწას დააჩერდა. მე გავხედე მესერს მიღმა მიტოვებულ  
სახლს. თვალწინ წარმომიდგა დაცარიელებული ოთახები, მერე — მოგუ-  
ზგუზე ბუხარი და კუთხეში მიღვმული ტახტი.

— მერე, ბაბუა, რა მოხდა? — ვკითხე მე.

— კრების მესამე თუ მეოთხე დღეს სოფლის თავკაცები დათოს კარ-მიდამოს მიაღნენ, მიწა აუზომეს და მხოლოდ მისი კუთვნილი დაუტოვეს, რაც ახალი კანონით ერგებოდა. კრინტიც კი არ დაუძრავს, მხერებს იჩეჩდა და ამბობდა, თქვენი ნებაა, თქვენი ნებააო. თითქოს სრულებით არ უმოქმედია მიწის ჩამორთმევას, სინამდვილეში კი დაბოლმილი სახლი-დან არ გამოდიოდა. ამბობდნენ, სახლში დაჭრილ ვეფხვივით ღრიალებდაო. ერთი წლის შემდეგ ნინო გარდაიცვალა, ალბათ, წამებისაგან. სწორედ იმ დღეს დათოც გადაიკარგა. საწყალი ნინო მეზობლებმა დავასაფლავეთ. გავიდა კარგა ხანი და სოფელში ხმა დაირჩა, დათო საზღვარგარეთ გაქცეულაო. ასეთია, შვილო, ხარბი კაცის ბედი!

— გიგლა?

— გიგლამ საშუალო სკოლა დამთავრა და სოფელმა თბილისში სა-სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გაგზავნა. — თავი სინანულით გააქნია. — ცოტა მაშინებს მისი გადაწყვეტილება, მამასავით ეგოისტი არ გამოვიდეს!

სოფელში თხუთმეტი დღე დავრჩი, ძალიან მაინტერესებდა გიგლას ამბავი, ვერ გამეგო, რატომ აპირებდა იგი სახლის გაყიდვას. ახლა ხომ სხვა დროა, სხვა ადამიანები მოვიდნენ, მით უფრო, გიგლამ მამისა არაფერი იცოდა, მამამ იგი მიატოვა იმ დროს, როცა სწორედ მამა მშობელი ცჰირდებოდა.

მე ბაბუაჩემს სიმინდის ყანაში დავყავდი, არ მერიდებოდა. თოხს ხელში მომცემდა და მეტყოდა, ნაპირში ჩადექიო. მას მუშაობა აღარ შეეძლო. დღეში ერთ-ორ საათს თუ წაიმუშავებდა, მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემთვის მაგალითი მოეცა. მაგონდებოდა მისი სიტყვები: ვისაც ხელში თოხი არ აუღია და ოფლი არ მოუდენია, შრომის ფასი არ იცისო, ასეთი კაცი უსაქმურობას ეჩვევა და ცხოვრებას იოლი გზით აპირებსო. მართალია ბაბუაჩემი! იგი ხომ მან გლეხური გულწრფელობით მითხრა, ყველაზე წმინდა და კეთილშობილური გრძნობით,

გამომგზავრების წინა დღეს შევნიშნე, შიტოვებული სახლის კარი გაიღო. მესერს მივადექი — ათამდე ბიჭი იქნებოდა, ქალაქელები იყვნენ, მაგრამ არ ვიცი, რომელი იყო მათ შორის გიგლა. ერთი საათის შემდეგ მათ ღობე მოარღვიეს, ცალ ყურზე ჩამოკანონწიალებული ჭიშკარი შეკიდეს, ეტყობოდა, ახალი ღობის გამართვას აპირებდნენ.

— გიგლას ქალაქიდან ამხანაგები ამოუყვანია, — თქვა კმაყოფილი ღიმილით ბაბუაჩემა.

— სახლს აღარ ყიდის! — გვითხრა საღამო ხანს ჩემმა ბიძაშვილმა. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა, ორლობეში ისმოდა საქონლის ბლავილი

და დროდადრო ძალის ყეფა. ტიტლიკანა ბიჭები ფერდობზე ოხებს მიუ-  
რექებოდნენ, ერთი ცხენჯოხზე გადამჯდარიყო. ცოტა ხნის შემღევე გიგ-  
ლის ეზოდან ვეებერთელა ცეცხლის ალი ცას მოედო. მესერს მივადეჭრ,  
გიდექი და ვუყურებდი ბიჭებს, რომლებსაც ეზო მოეწმინდათ და შუა  
ეზოში ცეცხლი დაენთოთ. ვუყურებდი ამ ცოტა ხნის წინათ მიტოვებულ  
სახლს და ვერაფერი მეთქვა, ალბათ, საკუთარი სახლის აშენება ისე არ  
გამახარებდა, როგორც ამ ამბავმა გამახარა.



## გიორგი სალექჩეპე

### ვ ი ძ რ ი

უსასრულოა მხოლოდ სამყარო,  
სიცოცხლეს ჩვენსას უდევს საზღვარი.  
დღემ დღევანდელმა უნდა გვახაროს,  
ხვალინდელი დღე ჩვენი არ არის.

მუდამ გვგონია, რომ ხვალ ვიცხოვრებთ  
და დღე ილევა ხვალისთვის ზრუნვით.  
დღე დღევანდელი ჰყარგავს სიცხოვლეს  
და დღე გველევა დღე-ლამის ბრუნვით.

სიყმაწვილეში გავფლანგავთ წუთებს,  
ვხარობთ სიძუნწის უარმყოფელნი.  
მერე ბავშვობას გვსურს დავუბრუნდეთ,  
დაგვენანება წუთისოფელი.

არც ერთი წუთი არ მეორდება  
და გვაიმედებს ლოდინი ხვალის  
და მხოლოდ მაშინ ვიწყებთ ცხოვრებას,  
როცა სიცოცხლეს გაუდის ყავლი.

სიკვდილი არვის არ შეიცოდებს,  
მზანი დარის ბნელით შემცვლელი  
და ვადლეგრძელებთ კაცის სიცოცხლეს,  
ცხოვრება ისეც არის დლეგრძელი.

და გვანუგეშებს შვილების აღზრდა,  
დავაკაცებთ და მერე ვშორდებით.  
ასე გრძელდება ცხოვრება კაცთა.  
ჩვენ კი არასდროს განვმეორდებით.

და მზე იბრწყინებს შინ და გარეთაც  
და სიკვდილამდე ჩვენ მზესა ვფიცავთ  
და ასე ბრუნავს ჩვენი პლანეტა  
რომელსაც კაცი ეძახის „მიწას“.



მაღლობა შენდა, მზეო, რომ გხედავ,  
და რომ ხარ დილის მახარობელი!  
მაღლობელი ვარ, რომ მერგო ხვედრად  
ვერდასათმობი წუთისოფელი.



## „პ ს ე ი ღ მ ნ ი“

გამომეღვიძა.

ძალიან შეუძლოდ ვიყავი.

თვალები ახვეული მქონდა, მტკიოდა.

თავს ვერ ვანძრევდი, ტყვიასავით დამმძიმებოდა.

თანდათან გონს მოვედი, აზრი მოვიკრიფე.

ირგვლივ სიჩუმე სუფევდა; ვერ გამერკვია ლამე იყო თუ დღე.

გემის ძალური დანადგარების ძაგძაგი არ იგრძნობოდა.

არც მეზღვაურების ჩამი-ჩუმი ისმოდა.

ჰაერი წამლების სუნით იყო გაუღენთილი.

თავში ფიქრების კორიანტელი დატრიალდა, მინდოდა ვინმესთვის დამეძახა. სწორედ ამ დროს კარის ყრუ ჭრაჭუნი მომესმა, ვიღაც ფრთხილად შემოვიდა. მომიახლოვდა. შუბლზე თითები დამადო.

— ვინ ბრძანდებით? — ძლივს ამოვიღე ხმა.

— მაპატიეთ, მეგონა, გეძინათ. მე თქვენი მომელელი ვარ. უანა მქვია.

— ყოველ სიტყვას გარკვევით და აუჩქარებლად წარმოთქვამდა.

— სად ვარ?

მარსელის პოსპიტალში. თქვენი მკურნალია პროფესორი ანრი ლეფ-რანსე. იგი დიდი ექიმია და მალე მოგარჩენთ, ოღონდ საჭიროა მისი რჩევა-დარიგება ზუსტად შეასრულოთ. თქვენ ჯერჯერობით არ უნდა ილაპარაკოთ. ეს ბატონი პროფესორის თხოვნაა. — ნათქვამი წინასწარ მომზადებულს და დაზეპირებულ მონოლოგს მოგავდა.

კიდევ რაღაც უნდა მეკითხა, მაგრამ უანამ დამასწრო.

— გთხოვთ, არ ილაპარაკოთ.

რა გაეწყობოდა, გავჩუმდი. ფიქრები ამეშალა.

რა დამემართა, რა მოხდა ამ უკანასკნელ დღეებში?

ჩვენი გემი სტრომბოლის კუნძულს მიუახლოვდა. ამ კუნძულის ვულკანის თეთრი ბოლი ზღვის მოლივლივე ზედაპირს ეფინებოდა. თითქოს არავითარი ხიფათი არ მოგველოდა, მაგრამ...

სამანქანეში საწვავი აფეთქდა.

ცეცხლის აღი სახეზე მეტა.

სახანძრო განგაშის ზარების ჩართვა მოვასწარი. შემდეგ კი რას გა-  
ქოთებდი, ან რა დამემართა, ან მახსოვს.

— ბონუსურ მუსიო არჩილ. — უცნობის ბოხმა ხმამ ფიქრიდან გაძო-  
მიყვანა, თავში გამიელვა: ექიმი.

— ბატონი პროფესორი ლეფრანსე მოგესალმებათ. — მითარგმნა ჟანაც.

— გამარჯობათ, ბატონო პროფესორო! — ვუპასუხე მე.

ექიმმა მაჯისცემა შემიმოწმა, ჩახველა. სტეთოსკოპით გულმკერდი  
გამისინჯა. მერე მომმართა.

— ბატონო არჩილ. თქვენი გული ნორმალურ მდგომარეობაში.  
თვალის ტკივილიც გაგივლით. სულ მალე თქვენს ლამაზ ბათუმს დაუბ-  
რუნდებით. ამხანად კი გჭირდებათ სრული სიმშვიდე. ლაპარაკსაც უნდა  
ერიდოთ. ძილი ნებისა. — თქვა პროფესორმა და ოთახიდან გავიდა.

— ქალბატონო ჟანა.

— გისმენთ.

— თქვენ სად ისწავლეთ რუსული ენა?

— მე მარსელის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ვსწა-  
ვლიბ. ბატონო არჩილ... უკვე გვიანია, საღამოს ათი საათია. მე აქვე მე-  
ზობელ ოთახში ვიქნები. თუ რამე დაგჭირდეთ, ზუმერის ლილაკს თითო  
დააჭირეთ. ძილი ნებისა!

— ქალბატონო ჟანა. კიდევ ერთი შეკითხვა: სტუდენტს აქ რა უნდა?

— მამაჩემი აქ მუშაობს. თქვენ რომ პოსპიტალში მოგიყვანეს, პრო-  
ფესორს გაახსენდა ჩემი რუსული და მომიწვია. სანამ თქვენ აქ ხართ, მე  
სამუშაო მექნება და ენაშიც გავიწაფები, რა თქმა უნდა, თქვენი დახმარე-  
ბით. მაპატიეთ, ნუ დავარღვევთ ექიმის დარიგებას, ძილი ნებისა.

— ძილი ნებისა, ქალბატონო ჟანა, — ვუპასუხე და გავჩუმდი. ჩემი  
ფიქრების პირისპირ მარტოდმარტო დავრჩი.

„საღაა ჩემი გემი? ნუთუ წავიდა? აცნობეს თუ არა დედაჩემს ჩემი აქ  
ზარჩენის მიზეზი? პროფესორმა კი მითხრა, სულ მალე მორჩებიო, მაგრამ  
რამდენ ხანს გასტანს ეს „სულ მალე?“ ამ კითხვებისა და სხვა მრავალი  
რებუსების ამოხსნაში ჩამეძინა კიდეც.

მესიზმრა: მე წითელაფრიან იახტაზე ვდგავარ. ირგვლივ თვალისმო-  
შვრელად ბრწყინვას წყლის ტატნობი. იახტა სწრაფად მისრიალებს. უცემ  
ამთაგორებული ხმელეთი ამოვიდა ზღვიდან. ცა მთებს იქით ვარდისფრად  
შეიღება. ერთ-ერთ მთის მწვერვალზე შავსამოსიანი მოხუცი ქალის სი-  
ლუეტი გამოჩნდა. მას ხელები ცისკენ აღეპყრო, ზღვათა მეფეს ეველრე-  
ბოდა:

„მეზღვაურების მფარველო მეუფევ! ჩემი პირმშო მშვიდობით ჩამო-  
ნიყვანე. გემუდარები!“ დედის ხმამ მთებსა და ზღვებს გადაუარა. მე რაღა

გამაჩერებდა, ვიყვირე რაც ძალა მქონდა, მაგრამ, ოოგორც ხშირად ხდება ხოლმე სიზმარში, კრინტიც ვერ დავძარი, ხმა ჩამიწყდა. თითქოს ვი-  
გულებოდი...

— ბატონო არჩილ, ბატონო არჩილ, — ყურს ჩამძახოდა ვიღაც. გამოვფხიზლდი. ღრმად ამოვისუნთქე.

— ბატონო არჩილ, მაპატიეთ, ძალიან ბორგავდით და გაგალვიძეთ. ალბათ, ცუდი სიზმარი ნახეთ. — შემიბრალა უანამ.

— ქალბატონო უანა, თქვენ მიხსენით, თორემ გული გამისკდებოდა. შემაშფოთა და გამაშმაგა საზარელმა სიზმარმა.

— ბატონო არჩილ, მე ჯერჯერობით ქალბატონი არა ვარ. დამიძახეთ უბრალოდ უანა.

— მაშინ მეც მომხსენით ბატონის ტიტული.

— თანახმა ვარ, ოლონდ დამშვიდლით, მალე პროფესორიც მოვა, ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენი ლაპარაკი არ შეიძლება. — უანამ ისეთი ტონით გამოთქვა უკანასკნელი ფრაზა, რომ ვეღარ შევეღავე.

ნაშუადღევს მეგობრები მეწვივნენ გემიდან. მეზღვაურები უანას გაეფრთხილებინა, ავადმყოფს ბევრი ლაპარაკით ნუ შეაწუხებთო. ძმაკაცებმა გადმომცეს, რომ მაშინ ხანძარი ჩქარა ჩაექროთ. სამანქანო დანადგარები რიგზეა და შენს დაბრუნებას ველითო. პატარა ტრანზისტორი მომიტანეს.

დამშვიდობებისას ჩვენი გემის კაპიტანმა ბონდო ჭანდიერმა მითხრა:

— ჩემი არჩილ, არ შეგეშინდეს, დედაშენს ყველაფერს ავუხსნით და გაგამნევებთ. შეგიძლია ჩვენს საელჩოსაც დაუკავშირდე პარიზში. სხვა დანარჩენი ყველაფერი მოგვარებულია. შენი მომვლელი იისფერ-თვალებიანი ქალიშვილი კი არ მოგაწყენს. ამაში ეჭვი არ მეპარება.

მეგობრების ნახვამ გამახარა და გამახალისა.

უანა მეუბნება:

— არჩილ, რა კარგი მეგობრები გყოლიათ. ერთ-ერთმა მაოგანმა, შენსავით გოლიათმა მითხრა, არჩილი რომ მოაწყინოთ, მარსელს გადავაბრუნებთო. მე კინალამ სიცილი წამსკდა... ჰო, მართლა, მაპტიეთ, თქვენი მოსვენების დროა...

ჩვენი გემი საღამოს უნდა გასულიყო. მე სმენად ვიყავი ქცეული-ხან ერთი ხან მეორე გემი აყვირდებოდა. ჩვენი გემის საყვირი კი გვიან ღამით გაისმა. ხმას მაწვდიდა ჩემი ტანკერი. ეს გამოთხოვების დვრინი იყო. ზუმერის ღილაკს თითო დავაჭირე. იმშამსვე უანა შემოვიდა.

— არჩილ, რა მოხდა?

— აი, ამ წუთს ჩემი გემი გადის ზღვაში.

— თქვენ საიდან გაიგეთ!

— მე ჩვენი გემის საყვირის დვრინს ყველასაგან გავარჩევ. აბა ყურა დაუგდეთ, გესმით?

— არა, არჩილ, არ მესმის — შეწუხდა უანა.

— ძალიან გოხოვთ დაურეკოთ ნავსადგურის ზედამხედველს და ჰკი-  
თხოთ, რომელი გემი გადის ჩრდილოეთ აუზზიდან.

უანა დაბრუნდა და დამიმოწმა, ახლა მართლაც თქვენი გემი გადი-  
ს. ჩვენი გემის წასვლამ გული ამიჩუყა, თითქოს დავობლდი. რა გაეწ-  
ყობოდა. ჩემს ხვედრს შევურიგდი.

დღე დღეს მისდევდა. სიბნელე კი ჩემი თანამგზავრი გახდა, თვალე-  
ბის გახელა არ შემეძლო. ერთხელ თვალთასახვევის მოხსნა ვცადე, ამაღლ.

უანა დღედაღამ თავს დამტრიალებდა, რომ მარტოობა არ მეგრძნო.  
მე კი მისი ხილვა არ შემეძლო. იგი ფრანგი ქალებისათვის ჩვეული სიკე-  
ლუციო მეტყოდა ხოლმე, შენთვის არა აუცილებელი მიჭვრეტდე, ისიც  
კმარა, რომ მე გიცქერ და გელოლიავებიო.

ძალიან შევეჩვიე უანას, უიმისოდ ვერ ვძლებდი. ცოტა რომ შეაგვიან-  
დებოდა, მყისვე ზუმერს ავაზუზუნებდი. და იგიც შურდულივით შემო-  
იჭრებოდა ოთახში.

— მითხრეს, შენი „პოსეიდონი“ გეძახისო, რაშია საქმე ზღვის მეუ-  
ფევ? — მეტყოდა და ლალად გაიცინებდა.

მე რატომდაც ამ ჰოსპიტლის ქალებმა ზღვის ღმერთად მომნათლეს.  
შეტსახელი თითქოს შუბლზე წამაწერეს. ყველა მსახურს „პოსეიდონი“  
უკვრა ენაზე. თუმცა, ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა; მას შემდეგ, რაც მე  
ლოგინად ჩავარდი, შავი წვერულვაში მომეძალა.

ხანი გამოხდა.

პროფესორმა ნება დამრთო, თავისუფლად მელაპარაკა. თვალზე სი-  
ზარულის ცრემლი მომადგა. თუ გინდა სასტიკად დასაჯო ადამიანი, მას  
ლაპარაკის უფლება უნდა წაართვა. ადამიანისათვის ამაზე მწარე სას-  
ჭელი მგონი არც არსებობს. უმწეო და უსუსურია უენო კაცი. განა სა-  
შინელი არ არის, ენა გქონდეს და ვერ ლაპარაკობდე, თვალი გქონდეს  
და ვერ ხედავდე. ასეთი სენი ჩემს მტერს! მართალი უთქვამს პოეტს: „ძნე-  
ლი არის მარტოობა სულისა“.

უანა იყო ჩემი სულისჩამდგმელი. მას შემდეგ დიღმა ღრომ განვლო.  
მაგრამ უანა ახლაც თვალწინ მიდგას. იგი ხშირად იჯდა ჩემს სასოფუმალ-  
თან. ძალიან უყვარდა სიტყვა, ლაპარაკი ეხერხებოდა. დღე და ლამე რომ  
ებაასა, არ დაიღლებოდა.

უანა ყოველდღე გაზეთებს მიკითხავდა. პატარ-პატარა იუმორისტუ-  
ლი ნოველებით მართობდა. ხანდახან ტრანზისტორს ჩართავდა. თბილი-  
სის ტალღას მოძებნიდა.

— არჩილ, ეს ხომ თბილისია? — მეკითხებოდა, როცა დიქტორი  
იტყოდა: „ლაპარაკობს თბილისი“...

ერთხელ მან აღფრთოვანებით მითხრა:

— არჩილ, იცით რა? დღეს ჩემი ფილოლოგები გინახულებენ. ჩამ-

ცოვლნენ. გინდა თუ არა, შენი „პოსეიდონი“ უნდა ვინახულოთო. რას მე  
ტყვით?

ამ ამბავმა მეც გამახარა. გული კი მწყდებოდა, რომ მათ ვერ ვიხილა—  
ვდი, მაგრამ რა მექნა?

სალამოუამს სტუდენტების მთელი ჯგუფი მესტუმრა.

მე საწოლზე წამოვჭერი.

სტუდენტები სათითაოდ მომესალმნენ: „პოლი“, „ლუიზა“ „შარ-  
ლი“...

ერთ-ერთი მათგანი, შარლი რომ ერქვა, ინგლისურად გამესაუბრა,  
რაღვანაც თქვენ მეზღვაური ბრძანდებით, უთუოდ ინგლისური გეცოდი-  
ნებათო, მითხრა. აქ უნდა შევნიშნო, რომ ფრანგებს თავიანთი ენა დღესაც  
კი ყველა სხვა ენათა მეფედ მიაჩნიათ. მიუხედავად ამისა, თანამედროვე  
ფრანგი ახალგაზრდობა სხვა ერების ენებს მონდომებით ეწაფება.

სტუდენტებთან საუბარმა დიდხანს გასტანა. მსჯელობის მთავარი  
თემა უმთავრესად მწერლობა იყო. გავიხსენეთ რომენ როლანი, რუსთავე-  
ლი, პუშკინი, შოლოხოვი, გამსახურდია... საინტერესოდ წარიმართა აზ-  
რთა გაცვლა-გამოცვლა.

სჯა-ბაასში ომისა და მშვიდობის თემაც შემოიჭრა.

— ახლანდელ ვითარებაში დიდი სიფრთხილე გვმართებს ადამიანებს—  
— დღეს დედამიწა უფრო მძიმეა და თანაც პატარა.

— კაცობრიობამ უნდა შეინარჩუნოს თავისი აკვანი...

კიდევ ბევრი რამ ითქვა, აიწონ-დაიწონა და.. გვიან სალამოს დავშორ-  
დით ერთმანეთს.

დრო გადიოდა.

უანა სულ ახალ-ახალ ამბებს მიყვებოდა. ერთხელ ანაზღად ხელი ჩამ-  
ჭიდა და სიცილით მითხრა:

— არჩილ, მე მომწყინდა ამ ოთახში, ქალაქში წავიდეთ.

— მე რომ აქედან წასვლა შემეძლოს, ამ ოთხ კედელს შორის რა გა-  
მაჩერებდა. დღო მოვა და მარსელსაც ვნახავ. — ვუპასუხე მე.

— რა თქმა უნდა, ნახავ. მე კი მინდა, ქალაქი აქედან გაგაცნო. ჩვენ  
აი, ახლა, თითქოს ბელუის სანაპიროზე ვსეირნობთ. გამიგეთ? — რა უც-  
ნაური გოგო იყო უანა, სად არ მივყავდი. სად არ მატარა... მე ნაკლებად  
შევხვედრივარ ახალგაზრდას, ჩვენთან თუ სხვა ქვეყნებში, რომელსაც  
მშობლიური ქალაქი უანასავით უყვარდეს.

— ბელუის სანაპიროს ისტორიამ ოცდახუთი საუკუნე აკინძა. ჩემს  
მარსელს აქ ჩაეყარა საფუძველი. — დაიწყო უანამ. — ზღვისპირის გასწ-  
ვრივ ათი დიდი აუზია. თითოეულ მათგანში რამდენიმე გემთმისადგომია.  
ნავსადგური ერთდროულად ხუთასამდე გემს ემსახურება.

— შეხედეთ, — უანამ ხელი გაიშვირა,—რამდენი ნავი და კატარლა-  
დგას ნავსადგურებთან. ეგერ, იმ დიდ კატარლაზე კაფე-რესტორანია. იქვე

პატარა გემი რომ მოსჩანს, ცოცხალი თევზებით უმასპინძლდება კლიენტებს, შეგვიძლია შევუკვეთოთ ატლანტის მფრინავი თევზის, გველოვევზას, ვინდა ქამბალას კერძი.

ქალაქის ხალხმრავალი სანაპირო ბუბუნებდა, ის თავისებურად ლაპა ზია. აქ თითქმის ყველა ჭურის კაცს შეხვდებით. ბელუის სანაპიროზე გამოსული არსად არ მიიჩქარის. ალუირელ ზანგებს შავი ხისაგან გამოკვეთილი პრიალა უცნაური ფიგურები გამოეტანათ. აგერ ორი ყმაწვილი ჩამჯდარა, მხრებზე გიტარა გადაუკიდიათ და სასოწარკვეთით მღერიან. მათ წინ დაგდებულ ქუდში დროგამოშვებით სპილენძის ხურდა ფული ჩხარუნით ეშვება. ნაირნაირ წვეტიან ფოსტლებში ტიტველი ფეხი წაუდგამთ და სეირნობენ გოგუცანები, კეკლუცი ქალიშვილები და თავმომწონე მანდილოსნები.

— ასეთია, ჩემო არჩილ, ჩვენი ბელუი. მოგწონს? — გულუბრყვილოდ მეკითხება უანა.

მე ხელზე ვეამბორე მას.

გადიოდნენ დღეები.

მე სულ უფრო და უფრო კარგად ვგრძნობდი თავს.

დღეჩაგდებით საოპერაციოში მივყავდით. პროფესორი ლეფრანსეუ ვირადად შიკეთებდა ოპერაციებს, თვალთასახვეეს მომხსნიდა, მალამოს დამადებდა. მაიმედებდა, კიდევ ცოტა ხანი და თვალები მოგიშუშდებაო. მეც ვამჩნევდი, რომ, რაც დრო გადიოდა, თვალში სინათლე მემატებოდა.

მე და უანა ყოველ საღამოს ხელიხელჩაკიდებული ვსეირნობდით. ჩემი ოთახი არ იყო დიდი; მაგრამ როცა უანა მარსელის რომელიმე კუთხის აღწერას დაიწყებდა, ჩემი ფრთაშესხმული წარმოდგენა ქალაქის უკიდეგანო მიდამოებში დამაქროლებდა. დიდია მარსელი.

— მარსელი სქელტანიანი რომანია, — ხატოვნად მეუბნება უანა, — მისი ფურცლები უხვადაა მიმოფანტული ქალაქში. მე ამ თხზულებას ნელა ვფურცლავ და მხოლოდ მის ზოგიერთ გვერდს ვკითხულობ. შეიძლება ჩემს მარსელს ჭარბად ვასხამდე ხოტბას, რა ვქნა, მიყვარს.

ჩემი საათის ისარი სულ იმას მაგონებდა, რომ დღეს თუ ხვალ მარსელს დავემშვიდობებოდი.

— აბა, ჩემო არჩილ, ამ საღამოს ზღვაში გავცუროთ, ჩვენი იახტა ბელუის სანაპიროდან გავა. — მეუბნება ჩემი მეგზური.

უანა ჩემს მარცხენა მკლავს ორივე ხელით ჩაეჭიდა, თავით მხარზე მომეკრა და ასე ვსეირნობდით ოთახში. ხუთი ნაბიჯი წინ, იმდენივე უკან. ოთახის ღია ფანჯარაში ჭარბის ფოთლების ტლაშუნი გაისმოდა. მე ბოლო ზანებში, როგორც კი სიარულის ნება დამრთეს, ხშირად ვეთამაშებოდი ახავერდებულ ფოთლებს. ხანდახან სახეს მივუშვერდი. მახარებდა მათი ალერსი. საღლაც გულის სილმეში საამოდ მიღიტინებდნენ ფოთოლთა წაწიბურები.

ამ საღამოს ჟანას ზღვაში გასვლა რატომ მოუნდა მეთქი, გავიფიქრებაგრამ, რაღანაც ვიცოდი, ის რაღაც მორიგ სიურპრიზს მიმზადებდა, ჩავუკარი:

— განა ზღვაში გასეირნება მარსელის ღირსშესანიშნაობათა მარშრუტებს ეკუთვნის?

— ერთი ამას შეხედეთ! თქვენ დიდი საძაგელი ვინმე ბრძანდებით. მოთმინება არა გაქვთ, „პოსეიდონი“ კი ყველაზე მომთმენი უნდა იყოს.

— ესა თითქოს მებუტებოდა.

ჩვენმა საექსკურსიო იახტამ კუნძული იფი ამოიღო მიზანში. კუნძულამდე ორიოდე მილია. იგი უზარმაზარ ციცაბო კლდედ ამოსულა ზღვიდან. ამ პატარა კუნძულზე ოდესლაც ციხე-სიმაგრე აუგიათ. მის სანაპიროს რესტორნები ანათებენ. გიდები თავს არ იზოგავენ, რათა იფის ისტორია ვრცლად და ლამაზად დახატონ. ამ ციხე-სიმაგრეში გრაფი მონტეკრისტო იყოვო დამწყვდეული. აი მისი საკანიც. აქედან აბატის საკანში გაყვანილი გვირაბი გვანახეს. გიდმა ციცაბო კლდის პირას მიგვიყვანა. თავმოკრულ ტომარაში ჩასმული მონტეკრისტო ამ ადგილიდან ზღვაში გადაიროლესო, გვითხრა. კრისტომ ტომარა დანით გამოიტატრა და თავს უშველაო. ის რომ მეზღვაური არ ყოფოლიყო, ზღვას ვერ გადაურჩებოდაო.

— ალექსანდრე დიუმას მიერ შეთხვული ეპიზოდი ლეგენდად იქცა. სარეკლამო ბიურომ კი ეს ლეგენდა შეალამაზა და ნამდვილ ამბავად მონათლა. ასეა თუ ისე, იფის ციხე-სიმაგრე, როგორც მარსელის წარსულის მოწმე, თავისთავად საინტერესო ძეგლია. ბევრს იზიდავს იფის ისტორია. — მეუბნება ჟანა.

ჟანამ ტრანზისტორი ჩართო.

რაღიომიმღები ახრიალდა. თბილისის ტალღა „დაისის“ მელოდიებს მოათავაშებდა.

მე უკვე კარგად ვიყავი.

ჟანამ მომახარა, ხვალ თვალს აგიხელენო. რა თქმა უნდა, მესიამოვნა, მეგონა, პირველად ვიხილავდი სამყაროს.

ეს ღლეც დადგა. ჩემს ირგვლივ ფუსფუსებდნენ, ემზადებოდნენ, მეცუმრებოდნენ...

პროფესორი ლეფრანსე ბუხუნით შემოვიდა. ჩვეულებრივად მომე-ალერსა. თავს როგორა გრძნობთო, მკითხა. თვალთასახვევი მომხსნა, ბანდი მომაძრო და მოულოდნელად... რუსულად ალაპარაკდა.

— აბა, ბატონო არჩილ, შემოგვედეთ!

თვალები გავახილე, დავხუჭე, კვლავ ავსწიე ქუთუთოები. ჩემს წინ თეთრხალათიანი დასტაქრების ჯგუფი იდგა. შუაში ქათქათა წვერულვაშიანი კაფანდარა პროფესორი ლეფრანსე ილიმებოდა. თეთრხალათიან ქალიშვილებში ჟანა ვერ ვიხილე, მეწყინა.

— დიდი მაღლობა, ბატონო პროფესორო! — თაყვანისცემით ვეუბნები ჩემს მკურნალს.

პროფესორის და მისი კოლეგების თვალში დიდი სითბო და სიუცვარული გამოკრთოდა. ყველას სიხარული ეხატა სახეზე.

პროფესორმა ლეფრანსემ მითხრა, დღეს პარიზში უნდა გავფრინდეო.

— სად არის უანა? — გავტედე მეკითხა.

— უანას ცოტა დააგვიანდება. ახლა მოისვენეთ, მერმე ნივთები ჩააღეთ და წასვლისას ჩემთან შემოიარეთ. — მეუბნება პროფესორი.

კაბინეტის კარი შევაღე. იგი ძალიან დიდი მეჩვენა. მარცხენა კუთხეში პატარა საწერ მაგიდას უჯდა პროფესორი. მარჯვენა კედელზე იალქნიანი გემის მომცრო სურათი ეკიდა. პროფესორი წამოდგა და ჩემსკენ გამოემართა. ვიღაცას დაუძახა. კაბინეტის უკანა კარი გაიღო. მსახურმალინგარზე დადებული ორი ბოკალი და ერთი ბოთლი შამპანური შემოიტანა.

— ბატონო არჩილ, გზა დამილოცნა. გისურვებთ ჭანმრთელობას, კვლავ ზღვებზე ჭირითს და ბედნიერებას.

— ბატონო პროფესორო, თქვენი ესოდენ პატივისცემა არ ვიცი რით გადაგიხადოთ, იყავით დღეგრძელი. — როგორც იყო ვთქვი.

კაბინეტი დავტოვეთ. ხალიჩებით მოფენილი გრძელი კორიდორი ვავიარეთ. უანა არსად ჩანდა. ეზოში გამოვედით. ჭალრების ჩრდილში გრილოდა. ქუჩაში რომ აღმოვჩნდით, პროფესორმა შემაბრუნა და მითხრა:

— ბატონო არჩილ, აი, იმ მთაზე ტაძარს თუ ხედავთ? — მე თანხმობის ნიშნად თავი დავუკარი.

— ის ტაძარი ცნობილი ნოტრ დამია. მის სამრეკლოზე მარიამ ღვთის-მშობლის მოოქროვილი ქანდაკება დგას. ჩვენში მარიამი მეზღვაურების და მეთევზების მფარველადაა აღიარებული. არსებობს ძევლებური თქმულება: ზღვაში ხიფათს გადარჩენილმა მეზღვაურმა მარიამს საჩუქარი უნდა მიუძღვნას. ავიდეთ ნოტრ დამზე, — ამ სიტყვებით პროფესორმა იქვე მდგარ მანქანისაკენ გასწია. მძღოლს მივესალმე. მან ღიმილით ვამომიწოდა ხელი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ამ შოთერს დიდი ხანია ვიცნობდი.

„რენო“ სულ მაღლა და მაღლა მიგვაჭანებდა. ხვეული გზა ნოტრ დამის შესასვლელ კარებს მიადგა. ეს უძველესი ტაძარი თითქოს ციდან გადმოჰყურებს მარსელსა და ზღვას.

ტაძრის წინ აგებულ ტრიბუნისებრ აივანზე ავედით. მარსელი და მისი მიღამოები თვალშინ გადაგვეშალა.

პროფესორი მეუბნება:

— ბატონო არჩილ, გადახედეთ ჩვენს ქალაქს, ზღვის ამთავორებულ სანაპიროზე ამფითეატრად განფენილს. მთელი ჩემი ახალგაზრდობა:

აქ გავატარე. აქვე მოვხუცდი. მე თავი მომაქვს იმით, რომ „მარსელიოზას“ სამშობლო რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ფუქემდებელია ჩემს ქვეყანაში. ფრანგი კომუნისტები თავიანთ პირველ ყრილობიზე აქ შეიკრიბნენ. ყველაზე ახალგაზრდა გახლდით. მას შემდეგ თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო. მაგრამ მე შემიძლია სიამაყით განვაცხადო, რომ მარსელის კომუნისტები დღესაც ავანგარდში ვართ... მომიკითხე თქვენი საყვარელი სამშობლო. თუკი მარსელში მოხვდებით, გვინახულეთ, გაფვიხარდება.

პროფესორმა გულში ჩამიკრა.

მე თვალი ამიცრემლდა, სიტყვა ყელში გამეჩირა. ირგვლივ ტურისტები გაოგნებული შემოგვცემეროდნენ.

გაფრენის დრო ახლოვდებოდა.

ნოტრ დამიდან პირდაპირ აეროდრომისაკენ გავსწიეთ. აეროპორტის ვაგზალში ზღვა ხალხი ირეოდა.

პროფესორმა გასასვლელისაკენ წამიყვანა. უბის ჯიბიდან ორად დაკეცილი კონვერტი ამოილო და მითხრა:

— ეს ბარათი თქვენია, უანამ გადმომცა. ნახვამდის, ბატონო არჩილ!

— ნახვამდის, ბატონი პროფესორო! — დავემშვიდობე ეჭიმს და თვითმფრინავისაკენ გავსწიე.

ფანჯარასთან მოვალათდი.

ძრავები აგუგუნდნენ.

პროფესორ ლეფრანსესთან ვიდაც ქალიშვილი მიიჭრა. ქერა თმები მხრებზე ეყარა. ლია ცისფერი კაბა ეცვა. ხელში წითელი ყვავილების კონა ეჭირა. პროფესორმა ჩემსკენ გამოიშვირა ხელი. ეს უანა იყო.

თვითმფრინავი მოსწყდა ადგილს.

უანამ ყვავილების კონა მაღლა ასწია და ლონივრად დაარხია. ვარდის ფურცლები პეპლებივით დაფარფატებდნენ ჰაერში.



## რევაზ ართილავა

### მწიფობისთვა

ლურჯი სიჩუმიდან დილის მზე  
 მთებს ფრთხილად ამოაქვთ ხელებით,  
 მშვენიერ ქილისგან იღვიძებს  
 თვითონ მშვენიერი ხმელეთი.

მწიფობისთვე მოვიდა ფოფინით.  
 სიმწიფით, ეშხით და მშვენებით.  
 ყველან და ყველაფერს მოჰყინა  
 სიუხვის, სიმსუყის ფერები.

მიღამომ დაიდო ოქროსფერი,  
 ქვეყანა სიტყბოში ჩამდნარა,  
 სავსე საწნახელში  
 ოქროს რთველი  
 შიშველი ფეხებით ჩამდგარა.

მზეზე იღვენთება,  
 მზეში იფერება  
 შემოდგომის მსუყე და  
 მსუქანი ფერები,  
 გულმოწყალე მზე  
 ფერებს ეფერება  
 და მაინც ვერ ძღება  
 ფერების ფერებით.



ტ. დ. აგეაონი

## ც უ ლ მ ღ ა გ ლ ო გ ა

ტ. დ. აგეაონი ფილიპინელი მწერალია. იგი ცნობილი ნოველისტი და პოეტია, წერს ინგლისურ ენაზე. ნოველა „სულმდაბლიობა“ დაიბეჭდა თანამედროვე ფილიპინური მწერლობის ანთოლოგიაში.

ნაშუადლევს, დაახლოებით ექვს საათზე, როცა მოსამსახურეები შინ ჯრუნდებოდნენ, მოხუცი მასთან მიღიოდა, კაცი ქუჩის იმ კუთხეში გამოჩენდებოდა, სადაც ტაქსები ჩერდებოდნენ. ჭალარათმიან მოხუცს ფერმკრთალი სახე წმინდანის ქანდაკებას მიუგავდა. იგი მხოლოდ წინ იყურებოდა, მაშინც მიხვდებოდით ვისთან და რატომ მიღიოდა, და სრულიადაც არ აფიქრებდა ვინ შეხვდებოდა გზაში.

ესტებან მარკოსმა თავიდანვე მიიპყრო არა მარტო იმათი ყურადღება, უინც ქუჩის მარჯვენა მხარეს ომის შემდეგ აშენებულ, პატარა ბაღებით დამშვენებულ ბუნგალოებსა და ორბინიან სახლებში ცხოვრობდნენ. ამ კაცით დაინტერესდნენ ისინიც, ვისაც ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ძველ ნანგრევებში ყუთების ფიცრებითა და ბენზინის ავზებით აშენებულ ქოქმახებში შეეფარებინათ თავი. როცა ორმოცდაათ წელს საქმაოდ გადაცილებული მამაკაცი ისეთ ახალგაზრდა ქალს დაუახლოედება, რომელიც მას შვილიშვილად შეეფერება, ჭორი მაშინვე დაირჩევა. სტელას ფლორესების სახლში ჰქონდა ოთახი ნაქირავები. ეს იყო მრავალრიცხვანი ღარიბი ოჯახი, რომლის ერთადერთ შემოსავალს ბინის ქირა წარმოადგენდა. სტელა თვრამეტი წლისა იყო, მაგრამ მამაკაცს ისე ვნებიანად, ონარჩულ უყურებდა, თითქოს მის სულში იხედებაო. ასე იყო თუ ისე, მარკოსი ენაჭარტალების საკილველი გახდა. ზოგიერთს კიდეც შურდა, მოხუცს ათასი თვალი რომ მიაცილებდა ქუჩის კუთხიდან სტელას ბინამდე. ენაკვიმატი პირინგი, „ჯიპის“ მძლოლი, რომელიც კუთხეში, სკო-

ლის სარდაფში ცხოვრობდა, ხმამაღლა იტყოდა: „ასეთ ბეხრვეთან?“  
და ურიგოს დაუმატებდა... ოზედაც სხვები სიცილს ასტეზდნენ, ხოლო  
კარიო, რომელიც დაპატიმრებული იყო მცირეშლოვანთა გახრმისათ  
ვის, მაგრამ პატიმრობას დაუპვრა (ამბობენ, ამხანაგები გასცაო), დასძე-  
ნდა: „განა არ იცი, რომ მეცნიერებამ ბევრი რამ გამოიგონა ბებრე-  
ბისათვის?“.

კარიოს ამ ახალ ინფორმაციას საშინელი ხორხოცი მოჰყვებოდა,  
მარკოსი კი თავის გზას განაგრძობდა, ნაბიჯს არც შეანელებდა და არც  
მოუჩქარებდა, თითქოს ყრუ იყო. ერთხანს მართლაც ფიქრობდნენ, რომ  
იგი ვერ გაიგონებდა თუ გინდ ყურან ზარბაზანი დაგეცალათ. მაგრამ  
ეს ასე როდი იყო. ერთ საღამოს მოხუცმა და სტელამ კინოში წასვლა  
გადაწყვიტეს. ისინი იმ ქუჩით წავიდნენ, საღაც ტაქსები ჩერდებოდ-  
ნენ, სტელა წინ ისე მიუძღვდა მარკოს, თითქოს რცხვენობდა მის გვე-  
რდით გავლა. ა. კონგოს საბაყლოს ჩაუარეს. მათ მხიარულად შეხვდა  
პაკოს კომპანია. ისინი ვისკით იყვნენ შეზარხოშებულნი, განსაკუთრებით  
ზაფო, რომელსაც ერთი ჭიქა ათრობდა. სტელას ახალი ფეხსაცმელები  
და წითელი კაბა ეცვა. ვიწრო კაბაში სავსე სხეული გამონაკვთოდა. მა-  
ღლელქუსლიანი ფეხსაცმელებიც უხდებოდა მის საღ თეძოებს. ღრმად  
ამოჭრილი დეკოლტე მიმზიდველად უჩენდა სავსე გულმკერდს. სტელა  
მშვენიერი სანახავი იყო. პაკოსმა და მისმა მეგობრებმა თვალი დაატანეს.  
ვნებისაგან აენთნენ. ღამის სინათლეზე მათ წინ კოხტად ჩაიარა მომხი-  
ბვლელმა სტელამ. მოხუცი კი უკან ისე მიჩანჩალებდა, თითქოს მასთან  
მიახლოებისა ეშინოდა. ცხოვრებით განაწყენებული, მთვრალი, თავაწყ-  
ვეტილი პაკო წამოდგა, კარებთან მივიდა და ლოთის თვალებით სტელას  
მიაშტერდა.

— ჰეი, სტელა, რატომ იმასთან არ გაივლი, ვინც გვერდს დაგიმშვე-  
ნებს?! — მიაძახა პაკო.

მარკოსი გაშეშდა. სტელამ კი გზა განაგრძო, თითქოს არაფერი არ  
ვაუგონია, მაგრამ, როცა ცემა-ტყების ხმა და ფანჯრებზე მომდგარი და  
ეხოებიდან ვამოსული ხალხის ღრიალი მოქსმა, მობრუნდა, — მარკოსი  
ჯოხით სცემდა პაკოს და მის თანამესუფრეებს. ქალი სწრაფად გაექანა  
მისაშველებლად, ერთი მაგრად შეუკურთხა პაკოსა და მის მეგობრებს,  
რომლებიც გონს მოსულიყვნენ და ქუჩაში მოხელთებული ჯოხით მარ-  
კოსს ემუქრებოდნენ. მარკოსი კვლავ ჯოხს იქნევდა. უკვე თანაბრად იყ-  
ვნენ შეიარაღებულნი, მაგრამ ახალგაზრდებს მეტი სიძულვილი ამოძ-  
რავებდა. მათ კარგად ახსოვდათ უამრავი განუხორციელებელი ოცნე-  
ბა და შეუსრულებელი სურვილი, ბუნდოვანი მოგონებანი ახლობელ,  
მიმზიდველ და თანაც მიუწვდომელ სათამაშოებზე, ვიტრინის შიგ-  
ნით რომ ელაგა, ნახევრადდავიწყებული ოცნებანი სხვა ბავშვების ახალ,  
პრწყინვალე ველოსიპედზე, მდიდარი მეზობლის ხუჭუჭოთმიან სალუჟ

გოგოზე და მაღალი ღობის იქით მანგოს მსხვილ მწვანე ნაყოფზე. სტელამ, მარკოსთან მიირბინა დასახმარებლად და ცალი ფეხსაცმელი მოიმარჯა. გაშმაგებული ქალის დანახვისას მამაკაცებმა, უფრო მისჩ სიტ-ჯვებითა და სახის გამომეტყველებით, ვიდრე შემოტევის შიშით, უკან დაიხიეს.

მერე ისინი სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ. ბრბომ დამცინავი ხმაურით გააცილა ბიჭები. როცა ისინი თვალს მიეფარნენ, ხალხმა სტელას ტაში დაუკრა. ქალი ფეხსაცმელს იცვამდა (ვიღაცას მოეტანა მეორე ცალიც, რომელიც ქუჩაში გაძვრომოდა) და დარცხვენილი ნაცნობებს უღიმოდა. შემდეგ მარკოსს ხელი ჩავლო, ხალხმაც გზა მისცა. ქალმა მარკოსი ქუჩის იმ კუთხისაკენ წაიყვანა, სადაც მძღოლებს თავი მოეყარათ და გულმოღგინედ უყურებდნენ ამ საინტერესო სანახაობას.

ამის შემდეგ მეზობლები დარწმუნდნენ, რომ მარკოსი ყრუ არ იყო, და, რომ სტელა მარკოსს ყოველთვის დაიცავდა, მსგავსად იმ რაინდებისა, რომლებსაც ზღაპრებსა და რომანებში ვიცნობთ. თუმცა უცნაური ჯია, ქალი იყოს. რაინდის ბრწყინვალე ჯავშანში და არა კაცი.

ამ ჩხუბის შემდეგ პირინგისავით გაბედული და კარიოსავით თავ-ჭეხელალებული თუ გაბედავდა ამ წყვილის დაცინვას.

\* \* \*

ფიდელ ფლორესმა, ოჯახის უფროსმა, სადაც სტელას ოთახი ჰქონდა ნაქირავები, ერთ სალაშოს, როცა ის-ის იყო მარკოსი უნდა მოსულიყო, ცოლს დაუძახა.

— გესმის! — უთხრა მან ჩურჩულით, დამაჯერებლად. სტელა თავის ოთახში იყო და ფიდელს არ უნდოდა ქალს გაეგონა მისი ხმა, — ვესმის საბელ, ამ სტუმრობანამ მოთმინების ფიალა ამივსო, ბავშვებს, განსაკუთრებით კი ლინდას, მგონი, უკვე ესმის, რა ხდება ამ კარებს იქით, როცა კაცი მოღის.

საბელმა სახე ისე ახლოს მიიტანა ქმართან, რომ ფიდელს ეგონა ცოლი კოცნას უპირებდა. უეცრივ მან ამგზნები მხურვალება იგრძნო ტანში, მაგრამ მაშინვე გაქრა ყველაფერი, როცა მიხვდა, რომ ცოლს შურდა გაეგო, რა სუნი ამოსდიოდა პირიდან.

— ჰმ, ამჯერად არ აგდის ღვინის სუნი. უცნაურია, მართლაც უცნაური. — შემდეგ ცოლმა მკვახედ ჰკითხა, ოდნავ უფრო ხმამაღლა, ვიდრე ფიდელი ლაპარაკობდა (ფიდელი დარწმუნდა, რომ სტელას ესმოდა ქალის ხმა) — მერედა მითხარი, რით გინდა ბავშვები არჩინო, საღიშოვნით შენ და შენი მეგობრები ჯინის გადასაკრავ ფულს?! თქვი, რა პეტველება ბინის შემოსავალი რომ მოვსპოთ? სხვა სამუშაოს ვერ

იშოვი, ან რომ იშოვო, განა იმდენს მიიღებ, რომ გამოკვებო ამოღენა  
ოჯახი, რომელიც შენი უგნურობის გამო გაჩნდა ამქვეყნად?

— კმარა! — თქვა განადგურებულმა ფილელმა და ენის ბორძის  
დაუმატა, — რა გაეწყობა, თუ კი შენ გინდა, რომ სახლი გადაჭუიო...  
შენი საქმეა! — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს კარები-  
გაიღო და ზღურბლზე თავის კიმონში გამოჩნდა გაბრაზებული (ფი-  
ლელს ასე მოეჩენა), თანაც ლამაზი სტელა.

კიმონო აბრეშუმისა იყო, ჩვეულებრივი, იაპონური ნაყშით — ოქ-  
როსფერ მომწვანო ფონზე მანდარინის ყვავილებითა და ლურჯი ფოთ-  
ლებით მოხატული. მართალია, ხშირი რეცხვისაგან ოდნავ გახუნებული-  
ყო, მაგრამ სტელას ტანზე მსუბუქად შემოხვეულს ჭერ კიდევ შემორჩე-  
ნოდა სილამაზე.

ერთხელ, როცა სახლში მარტო იყო, ფილელი სტელას ოთახში შე-  
ვიდა და საწილზე გადაკიდებული კიმონო დაინახა. მან აკანკალებული  
ხელებით აიღო იგი და სახეზე მიიფარა. სიამოვნებით ყნოსავდა ჭალის  
სხეულის სურნელს. ახლა, როცა კარის ზღურბლზე მდგომი, კიმონოში  
ვახვეული ჭალი მას შესცემოდა ოდნავ გაღიმებული ბაგეებით, ფი-  
ლელს სწორედ ის მოაგონდა.

— ფილელ, — უთხრა საბელმა და მკლავში წავლო ხელი. —  
ღალამდა, ჭობია ბრინჯი დაადგა ცეცხლზე.

— უკვე დავადგი.

— მაშინ სხვა საქმე გააკეთე, წალი და მეგობრები მოძებნე, ან ვახ-  
შმისათვის ა. კონგოს ნისიად გამოართვი ერთი ქილა სარდინი. მეორედ  
ასეთი რამ აღარ თქვა! — და ჭალმა კარებისაკენ ხელი ჰქრა. ფილელი-  
სათვის რომ ეს პირველი ყოფილიყო, არ სცოდნოდა ცოლის უხეში ხა-  
სიათი და თავი არ შეეკავებინა, კიბეზე დაგორდებოდა. ჭალი ჭანიანი  
იყო. მას სრულებით არ აწუხებდა, ქმარი უჭმელობისაგან ღონემიხდი-  
ლი და სუსტი რომ იყო. ფილელმა წინასწორობა აღიდგინა და სული  
მოითქვა, შემდეგ, როცა კიბეზე ჩადიოდა, ცოლის ამაყი ხმა გაიგონა:

— ფილელი კარგი კაცია, თუმცა, შესაძლებელია, არც კი იმჩნევდეს  
ამას. უბედურება ისაა, რომ რამდენიმე თვეა სამსახური ვერ იშოვნა.

ფილელს ნაბიჯი არ შეუნელებია, სტელას პასუხს არ დალოდებია. იგი  
ჩქარა მიდიოდა ა. კონგოს საბაყლოსაკენ.

გზად ესტებან მარკოსი შემოხვდა. ილლიაში ფუთა ამოედო.

— რა მოგაქვს? — ჰკითხა ფილელმა, — სტელასათვის, არა? —  
უთხრა მრავალმნიშვნელოვნად, ფუთა შეათვალიერა და დაუმატა, —  
„მისტერ მარკოს“, რაღაც მოაგონდა, რომ საბელი ყოველთვის არიგებ-  
და პატივისცემით მიემართა სახელმწიფოს მოხელისათვის. მარკოსმა,  
ორთქოს არც კი გაუგონია ფილელის ნათქვამი, ჰკითხა:

— სახლშია?

უეცრივ ფიდელმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს არ იცოდა სახლში  
იყო თუ არა სტელა, ანტერესებდა, რა რეაქციას გამოიწვევდა ეს მოხუ-  
ცში, როგორ გაიქცეოდა, რომ მალე მისულიყო და გაეგო, ელოდა თუ —  
არა მას სტელა.

— გელოდებათ! — თქვა ფიდელმა და მოხუცს უკან გაჰყვა. მიხვდა,  
ლაპარაკი სურდა.

— იცით. მისტერ მარკოს, ბევრი რამ მშურს თქვენი, თუ გინდა  
თქვენი. სამსახური, — სახელმწიფო საწყობის მექუჭნავეობა, თქვენი  
სიმდიდრე, ბედნიერი კაცი ხართ, გყავთ ისეთი ლამაზი ქალი, როგორიც  
სტელაა, რომელიც საღამომდე გელოდებათ. მართლაც ბედნიერი კაცი  
ხართ, ბატონი. რას არ ვიზამდი, ასეთი ქალი რომ მენახა. თქვენი წახე-  
ვარი ბედნიერება რომ მომცა, სხვა არა მინდა რა! — შემდეგ ეზოს ჭიშ-  
ურთან ხმადაბლა დაუმატა — ცოტას, ერთ პესოს ვერ მასესხებ?

— საუბედუროდ ფული თან არ მაქვს.

— ერთი შენც!.. — უთხრა ფიდელმა და უცებ მორჩილება შურის-  
გებით შეეცვალა. — ცრუობ. დღეს შენი გადამყიდველები იყვნენ იმ ორი  
ტომარა ბრინჯისათვის, გუშინ ნაშუადღევს რომ მოათრიე ჩემსას.

— მერედა, რა მოხდა, რა შენი საქმეა! — მარკოსი მიხვდა. რომ  
ყვიროდა და ხმას დაუწია. — ყური მიგდე, პატივცემულო ფიდელ, მე  
ყოველთვის ვიხდი გარიგების მიხედვით და თქვენც არაფერი გაქვთ  
სამდურავი, ხოლო ბევრს თუ გააჭირვებთ. სხვა სახლს მოვძებნი.

— არა, დაივიწყეთ რაც გითხარით! — თქვა ფიდელმა, შებრუნდა  
და ა. კონგოს საბაყლოსკენ გასწია.

კარიომ პირველმა გაითიქრა, ყველაფერი პოლიციისათვის შეეტ-  
ყობინებინათ.

— მეგობარი მყავს საპოლიციო უბანში. — უთხრა მან ფიდელსა  
და პირინგს, — ფიდელი მას ყველაფერს ეტყვის, შემდეგ კი იგი გან-  
საზღვრავს, რა გააკეთოს.

— კარგი, მაგრამ შენმა მეგობარმა თუ მოისურვა და ყველაფერი  
უფროსებს მოახსენა?! — დაინტერესდა პირინგი, — ჩვენ ამით რას  
მოვიგებთ!

მათი ლაპარაკი ხალხს რომ არ გაეგონა, სასმელი ქუჩაში გამოიტანეს.

— ჰმ! რას ამბობ, — თქვა კარიომ, — ჩემს მეგობარსაც სურს ფუ-  
ლის შოვნა. — შემდეგ ფიდელს მიუბრუნდა და სიყვარულით მხრებზე  
ხელები მოხვია. — გარდა ამისა, შენ შეგიძლია შური იძიო და, ვინ იცის,  
იქნებ სტელაც... — გადაიხარხარა მან და იაფფასიანი ვისკი მიწაზე  
დაიღვარა.

უცებ ფიდელი გამოერკვა — გონება გაუნათდა და მიხვდა რაც  
ჩაიდინა.

— კარიო, ყური მიგდე, ძნელი საქმეა!

— რომელ სიძნელეზე ლაპარაკობ... მას ეს არ გაუჭირდება, წინა-  
თაც გაუკეთებია ამგვარი რამ. მენდე, თვითონ მოველაპარაკები. შენ ხა-  
კუთარ წილს მიიღებ იქიდან, რასაც იმ ბებერ უნამუსოს გამოვრჩებოთ;

— თქვა და ჭიქაში დარჩენილი ვისკი გადაჰკრა. — მაშ ასე, შოულობის  
ფულს საყვარლისათვის?! ტომრებით ბრინჯს იპარავს სახელმწიფო სა-  
წყობიდან და შენს სახლში მოაქვს, რომ გადამყიდველებს მიჰყიდოს?!

— აი, როგორი ხალხია სახელმწიფოს მსახურები, ნამდვილი ქურ-  
დები! — კვერი დაუკრა პირინგმა.

გვიან ღამით მხვრინავი ცოლის გვერდით ჭილოფზე მწოლარე ფი-  
დელს ძალიან მოუნდა სტელასთან შესვლა. უნდოდა გაელვიძებინა, თუ  
ეძინა და ეთქვა, რაც მან გააკეთა. კარგა ხანს მოუხდა ლოდინი, ვიდრე  
მარკოსი თითისწვერებზე ჩაივლიდა ჭილოფზე დაწოლილ მძინარე ბავ-  
შვების გვერდით.

ფიდელმა ყოველი შემთხვევისათვის ცოლს წელზე ხელები შემოხ-  
ვია. აბუზლუნდებოდა, თუ ღრმად არ ეძინა. ქალი არ შერხეულა. „ბებ-  
რუხუნა“ თავისთვის ოქვა კაცმა და გაიღიმა. „დაღლილი დედაბერი“ გა-  
იმეორა მან და მოაგონდა ის დრო, როცა ქალს ძილი არ ეკარებოდა და არც  
მას ეძინებოდა, როცა ქანცგამოცლილი ხვდებოდნენ ფანჯარაში შემოჭ-  
რილ განთიადს. ასე იყო მანამ, ვიდრე ბავშვები გაჩნდებოდნენ. „დაღ-  
ლილი... დედაბერი“ ჩაიცინა მან.

საბელი ხეირს არ დააყრის ფიდელს, როცა გაიგებს მის საქციელს.  
ამიტომ ვიდრე გვიანი არაა, სჯობს თავისი შეცდომა გამოასწოროს.

სტელას ოთახის ჭუჭრუტანებიდან სინათლე გამოდიოდა. ქალს, ალ-  
ბათ, არ ეძინა და ლოგინში წიგნს კითხულობდა. ფუთაში, რომელიც შა-  
რქოსმა მოუტანა, სტელას საყვარელი კინოურნალები და იუმორისტუ-  
ლი წიგნები იყო. იგი სხვას არაფერს კითხულობდა.

ფიდელი საწოლიდან ჩუმად გამოძერა და სტელას ოთახისაკენ წა-  
ვიდა, კარები ხელის კვრით გააღო, მაგრამ სანამ ოთახში შევიდოდა,  
ცოლს მოუხედა, იგი არ ინძრეოდა. ხვრინვაზე ეტყობოდა, ღრმად ეძინა.

სტელამ ფიდელი რომ დაინახა, გაიღიმა, კითხვას თავი ანება და  
უურნალით კარებისაკენ მიუთითა. ფიდელს ეგონა. ქალი ოთახიდან  
მაგდებსო, მგრამ როცა კარებთან მივიდა, ქალმა მაშინვე თავი დაუქ-  
ნია და ანიშნა, მასთან მისულიყო. ფიდელი მიხვდა, რომ ქალს კარების  
მოხურვა სურდა.

იგი ლოგინთან იდგა და არ იცოდა, რით დაეწყო. ქალი კედლისაკენ  
იწევოდა, რომ ფიდელისათვის ადგილი დაეთმო. ფიდელმა მზერა სტე-  
ლადან ლოგინის ფეხთან დაგდებულ კიმონზე გადაიტანა.

მამაკაცმა ხელის შეხება იგრძნო და ისევ ქალს გადახედა. სტელა  
აღარ ილიმებოდა. შემდეგ, როცა მთელ სხეულში სამო ურუანტელმა

დაუარა, ისეომა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს შორეთიდან შინ შშვილობით დაბრუნებულიყო...

— შენ უნდა წახვიდე აქედან სტელა, — უთხრა ქალს, გაჩუმდა და დაელოდა როგორ იმოქმედებდა მისი სიტყვები. შემდეგ კი განაგრძო — მე საშინელი რამ ჩავიდინე ამ საღამოს. — და როცა ქალმა გაოცებით შეხედა, სწრაფად დაუმატა, — ეს არა, ამით ნასიამოვნები ვარ, მინდა სხვა რამე გითხრა, რაც შენთან მოსვლამდე გავაკეთე. — ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით ამბობდა იგი, თანაც ხედავდა როგორ ეცვლებოდა ქალს ფერი. ფიდელმა აღიარა, თუ როგორ გასცა მარკოსის საიდუმლოება და ჭალი გააფრთხილა:

— ხომ ხედავ, სტელა, უნდა წახვიდე აქედან, რომ თავს უშველო, თორემ რა იცი რა მოგელის. მინდა როგორმე გადაგარჩინო, ეპ რა სულელი ვარ!

— მართლაც სულელი ხარ! — ცივი ხმით დაიწივლა სტელამ და შეორე ოთახში გაღვიძებულმა ბავშვებმა მაშინვე ლრიალი მორთეს. ფიდელს ხმა მოესმა, ცოლი ეძახდა. უეცრივ, როგორც ქარიშხლიან ღამეში ელვა გაანათებს ხოლმე და დაინახავ სოფლის ჩაბნელებულ გორაკებს, ასევე ფიდელმა დაინახა როგორ ინგრეოდა მისი სახლი და მის მიერ შექმნილი მთელი სამყარო. იგი შეეცადა ერთდროულად ეფიქრა სტელაზე, საბელზე, კარიოზზე, მაგრამ ახლა გონება სულ მთლად დაეხშო. მას აშინებდა მძიმე და გამანადგურებელი შეგნება იმისა, რომ ბეღი ასე მოულოდნელად, ულმობლად მიათრევდა საცუთარ თავთან პირისპირ შესახვედრად.

ინგლისურიდან თარგმნა მ. ფარეივალმა.





## ქ ხ ე ლ დ ა ბ ე შ ი

წავალ და ვეღარ მიხილავ დიღხანს,  
მოვალ და შენთან ვიქნები ასე...  
და ვფიქრობ, მაინც რა უნდა გითხრა,  
შენს მირონს როგორ დავადო ფასო?  
წლები, რომლებიც შენთან დამშორდა,  
სისხლში ამიცრეს შენმა ეკლებმა,  
და ცეხშიშველა, როგორც ბავშვობა,  
მინდორში ჭრელ ბურთს მიერეცება.

\* \* \*

მოვალ, უთუოდ გიამბობ რამეს,  
მთის და ბარისას,  
ტყუილს და მართალს,  
ნუკრის თვალებით მიცქერის ღამე  
და მთვარეს თავის ნებაზე მართავს.  
მოვალ, უთუოდ გეტყვი რაღაცას,  
ალბათ გაწვალებს ეს მოლოდინი.  
მთვარემ მთის წვერზე წაიბარბაცა  
და გადაეშვა ხევში ლოდივით.  
მოვალ, უთუოდ გიამბობ რამეს,  
ტყუილს და მართალს,  
მთის და ბარისას.  
ნუკრის თვალებით მიცქერის ღამე  
და ათას რამეს ფიქრობს თავისას.



რევეზ ჩხერიშვილი

## გ ი ნ ი ა ტ უ რ ე ბ ი

ამ ყვავილს, ყინვის უჩვეველს,  
მარტი თოვლს აპნევს აზიზად.  
გოგოვ, შენ მკერდი უჩვენე,  
გათბება, აბა რას იზამს?!

\* \* \*

ცაზე მთვარე მოჩანს ისე ლამაზად,  
თითქოს ბექზე გადმომდგარა აღაზა.  
ვარსკვლავები ქალებია ქისტების...  
საკოცნელად რომელ მათგანს მისწვდები?



ზენი ქავერძე

## რ წ მ ე ნ ა

შენი შუქით სავსე არის გზები, ზეცა,  
 ჩემთა ფიქრთა გზებსაც შენ ანათებ ისე,  
 აღტაცებით ახალ სიმაღლეებს ვკეცავ,  
 ციურ საგალობლებს და სიმღერებს ვისმენ.  
 მე ჩაგიდებ სულში, რომ იქ დაჰყო მარად,  
 უშენობის ელდა ვერსად ავიტანო.  
 თუ სულშია ხვატი, დამეპკურე ნამად,  
 შენ ხარ გრილი ჩერო... სხვა სად დავივანო,  
 შენ ხარ ჩემი მნათი სალოცავი, წმინდა,  
 შენს დიდების კართან აღტაცებით შევდექ.  
 შენ დაგსახე ჩემთა დიად გზად და ხიდად,  
 რასაც შენით ვპოვებ, ვიგალობებ შემდეგ.

## პ ლ მ ა რ თ ი

სტარტზე ვარ უკვე. მიხმობ, მეძახი  
 და წყურვილი მკლავს — გაგლიო მალე.  
 ჩემი მზითა და ჩემი ვენახით  
 ავუთავდები, მჯერა, შენს ვალებს.  
 კბოდის წინაშე თუკი ვჩერდები,  
 ნუ გეგონება მორჩა ყოველი.  
 მე შენს სიმაღლეს შევაბერდები,  
 იქა დგას ჩემი სვეტიცხოველი.



იური პიგილევიშვილი

## ყველა პოეტის უძღვრის ჩანგი

ქართულმა მწერლობამ იმთავითვე ღრმად აღიქვა დიდი ლენინის საქმის ისტორიული მნიშვნელობა და მტკიცედ დაუკავშირა მას ქართველი ხალხის მომავალი. საკმარისია ითქვას, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველსავე დღეებში დაიწერა ტიციან ტაბიძის „პეტერბურგი“, საღაც პირველად გაიღვა ლენინის უკვდავმა სახელმა ქართულ ლექსში. „ჯერ არ ყოფილა შებრძოლება ასე მედგარი“ ამბობს პოეტი. ქაოტურია მებრძოლი პეტერბურგის პანორამა: ერთმანეთში ირევა განახლების მომწოდებელი და ძველის, სიდამპლის დამცველი ხმები, მაგრამ ქართველი პოეტის შთაბეჭდილებაში თავისი ნამდვილი ადამიანური სახით მაინც ახალი სამყაროს მშენებელი კაცის არსება იჭრება, ყველაზე ხშირად და მკაფიოდ მხოლოდ მისი სახელი ისმის: „მოიგონებენ მხოლოდ მარტო ლენინის სახელს“.

რევოლუციური ეპოქეა გრძელდება... 1918 წელი... განცვიფრებული მსოფლიო ჯერ ისევ ვარა-

უდებითა და პოლიტიკური ჰიპოთეზებით იქმაყოფილებს ცნობისმოყვარეობას. ქართველი მგოსანი გალაკტიონ ტაბიძე კი ამ დროს პეტერბურგიდან მოეშურება სამშობლოსაკენ, „რომ, მოეტანა საქართველოში სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“. პოეტი ქმნის შედევრს „გემი დალანდი“, რომლითაც მხატვრულად და იდეურად სრულყოფილი სახე ედლევა ქართულ პოეტურ ლენინიანას. ლექსი სამშობლოს გადარჩენის ნათელი იმედითა გაცისკრონებული. თვით ეს იმედი კი შთაგონებულია ლენინის სახელით და მის საქმეს ემყარება.

მას შემდეგ ლენინის თემა ქართული პოეტური სიტყვის ცხოველმყოფელი შთაგონება იყო და არის. დაიწერა უამრავი ლირიკული ლექსი, პოემა, ბალადა. თამად შეიძლება ითქვას, რომ არ არის დღეს საქართველოში პოეტი, რომელსაც თავისი ჩანგი არ მოემართოს დიდი ბელადისაღმი სახალხო სიყვარულის გამოსათქმელად. არსებითად, ლენინის თემა, ლენინის მხატვრული სახის

და მუშავება თავისებური სასინ-  
ჯი ქვაა", რომელზეც მოწმდება  
ავტორის შემოქმედებითი სიმწი-  
ფე და ესთეტიკური მრწამსი.

დღესაც ღრმა განმაზოგადებე-  
ლი მნიშვნელობით უღერს საქა-  
რთველოს სახალხო პოეტის იო-  
სებ გრიშაშვილის მეტაფორული  
გამოთქმა — ლენინის სახელი  
პოეტს „ლექსს კარნახობსო". ეს  
პოეტური ოზისი სავსებით გამო-  
ხატავს საზოგადოდ ქართული  
მხატვრული სიტყვის ორგანულ  
კავშირს თანამედროვეობის აქ-  
ტუალურ პრობლემებთან. ამ სუ-  
ლისკვეთებითაა გამსჭვალული  
ჩვენი სახალხო მთქმელებისა და  
პოეტების შემოქმედებაც: „და ეს  
ლექსებიც მისთვის მინდა" — და-  
მღრის ბელადის სახეს ღორჯო-  
მელი რეზებ ბოლქვაძე (უურნალი  
„ლიტ. აჭარა" № 1, 1969 წ.), ხო-  
ლო პოეტ მამია ვარშანიძეს ლე-  
ნინის სახე ევლინება როგორც  
„ლექსის ძალის" მომნიჭებელი  
(გაზ. „საბჭოთა აჭარა", 18/XI-63  
წ.). უსაზღვროა ჩვენი მწერლები-  
სა და პოეტების სიყვარული ბე-  
ლადის ძვირფასი სახებისადმი. ამ  
სიყვარულს მკაფიოდ გამოხა-  
ხატავს ნესტორ მალაზონია. მის  
ლირიკულ პოემაში „კმარა" ლენი-  
ნის სახე გააზრებულია როგორც  
ისტორიულ - კონკრეტული რეა-  
ლობა, რომელმაც რუსეთი იხსნა  
კატასტროფისაგან. პოეტის ნააზ-  
რევში ერთმანეთს ერწყმის ლე-  
ნინის პიროვნების ინდივიდუა-  
ლური ნიშანთვისებები და პარ-

ტის, როგორც მოწინავე მებრძო-  
ლი რაზმის, განზოგადებული სა-  
ხე. პირველი მსოფლიო ომი...  
ქრისტეს სახელით განუკითხავად  
იღვრება მშრომელთა სისხლი...  
ქვეყანას გაუქაცრიელების საფრ-  
თხე ემუქრება და...

ვიომებდით მართლა ბოლომდე.

რომ ხალხს ლენინი

და პარტია არა ჰყოლოდა,

რომ ლენინის გზას,

სიმართლის გზას არ გავყოლოდით.

ლენინის დროშით, ლენინის აზ-  
რით აყვავდა ახალი ქვეყანა, მაგ-  
რამ ფაშიზმი და განწირული ძეე-  
ლი სამყარო როდი ურიგდება ამ  
აღორძინებას. ისევ ომი. ლენინის  
საქმის სიმართლით შთაგონებუ-  
ლი ხალხი პირგამეხებულ ლომი-  
ვით შეება მტერს:

ლენინის სიბრძნე გვინათებდა

სისხლიან სავალს,

ხალხი ლომს ჰგავდა, როცა ბორგავს  
ფაფარაყრილი.

ჩვენი სამშობლოს სადიდებლად

და დასაცავად

იყო ვაჟკაცთა რკინება და  
გადაძახილი.

მეორე ლექსში „თვითონ ლენი-  
ნი“, ბელადის სახე გააზრებულია,  
როგორც უკვდავი თანამდევი სუ-  
ლი ჩვენი ყოველდღიურობისა. ლენინის სახე შთაგონებასავით  
მტკიცებდ და ურყევად იჭრება  
ჩვენს სულში, ჩვენს გონებაში.  
პარტიის, ხალხის ყოველდღიურ  
მოღვაწეობაში ცოცხლდება ბელა-  
დი, ახალი ცხოვრების მშენებელი  
ხალხის მშენები ნაბიჯების ხმა-  
ში მოისმის მისი მაჯისცემა:

არის პარტია ფოლადის რწმენით,  
მისი ყრილობის აზრი და ნება  
და ხალხს  
მესამე პროგრამის ენით  
თვითონ ლენინი ესაუბრება!

ლიდი სიცოცხლის დიდ უკვდა-  
ვებაში გადასვლის მოტივს შემდ-  
გომ ანვითარებს და კიდევ უფრო  
სრულყოფს თავის ლექსებში  
ფრიდონ ხალვაში.

შთაგონებული იმედით, რწმენით  
ადამიანი კომუნიზმს ელის,  
და მადლიერი დღეები ჩვენი  
ესაუბრება ვლადიმერ ლენინს.

(„დრო ესაუბრება ლენინს“).

მაგრამ ილიჩის შთაგონებით  
დაწერილ ლექსთა შორის ლი-  
რიკული უშუალობითა და განც-  
დის სიღრმით მაინც „წითელი  
მოედანი“ გამოირჩევა. პოეტი რა-  
ღაც არაჩვეულებრივ ფიზიკურ  
სიახლოვეს გრძნობს ამ წმინდა  
ადგილთან.

აქ ჭველას გვაქვს შენახული  
გულის ნაწილი,  
ეს ქველი მიწა და ქვაფენილი  
იგონებს, როცა აქ უბრალო  
მუშა კაცივით,  
ჩამოივლიდა ბრძენი ლენინი.

ლენინის დროშით, კომუნის-  
ტური პარტიის წინამძღოლობით  
დარაზმული ხალხი გამარჯვებას  
გამარჯვებაზე მიითვლის მტრების  
წინააღმდეგ სამართლიან ბრძო-  
ლებში. თუმცა ამ ბრძოლებში მა-  
რტოოდენ გამარჯვება როდია, ვინ  
იცის რამდენი ლამაზი სიცოცხლე  
ჩატრა, რამდენ ოჯახს ჩამოეფარა  
თალხი. მაგრამ, ამბობს პოეტი,  
არის კიდევ ერთი უფრო ძნელად  
მოსაშუშებელი ჭრილობა, რომ-  
ლის ტკივილს ვერ მოირჩენს პლა-

ნეტა, — ესაა მოგონება 1924-ისა.  
პროგრესული კაცობრიობა, მისი  
უდიდებულესობა მშრომელი მა-  
სა დასტირის ბელადს. ეს თომი ის ა-  
ადამიანია, „არაფრის მქონე რო-  
აქცია ადამიანად“.

თემატურად ამავე სათქმელს  
შეიცავს და პხალ შტრიხს მატებს  
ბელადის მხატვრულ სახეს პარმენ  
რურუას ლექსი „ყველა პოეტის  
გიმლერებს ჩანგი“. მკითხველის  
შთაგონებაში ისახება ბელადის  
ნათელი სახე, რომელმაც „კაცს  
მიანიჭა კაცის უფლება“. პოეტის  
წარმოდგენით ესაა ადამიანი, რო-  
მელმაც თავისუფლების ფასი ას-  
წავლა ჩაგრულებს.

ფრიად სიმბოლურია ის, რომ  
პლანეტის განმაახლებელი ადამი-  
ანის სახელი ხალხმა სინათლის  
წყაროს დაუკავშირა. პოეტი გიო-  
რგი სალუქვაძე საბჭოთა ადამია-  
ნის ლექსიკონში ბუნებრივად  
დამკვიდრებულ გამოთქმაში  
„ილიჩის ნათურა“, სრულიად ნა-  
თელი, რეალისტური პოეტური  
ხერხებითა და ასოციაციებით წა-  
რმოსახავს ჩვენი ეპოქის ნამდვილ  
შუქს და შრომით გარდაქმნილ  
სამყაროს მხატვრულ სურათებს  
გადაგვიშლის. „ილიჩის ნათურა“  
ეპოქალური გარდაქმნების ცოც-  
ხალი სიმბოლიკაა.

მე თვალშინ მიღვას ყოველთვის,  
ვერ დავივიწყებ ამ სურათს:  
რიონის პირად სტალინი  
უცემს ილიჩის ნათურას.  
სადაც ჩქეფს საქმე ახალი  
და კაცი შრომით გართულა,  
იმ გამარჯვების საწინდრად  
ბრწყინვას ილიჩის ნათურა.

უსაზღვრო ბეჭნიერების  
და უკვდავების დასტურად  
დაად ცხოვრებას გვინათებს  
დიდი ილიჩის ნათურა.

ვინ მოთვლის თითოეულ ჩვენ-  
განს რამდენჯერ ჩაუვლია ჩვენი  
ქალაქის დამამშვენებელ მოედან-  
ზე, სადაც აღმართულია ბრინჯა-  
ოში გამოკვეთილი დიდი სიცოც-  
ხლე. მოქანდაკეს შესანიშნავად  
გადაუწყვეტია ძეგლის საერთო  
კომპოზიცია. ვუყურებთ მას და  
ვგრძნობთ, რომ სულში შემოდის  
რაღაც დიადი შუქი, სითბო, ძა-  
ლა...

აი, ამ ძეგლის წინ დგას პოეტი  
და მისი ხილვის მეშვეობით კიდევ  
უფრო საცნაური და მახლობელი  
ხდება ათასჯერ ნაცნობი სახე.  
თითქოს აქ პოეტური აღმოჩენე-  
ბის მოლოდინი არც უნდა გვქონ-  
დეს, რადგან თვითონ ძეგლიც ხომ  
იგივე პოეზიაა. მაგრამ პოეტი რე-  
ვაზ ართილაყვა ლექსში „ლენინის  
ძეგლი ბათუმში“ მაინც პოულობს  
საკუთარ სახეებს, საკუთარ სათ-  
ქმელს. უწინარეს ყოვლისა ეს  
არის ღვიძლი მშობელივით საფი-  
ცარი ადამიანი, იმედის მომცემი  
ადამიანი. ეს არის კაცი, რომელიც  
ფიზიკურად ჩვენთან არ არის,  
მაგრამ თუ გაცოცხლდება, ამ სი-  
ცოცხლესაც ისევ ხალხს მისცემს:

დგას გრანიტოვან შტკაცე

კვარცხლბეკზე

კაცი მართლაცდა

დასაფიცარი,

დგას ცოცხალივით

და იმედს გვაძლევს

შორს მიუჰყრას

თვალთა ისარი,

მისი სახელით

სიკვდილსაც დავძლევთ,  
ჩვენ მომავალიც  
გასში ვიცანით.  
დგას ფოლადივით  
უდრევა, მტკიცე  
და ორწივივით  
გასცემის სივრცეს,  
თითქოს მზად არის  
გაცოცხლდეს ისევ  
და ეს სიცოცხლეც  
ისევ ხალხს მისცეს.

ბევრი მწარე დღე გამოუვლია  
ქართველ ხალხს. სულით ხორცამ-  
დე ძარცვავდნენ აჭარას და, ვინ  
იცის რანი ვიქწებოდით დღეს,  
რომ დიდ რუს ხალხს ძმური დახ-  
მარების ხელი არ გამოეწვდინა  
თვის დროშე. თუმცა 1878 წელ-  
მა ცეკვაფერი როდი მოიტანა,  
მეფის სატრაპეზი განაგებდნენ  
აჭარელი კაცის ბედს. მხოლოდ  
ოქტომბრის შუქმა, ლენინის გე-  
ნიამ, კომუნისტური პარტიის  
ეროვნულმა პოლიტიკამ გამოიყ-  
ვანა აჭარა და მთელი საქართვე-  
ლო ეროვნული აღმოჩენების  
გზაზე.

ამ პოზიციიდანაა დიდი ბელა-  
დის სახე დახატული ლევან გე-  
ლაძის ლექსში „ლენინი“. პირვე-  
ლივე მოხდენილი მეტაფორული  
ფრაზით „იგი მოვიდა, როგორც  
აპრილი“, მკითხველის შთაბეჭ-  
დილებაში შემოიჭრება სახე, რო-  
მელსაც ქვეყნად დიდი სიცოცხ-  
ლის, დიდი სილამაზისა და დიდი  
იმედის დამამკიდრებლის ნათე-  
ლი შარავანდი მოსავს.

იგი მოვიდა,  
როგორც აპრილი  
და ხულოს მთებშიც  
შეიგრძნო მიწამ.



კამართა კაცი  
წელში მოხრილი,  
საყანეც მისცა,  
სამშობლოც მისცა,  
სინათლეც მისცა,  
სიმღერაც მისცა,  
წამოიმართნენ  
ამაყად მთანიც  
და მწვერვალებზე  
გამოჩნდა ხელი.

კიდევ უფრო ღრმა შინაგანი გააზრებითა და პოეტური სიმართლითაა გამოსახული ლენინის სიდიადე ლ. გელაძის მეორე ლექსში „ოცნება ლენინზე“. ლექსის ლირიკული გმირი იგონებს მამის ნაამბობს ლენინის შესახებ: „გლეხეცაცი, უმწეო და უსახლკარო, თვით ლენინმა გახადაო დოვლათით სავსე“.

ყმაწვილი გაოცებულია! — როგორ შეიძლება ამხელა ბედნიერება ერთმა კაცმა მოიტანოს დედამიწაზე. ასე ხომ ზოაპარში ხდება მხოლოდ!

ქვეყნად კაცმა როგორ შეძლო და მიიპყრო ხალხის ნება,  
ხალხის გული,  
რომ მას ხალხი  
სამუდამოდ ენდო, ეძმო,  
რომ მისი გზით  
მოღის შვება,  
სიხარული!

მაგრამ საიდუმლოება ამოიხსნა მაშინ, როცა მოწიფულმა ყმაწვილმა გონების თვალით ჩახედა ლენინის მეცნიერულ მემკვიდრეობას, იმას, რაც უკვდავებაში რჩება, როგორც დრო-უამისაგან ხელუხლებელი და ხალხის საკუთრება.

ლენინის სიბრძნით მოხიბლუ-

ლი და ძალმოცემული ახალგაზრდა საბჭოთა მოქალაქე პეტერბურგისაში ჭვრეტს ქვეყნისა და კულტურული ცის ხვალინდელ დღეს, ამასთან თავის მოქალაქეობრივ ლირსებად თვლის უმწიველოდ გადასცეს თავის მომავალს იგივე რწმენა, რაც თავის დროზე მამისაგან მიიღო ცნობისმოყვარე ჭაბუქმა:

და მეც ვამცნობ მამის ნათქვამს  
ჩემს პატარას,  
რომ ლენინი სინათლეა  
ლეღამიშის,  
ჩაგრულს, მონას ბორკილები  
მან აჟყარა,  
ქვეყნის საქმე  
მან ყველაზე უკეთ იცის!...

„ლენინი და საქართველო“, „ლენინი საქართველოში“ — რამდენი პატრიოტული ლექსის თემა, რამდენი პოეტის შთაგონების წყარო გამხდარა ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე. საყოველთაოდაა ცნობილი ვ. ი. ლენინისადმი ფილიპე მახარაძის მიერ მიწერილი პირადი ბარათის შინაარსი; 1921 წლის 23 მარტით დათარიღებული წერილი სიყვარულით ეხმანიებოდა ქართველი ხალხის მოამაგეს: იმედი მაქვს, რომ ზაფხულში გნახავთ ოქვენ ნადევდა კონსტანტინეს ასულთან ერთად ჩვენთან, თბილისში და გაჩვენებთ განსაცვიფრებელ ადგილებს. მაგრამ ბელადს აღარ დასცალდა საქართველოს მონახულება.

ამ ისტორიული ფაქტის მხატვრულ ხორცესხმას წარმოადგენს შოთა როსვას ლექსი „ლენინი თბილისში“.

ჩამოსულიყო ნეტავი მართლაც  
და ჩემს მთავორებს ლურჯად  
შემოსილთ,  
მშრომელი კაცის ვინც იყო ნატერა—  
ეხილათ ერთხელ საქართველოში.  
პოეტს ქართველი ხალხის ერო-  
ვნული ღირსების რანგში აჰყავს  
ლენინის პიროვნებასთან სიახ-  
ლოვე.

რა მოკრძალებით,  
უცნაურ ღელვით  
დღეს ჩავულიდით სახლებს და  
ჭალებს,  
„აქ უცხოვრია ვლადიმერ ლენინს“,  
„აქ გაუცლია ვლადიმერ ლენინს“ —  
ჩვენში წარწერა რომ იყოს სადმე.  
გაიხარებდა იმ დღეს თბილისი,  
სხვა ექნებოდა ელფერი ქალაქს.  
ჩამოსულიყო ნეტავ ილიჩი,  
ენახა ჩვენი მოები და ჭალა,  
ქართულ მიწაზე დაედგა ფეხი,  
გაიგონებდნენ მის ხმას და ხელად  
მოზღვავდებოდა მუშა და გლეხი,  
რომ შეხვედროდნენ საყვარელ  
ბელადს.

გაჩაღდებოდა სუფრა და ლხინი  
სოფლად, ქალაქად, ყველგან  
უკლებლად,  
და დალოცავდნენ ქართული ღვინით  
ვინც მისცა ხალხებს თავისუფლება.

პოეტი უაღრესად ეროვნუ-  
ლი, ქართველი სტუმართმოყვარე  
მშრომელი გლეხის ყოფითი ინ-  
ტიმით ხატავს ძვირფასი ადამია-  
ნის სიახლოვეს.

ამოუყვანდნენ კალმახებს მტკვრიდან,  
შინ მოიწვევდნენ ჩემი და თავაზით,  
გაიხარებდა ილიჩი მეტად  
ქართული ეშხით და სილამაზით.  
ჩამოსულიყო, გააოცებდა  
მთების მშენება,  
ქართლის ბალები,  
ილიჩი ალბათ მეტს იცოცხლებდა,  
და ჩვენც ხომ მეტად ვიამაყებდით.  
ლენინის საქმესა და ნათელ

სახელს უმღერიან პოეტები ნამა  
გვარიშვილი, ზურაბ გორგილაძე,  
ქსენია მუავია, ჭემალ ქათამაძე  
იაკობ მელია, შოთა ზორბე.

მაგრამ პოეტები ლენინიანა  
მარტოოდენ ლენინის მხატვრული  
სახის გამოქანდაკებით როდი შე-  
მოიფარგლება. ლენინის თემა  
ჩვენი ყოველდღიურობის აქტუა-  
ლური თემაა. ბრძოლა სამშობ-  
ლოს ბედნიერებისათვის, ერთგუ-  
ლება დიდი ოქტომბრის იდეებისა  
და კომუნისტური პარტიის საქ-  
მისადმი, დაუცხრომელი ოპტიმი-  
ზმი და ზრუნვა ხვალინდელი  
დღის მშვიდობიანი გათენებისათ-  
ვის, მოქალაქეობრივი პასუხის-  
მგებლობა, ყველაფერი ეს ლე-  
ნინიანას დიდი სიმღერაა. ასეა გა-  
დაწყვეტილი ეს თემა ჭემალ ჭა-  
ყლის ლექსში „ლენინი“.

ენახე ლენინი,  
სადაც ახალი  
აღმშენებლები თლიან, აგებენ,  
იქ, სადაც წვდება აზრი მაღალი  
და ლენინურად ახალს აგებენ,  
სადაც აგებენ კაშხალს თუ ბრძმედებს  
და კოსმოდრომთან ხვდებიან  
მგზავრებს,  
სადაც მზე ადგას ბავშვებს და დედებს  
და სამშვიდობოს რეკავენ ზარებს,  
დიახ, მე ვნახე მთელი სიცხადით,  
როგორც ცისკარი აღმოვლენილი...  
გაზაფხულივით მიწაზე დადის,  
მოელ პლანეტაზე დადის ლენინი.

ამ თემას კვლავ უბრუნდება  
პოეტი და კიდევ უფრო სრულ-  
ჰყოფს ჩვენს წარმოდგენას თანა-  
მედროვე ადამიანზე, რომელიც  
პასუხს აგებს ხალხისა და ისტო-  
რიის წინაშე. ესაა თაობა, რომე-  
ლიც ვალდებულია ღირსეულად

ვანაგრძოს გმირ მამათა ცოცხალი  
ტრადიციები.

ჩვენ ვაგებთ პასუხს  
თუ კი საღმე ჩეროში სხედან  
და ფერად შუშით გაჟყურებენ  
მთებსა და ქედებს,  
ჩვენ ვაგებთ პასუხს,  
ეს ჩქარი და ცხელი წამები  
თუ არ შეყარა სასწაულის დღეთა  
კონებად,  
რადგან ამ დღისთვის  
ჯვარცმული და განაწამები  
ჩვენი მამები დაილეჭნენ ლეგიონებად!  
ჩვენ ვაგებთ პასუხს  
თუ სიმართლე დღევანდელ დღისა  
გუშინდელ დღეზე  
არ იქნება უფრო მაღალი.

პოეტურ ლენინიანას თავისი  
უუგები და კონტრაპუნქტები გაა-  
ჩნია, ამითაა იგი საინტერესოც  
და თანამედროვეც. ეს სპეცია-  
ლური გამოკვლევის საგანია. ამ-  
ჯერად მხოლოდ ზოგიერთ მითგა-  
ნზე შევჩერდებით.

გ. სალუქვაძის ცნობილი ლე-  
ქსი „მზე შინა და მზე გარეთა“  
პატრიოტული ნაწარმოებია. ლი-  
რიკოსი პოეტი ხალხური საგალო-  
ბლის საფუძველზე ქმნის განახ-  
ლებული სამშობლოს საზეიმო სა-  
დიდებელს:

საქართველო,  
საყვარელო,  
ჩემო ტკბილო,  
ღვიძლო დედავ!  
ყველა ცვანს დამღეროდი:  
„მზე შინა და მზე გარეთა“.  
აქა, ეს მზე—ჩაუმტრალი  
გაზაფხულის კვირტებს ხეთქავს.  
აგუგუნდა ის სიმღერა  
რაც ოდესმე უნდა გეთქვა.  
ეს მზე კრემლის ვარსკვლავია,

რომ ანათებს კიდით კიდეს,  
გზას გიშუქებს, რომ სიხარულს  
კვლავაც ერთისად მჴილე,  
მუხლმაგარი იყო მარად უკავშირი  
და მართალი გზებით ვლიდე.

ამ ლექსის არც ერთ სტრიქონ-  
ში არაა მოხსენებული ლენინი,  
მაგრამ სულისკვეთებით, იღეური  
მიმართებით, რწმენით, შთაგონე-  
ბით პოეტური ლენინიანას დამამ-  
შვენებელი სიმღერაა.

პოეტურ ლენინიანას ავსებს  
და სრულპყოფს საბჭოთა სინამ-  
დვილით შთაგონებელი „მოდი  
ნახე“, რომელიც პოეტ მამია ვა-  
რშანიძის კალამს ეკუთვნის. მდი-  
დარია; სავსეა ეს ლექსი ფერითა  
და მუსიკით, აზრითა და განცდით.  
და ყველაფერი ეს ოქტომბერმა  
დაამკვიდრა საბჭოთა აღამიანის  
ოჯახში.

ჩემს სახლს განა ჩრდილი ფარავს,  
ცისარტყელას ფერები აქვს,  
ვარსკვლავები მომიპარავს  
ღმე გამოთენებია.  
ჩემი კერა დალოცვილი  
მზესთან შემიჩერებია,  
ჩუქურთმებით დაკოცნილი  
ო, რამდენი ფერებია!

ლენინური თანადროულობის  
ერთერთი ტიპური ნიშანია საბ-  
ჭოთა საზოგადოების მორალურ-  
პოლიტიკური ერთიანობა, თაობა-  
თა შორის სრული პარმონია, მა-  
მათა ტრადიციებზე შვილთა და-  
ვაუკაცება. ეს მოტივი თავის ასა-  
ხვას პოულობს მხატვრულ სიტყ-  
ვაშიც. უფრო მეტიც, ამ სინამდ-  
ვილის შემოქმედებითი ათვისე-  
ბის ხარისხი მნიშვნელოვნად გან-

მოქალაქეობრივ დანიშნულებას, მის იდგილს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში.

კარგადაა მინიშნებული ამ მომენტზე ნესტორ მალაზონიას ორსტროფიან ლექსში „ახალ თაობას“. პოეტი შთავონებულია იმ რწმენით, რომ ოქტომბრის საქმე, რომელიც ჩვენმა მამებმა წამოიწყეს 1917 წლის ოქტომბერში, იმ დღიდი მომავლის დასაწყისია, რომელსაც კაცობრიობის თვისებრი-

აზის. ეს არაა ერთი თაობის საქმე. იგი ესტაფეტასავით გადაეცემა ეპოქებსა და თაობებს. ამიტომ საუსებით მართალია პოეტი ლიტერატურულ ცა აცხადებს:

შვილებს გმირობად ისიც ეყოფათ,  
რომ გმირ მამათა საქმე აკეთონ.

ჩვენი თაობა ჭეშმარიტად ბედნიერი თაობაა. მას წილად არგუნა ისტორიამ მაღლა ატაროს კაცობრიობის ნათელი მომავლის დროშა, დღიდი ლენინის დროშა.



გამია ხერაზი

## ქ თ გ უ ლ ე თ ი

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანა-  
პიროს მიდევნებით, ბათუმიდან  
ვიდრე გაგრის მისადგომებამდე,  
საქმაოდ დიდ მონაკვეთზე წარმო-  
დგენილია უძველესი ზღვისპირა  
დიუნები, რომელთაც სხვადასხვა  
ქუთხის მოსახლეობა სხვადა-  
სხვაგვარი სახელით იხსენიებს.  
დიუნები კოლხეთის დაბლობის  
მდინარეებს ზღვისკენ გასასვ-  
ლელს უკეტავს, რის გამოც შე-  
სართავებთან ისინი დიდ ფართო-  
ბზეა დარღვეული.

გვაქვს მონაცემები, რომ აღნი-  
შნული დიუნების ერთი ჯგუფი  
წარმოქმნილია 2500-3000 წლის  
წინათ. ამ პერიოდშივე ჩანს ისინი  
ათვისებული. ამისი მოწმობაა არ-  
ქეოლოგიური გათხრების პრო-  
ცესში დიუნების სხვადასხვა უბ-  
ნებზე სხვადასხვა დროს მოპოვე-  
ბული მასალები (ფიჭვნარი-ჩო-  
ლოქის, ურეკის, ფოთის, ოჩამუ-

რის, სოხუმის მიდამოები და  
ა. შ.)<sup>1</sup>. როგორც დადასტურდა,  
დიუნები და მისი მიდამოები  
ძვ. წ. 1 ათასწლეულის პირველ  
ნახევარში წარმოადგენდა ძველი  
კოლხური რეინის მეტალურგიის  
ერთ-ერთ სანედლეულო ბაზას,  
საიდანაც მეტალურგიული ცენტ-  
რები მაგნეტიტური ქვიშებით მა-  
რაგდებოდა.<sup>2</sup>

ზღვისპირა ძველი დიუნის იმ  
მონაკვეთზე, რომელიც მდ. კინტ-  
რიშსა და მდ. ჩოლოქს შორის  
არის მოქცეული, 12-15 კილომე-

1. ა. რამიშვილი. — შავი ზღვის სა-  
ნაპირო ზოლის ნამოსახლარები ქობუ-  
ლეთის რაიონში, ბათუმის სამეცნიერო-  
კვლევითი ინსტიტუტის „შრომები“, ტ.  
III, 1964. მისივე — ძველი სადგომები  
ფიჭვნარის ქვიშნარ დიუნაზე. „სამხრეთ-  
დასავლეთ საქართველოს ძეგლები“,  
I, ობილისი, 1964, გვ. 17.

2. დ. ხახუტაიშვილი, — კოლხეთის  
რეინის მეტალურგიის სათავეებთან. კრე-  
ბული „სამხრეთ-დასავლეთ საქართვე-  
ლოს ძეგლები“, I, ობ., 1964, გვ. 45-58.

ტრის სიგრძის ვიწრო ზოლზე გაშლილია ქალაქი ქობულეთი და მისი გარეუბნები. ომოსავლეთი-დან ქალაქს ებჯინება ისპანის ტორფნარი, რომლის ჭარმოქმნა, როგორც ჩანს, ამ 3-3,5 ათასი წლის წინათ დაწყებულა. 1963 წელს, საღრენაურ სამუშაოების დროს, ტორფის ორმეტრიანი ფენის ქვეშ აღმოჩნდა ძველი დასახლების ნაშთები,<sup>3</sup> რომელსაც აქ აღრე ბრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. III ათასწლეული) აღრე რკინის ხანამდე (ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგი) უარსებნია. ფიქრობენ, რომ აღნიშნული დასახლების დაცემის მიზეზი ისპანის მიდამოების დაჭაობება იყო. ეს პროცესი კი მას შემდეგ უნდა დაწყებულიყო, რაც ზღვისპირა დიუნა წარმოიქმნა და დაბლობის მდინარეებსა და წყლებს ზღვისკენ გასასვლელი ჩაეკეტა.

ქალაქის ტერიტორიას ჰკვეთს მდინარე აჭყავა, რომელსაც ზღვისკენ პირდაპირ გასასვლელს უკეტავს თანამედროვე ზღვისპირა ტერასა. ამის გამო, ზედ ზღვის ნაპირთან მდინარე მკვეთრად იცვლის მიმართულებას და სამხრეთისაკენ მიედინება. ასეთ სურათს ვხედავთ კოლხეთის დაბლობის არაერთი მდინარის შესართავთან. ასე, მაგალითად, მდ. პატარა ჭოროხი (ქუჩუკ ჭოროხი) წარმოქმნილა იმის შედეგად, რომ თანამედროვე ზღვისპირა

ტერასას ზღვისკენ პირდაპირ გასასვლელი ჩაუკეტა ს. გონიოს მიდამოების — ხევებიდან მონალევაზე ნი წყლებისათვის.<sup>4</sup>

მართალია, ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე და მის გარეუბნებში ადამიანის პირველი დასახლებები რამდენიმე ათასი წლის წინათ გაჩენილა, მაგრამ სახელ „ქობულეთით“ ეს ადგილი მხოლოდ XVII საუკუნის პირველ ნახევრში გვაქვს დადასტურებული კერძოდ, 1633-1649 წლებში სამეგრელოს სამთავროში მოღვაწეობდა იტალიელი მისიონერი არქანგელო ლამბერტი, რომელმაც 1654 წელს გამოსცა წიგნი „სამეგრელოს აღწერა“. წიგნში, სხვა საინტერესო მონაცემების გვერდით, გვხვდება ცნობა ქობულეთის შესახებაც.<sup>5</sup> ჯერჯერობით ეს არის ყველაზე ძველი წერილობითი ცნობა ქობულეთზე.

სახელ „ქობულეთის“ ახსნის სხვადასხვა ცდა არსებობს. ასე, მაგალითად, 1901 წ. გაზ. „ივერიაში“ უცნობი ავტორი ამტკიცებდა, თითქოს „ქობულეთი“ სემანტიკურად უკავშირდება ფარეხს (ქობულეთ-ფარეხი).<sup>6</sup> 1904 წ. მ. ჯანაშვილი მიუთითებდა: „ქობული — ბატკნის სადგომი

4. Н. Е. Астахов. — Некоторые соображения о формировании морского берега у крепости Гонио (Адж. АССР). კრებულში: სამხრეთ-დასვლეთ საქართველოს ძეგლები, 1, გვ. 97-99.

5. არქანგელო ლამბერტი. — სამეგრელოს აღწერა. თბ., 1938, გვ. 71-72.

6. გაზ. „ივერია“, 1901, № 10.

ადგილი. ქობულეთი — ადგილი, სადაც ბატყანს ამწყვდევენ, ადგილი — გამოქვაბულის მაგვარი“ («Кобул (ქობული) — загон для янгият, Кобулети — место загона для янгият, место — пещерообразное»).<sup>7</sup> რა თქმა უნდა, არადამაჯერებელია, აგრეთვე პ. ლორის მიერ 1928 წ. შემოთავაზებული მოსაზრება, თითქოს „ქობულეთი“ მომდინარეობდეს „ქებულეთიდან“.<sup>8</sup> ასევე ვერ გავიზიარებთ ი. სიხარულიძის მოსაზრებას, თითქოს სახელ „ქობულეთის“ ძირი „ქობ“ წარმოადგენს დამახინჯებულ ფორმას სიტყვა „ქვაბისა“. იგი საბა-სულხან ორბელიანზე მიღევნებით მიუთითებს, რომ „ქვაბი არის კლდე გამოკაფული“ და ამ საფუძველზე ძველ ქობულეთს ციხისძირის მიღამოებში ეძებს.<sup>9</sup>

სახელ „ქობულეთის“ ზემოთ მითითებული „ახსნები“ არც და-მაკმაყოფილებელია და არც დამა-

7. ბატონიშვილი ვახუშტი. — საქართველოს გეოგრაფია. რედაქცია მ. ჭანაშვილისა, თბილისი, 1904, გვ. 240, შენიშვნა 535.

8. პ. ლორი. — ქობულეთის მხარე. გაზ. „კომუნისტი“, 1928, № 10. ი. სიხარულიძეს ვერ გუხსნია მწერალ პარმენ ლორის მაშინდელი ფსევდონიმი. იხ. ი. სიხარულიძე. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I I, ბათუმი, 1959, გვ. 105. შეად. გვი მიქაძე, —ფსევდონიმების ლექსიკონი, თბ., 1969, გვ. 27.

9. იური სიხარულიძე. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I I, გვ. 104-105.

ქერებელი. თუ ჩვენ საფუძველი არა გვაქვს საყვედური ვუთხრათ ადრეული ხანის მკვლევარებს, ამასვე ვერ ვიტყვით ზოგიერთი თანამედროვე სპეციალისტის შესახებ. ასე, მაგალითად, ი. სიხარულიძე ვალდებული იყო 1959 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ანგარიში გაეწია ვ. დონდუას მიერ 1948 წელს გამოთქმული მოსაზრებისათვის, სადაც მითითებულია, რომ სახელი „ქობულეთი“ (წარმოქმნილია) პირის სახელისაგან ქობული (შეადარე: ქობულის-ძე, ანუ ქობულიძე, ქვაბულიძე, ქობულაძე)“. მაშასადამე, უკვე 1948 წ. ცნობილი იყო პროფ. ვ. დონდუას ავტორიტეტული მოსაზრება, რომ გეოგრაფიული სახელი „ქობულეთი“ უკავშირდება პირის სახელს „ქობულს“.<sup>10</sup> რომელიც ჩვენში VII საუკუნიდან მაინც არის ცნობილი (მცხეთის ჯვარის ტაძრის წარწერა).<sup>11</sup> მეორე მხრივ, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ XVI საუკუნეში კინტრიშაჟუვის ხეობათა რაიონში გვხვდებოდა გვარი „ქობულია“, რომელიც თავის მხრივ, ზანური (ჭანურ-მეგრული) გაფორმებით

10. ვარლამ დონდუა. — საისტორიო ძეგანი. თბ., 1967, გვ. 119. (წერილის სათაურია „ლიპარიტეთისა“ და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებზი“, პირველად დაიბეჭდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომებში, ტ. XXXIII, 1948).

11. ივ. ჭახახიშვილი. — ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თბ., 1949, გვ. 161-163, 289-290, ტაბ. III.

არის ნაწარმოები პირის სახელისა-  
გან — „ქობული“. (შეადარეთ:  
ბარამი-ბარამია — ბარამიძე, ბე-  
რი — ბერია — ბერიძე, ლომა —  
ლომაია — ლომაძე, ხარაზი — ხა-  
რაზია, — ხარაზიშვილი, ჭანი —  
ჭანია — ჭანიშვილი... ქობული —  
ქობულია — ქობულიძე).

1873 წ. 12 ოქტომბერს ოზუ-  
რეთში (ახლა ქ. მახარაძე) ისტო-  
რიკოს დ. ბაქრაძეს გადასცეს  
როსტომ გურიელის (1534-1564  
წ. წ. ვახუშტის მიხედვით) მიერ  
ნაბოძები „წყალობის წიგნი“,  
რომელიც მას აზნაურ იაშვილე-  
ბისათვის მიუცია. „წყალობის  
წიგნი“ გვაცნობს, რომ XVI სა-  
უკუნეში კინტრიშისა და აჭყვის  
ხეობების მოზრდილი მონაკვეთი,  
რომელიც კეჭიეთსა, დათვაის ცი-  
ხესა, ბზვანის მისადგომებსა, გან-  
ძის ყვაურის თავსა, (ი) სკურდას,  
ჭინკაძის კარავსა და სამების სა-  
ლოცავს შორის იყო მოქცეული,  
სანახევროდ იოთამ ფარხანიძეს  
ჰკუთვნებია, ხოლო სანახევროდ  
— ბოხვაძესა და ქობულიას. იო-  
თამ ფარხანიძე უძეოდ გადაგებუ-  
ლა და სწორედ მისი მამულის შე-  
მდგომ ბედზე მოგვითხრობს როს-  
ტომ გურიელის „წყალობის წიგ-  
ნი“. „...ესე წყალობის წიგნი... გი-  
ბოძეთ ჩვენ მზითეულს ერთგულს  
ყმას იაშვილს მწიგნობარს გალ-  
ბლებს მღვდელს ნასყიდა, ხო-  
სიასა.. გიბოძეთ იოთამ ფარხანი-  
ძის სოული სასახლე თორმეტი  
კვამლი კაცებითა და შინა მოსა-  
მსახურითა, მისის მარნითა, ჭურ-  
მამულითა, ტყითა, წყლითა, საყ-

ღრის კარითა სასაფლოიანათ, სა-  
ყანითა, მისის უძებარ საძებრითა.  
ასე, რომე ისკურდას გამორმა, ჭი-  
ნკაძის კარავს მოღმა, განძის ყვა-  
ურის თავს რომ წყალი ჩამოსჩქე-  
რის იმას დაღმა და ბზვანის კიდე-  
სა, კეჭიეთის საზღვარს, დათუვა-  
ის ციხეს გაღმოღმა, სამების სათა-  
ყვანეს ამოღმა თქვენთვის გვიბო-  
ძებია. ნახევარი ბოხვაძისა და  
ქობულიასი არის... გვარჩამომავ-  
ლობით დიდი აზნაურიშვილი  
ხართ.. და რაც დიდებულს აზნაუ-  
რიშვილს სისხლი და საუპატიო  
გასჩენოდეს, თქვენც ისე დაგეუ-  
რვებოდეს...“<sup>12</sup>.

ამგვარად XVI საუკუნეში ქო-  
ბულია კინტრიშ-აჭყვას ხეობის  
ერთ-ერთი ცნობილი მესაკუთრე  
ყოფილა. უნდა ვითქმიროთ, რომ  
„ქობულეთი“ ამ გვარ-სახელისა-  
გან არის ნაწარმოები. სახელი  
„ქობულეთი“ დაიშლება „ქო-  
ბულ“ ძირად, „ეთ“ სუფიქსად და  
„ი“ ბრუნვის ნიშნად (ქობულ+  
ეთ+ი). როგორც აკად. ა. შანიძე  
აღნიშნავს, „ეთ“ სუფიქსი არის  
ჩვეულებრივი და ყველაზე გავრ-  
ცელებული სახე გეოგრაფიულ  
სახელთა საკუთარი მაწარმოებ-  
ლისა“, <sup>13</sup> (ლიპარიტი—ლიპარიტ+  
ეთ+ი, კახი—კახ+ეთ+ი, რუსი

12. Дм. Бакрадзе. — Археологи-  
ческое путешествие по Гурии  
и Адчаре. СПБ, 1878,  
ст. 282—285.

13. აკად. შანიძე. — ქართული გრამა-  
ტიკის საფუძვლები, I, თბ. 1953, გვ.  
140.

— რუს+ეთ+ი, ლაზი — ლაზ+ეთ+ი, სომები—სომხ+ეთ+ი, კვ-ნჭაძე — კვ(ნ)ჭი+ეთ+ი, ბაილა (შვილი) — ბაილ+ეთ+ი, ქობულია — ქობულ+ეთ+ი და ა. შ.).

საყურადღებოა, რომ როსტომ გურიელის „წყალობის წიგნის“ გაცემიდან 100 წლის შემდეგ, სწორედ იმ ზონაში, რომელსაც წყალობის წიგნი აღწერს, არქან-ჯელო ლამბერტმა მიუთითა საბაზრო ადგილი ქობულეთი,<sup>14</sup> ხოლო 200 წლის შემდეგ ვახუშტი ბაგრატიონმა მდ. კინტრიშის შესართავთან იმავე სახელწოდების მცირე ქალაქის არსებობა დაადასტურა.<sup>15</sup>

ის ფაქტი, რომ XVII საუკუნე-მდე წერილობით წყაროებში და-დასტურებული არ არის სახელი „ქობულეთი“, შეიძლება იმის მოწმობაც იყოს, რომ ამ დრომდე კინტრიშ-ჩოლოქის ორმდინარე-თში მართლაც არ არსებობდა ამ სახელწოდების პუნქტი. თუ ეს დადასტურდა, ჩვენ გვექნებოდა კიდევ ერთი არაპირდაპირი მოწმობა იმისა, რომ ტოპონიმი „ქობულეთი“ სწორედ XVI ს. II ნახევარსა და XVII ს. დამ-დეგს გაჩენილა გვარ-სახელ „ქო-ბულია“-საგან. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ როგორც „ქობულეთი“, ისე „ქობულია“,

ორივე ადამიანის სახელ „ქობუ-ლი“-საგან იყოს ნაწარმოები.

გარდა ამისა, მართალია, გამო-თქმული იყო ვარაუდი, რომ ქო-ბულეთის მიდამოების უძველესი სახელი შეიძლებოდა ფიჭვნარი ყოფილიყო, მაგრამ ამ ვარაუდის დასაბუთების ცდა ძველი წყარო-ების მონაცემების შუქზე, საფუძ-ლიანი არ აღმოჩნდა.<sup>16</sup>

\* \* \*

როგორც უკანასკნელ პერიოდ-ში წარმოებულმა კვლევა-ძებამ ცხადყო, თანამედროვე ქალაქისა და კურორტის ტერიტორია, აგ-რეთვე, გარეუბნები დასახლე-ბული ყოფილა რამდენიმე ათასი წლის წინათ. რა თქმა უნდა, მთე-ლი ეს ტერიტორია იმ ხანაში კო-მპაქტურად კი არ ყოფილა განა-შენებული, როგორც ეს დღეს არის წარმოდგენილი, არამედ აქ მცირე დასახლებათა ცალკეული კერები ჩანს გაფანტული. ასე, 1953, 1956, 1964-1965 წლებში, ფიჭვნარის მიდამოებში, მდ. ოჩ-ხამურის მარჯვენა ნაპირთან, ბორცვ „ნამჭედურის“ არქეოლო-გიური დაზვერვების დროს გა-მოვლინდა სხვადასხვა პერიო-დის ძველ ნამოსახლართა ნაშთები, რომლებიც ერთმანეთზე იყო

14. არქანჯელო ლამბერტი. — სამე-გრელოს აღწერა, გვ. 71-72.

15. ვახუშტი. — აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 175-176.

16. 6. ლომოური. — კოლხეთის სანა-პიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1962, გვ. 80-81.

დაფენებული.<sup>17</sup> მათ შორის უძველესი დასახლების ნაშთები და მისი კუთვნილი მასალები ძვ. წ. III ათასწლეულს მიეკუთვნება. 1963 წელს, ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს გაშლილ ტორფნარში, სადრენაჟო სამუშაოების წარმოების დროს, ტორფის ორმეტრიანი ფენის ქვეშ აღმოჩნდა კიდევ უფრო ძველი დასახლების ნაშთები. ნამჭედურის ბორცვზე და ისპანის ტორფნარში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები საშუალებას იძლევა მივუთითოთ, რომ ქალაქის მიდამოებში პირველი დასახლებები ჯერ კიდევ ამ 4,5-5 ათასი წლის წინათ გამოჩენილა.

იმის გამო, რომ ნამჭედურის ბორცვის არქეოლოგიური შესწავლა სათანადო სისრულით ჯერაც არ წარმოებულა, ხოლო ისპანის ტორფნარქვეშა დასახლების გათხრები არც კი დაწყებულა, ჩვენ საშუალება არა გვაქვს წარმოვადგინოთ, თუ როგორ ვი-

17. Н. В. Хоштари. — Археологические раскопки в Пичвнари и Кобулети. Газ. «Батумский рабочий», 1957, № 69, 7/IV.

დ. ხახუტაშვილი. — საინტერესო არქეოლოგიური გათხრები. გაზ. „საბჭოთა ავარა“, ქალაქის წარმოქმნა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების სინათლეზე. ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, V, I, 1960.  
დ. ხახუტაშვილი. — კოლხური რეინის მეტალურგიის სათავეებთან. გვ. 53. და მისივე — იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 21 და შემდ.

თარდებოდა ქობულეთის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებათა ცხოვრება შუაბრინჯაოს ხანში (ძვ. წ. XX-XV სს) და გვიახლის ბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე (ძვ. წ. XIV-XI სს). მითითებულ პერიოდში ამ მიდამოებში ცხოვრების გაგრძელებაზე მიუთითებს ნამჭედურის ბორცვის ზოგიერთი მასალა.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან, როგორც ფიქრობენ, უნდა დაწყებულიყო იმ ზღვისპირა ძველი დიუნის წარმოქმნა, რომელზეც ქალაქია გაუშენებული. არქეოლოგიური გათხრების პროცესში დადგინდა, რომ იგი შეიცავს რამდენიმე კულტურულ ფენას, რომელთაგან უძველესი ვრცელდება გრუნტული წყლების დონემდე. როგორც არქეოლოგიური მასალები უჩვენებს, დიუნაზე არსებული უძველესი დასახლება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულა და I ათასწლეულის დამდეგზე უფრო ხნიერი არ უნდა იყოს, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა ძვ. წ. VI საუკუნეს უნდა მიეკუთვნებოდეს. არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლინდა ცალკეული საცხოვრებელი ნაგებობების გეგმები, თიხის საღვრებისაგან ნაგები საკუთხევლები, სამზარეულო და საყოფაცხოვრებო თიხის ჭურჭლები, კვირისტავები, ხელსაფვავები, სამკაული და ა. ჭ. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია თიხის ოთხუთხა აბაზანებმა, რომელთაც, როგორც ვარა

უდობენ, მაგნეტიტური ქვიშების  
გასაუკვებლად (გასაწმენდად) იყე-  
ნებდნენ.<sup>18</sup>

აღნიშნული გვქონდა, რომ შა-  
ვი ზღვის სანაპირო ზოლის ეს  
მონაკვეთი, უძველესი დიუნების  
ჩათვლით, დიდი რაოდენობით  
შეიცავს მაგნეტიტურ ქვიშებს,  
რომელიც ადგილობრივ მდინა-  
რებს ჩამოაქვთ.<sup>19</sup> როგორც გა-  
მოირკვა, ამ ნედლეულის გამო-  
ყენება ჩვენს წინაპრებს ამ 3000  
წლის წინათ დაუწყიათ.<sup>20</sup>

დადგინდა, რომ მდ. ჩოლოქის  
ხეობაში ცეცხლაურის, ჯიხანჯუ-  
რის, ნარუჯას, ლაითურისა და  
ანასეულის საბჭოთა მეურნეო-  
ბების, აგრეთვე, ლელვასა და ქა-  
ქუთის ტერიტორიაზე არსებულა  
კოლხური რკინის მეტალურგიის  
ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი  
ცენტრი, რომელიც რამდენიმე  
ათეულ საწარმოო უბანს მიითვ-  
ლიდა და ნედლეულად მაგნეტი-  
ტურ ქვიშებს იყენებდა.<sup>21</sup>

18. ა. რამიშვილი. — ძველი სადგომე-  
ბი ფიჭვნარის ქვიშნარ დიუნაზე, გვ.  
17-27.

19. Природные ресурсы Грузинской ССР, т. I, Москва, 1958, стр. 83.

20. ი. გრძელიშვილი. — აჭარაში  
1960-1961 წ. წ. აღმოჩენილი რკინის  
სადნობი ქურა-სახელოსნოების გათხრე-  
ბის ძირითადი შედეგები. კრებული  
„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგ-  
ლები“, I, გვ. 31 და შემდეგი.

21. ი. გრძელიშვილი. — დასახ. ნაშრ.,  
გვ. 31 და შემდ. ღ. ხახუტაიშვილი, —  
კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათა-  
ვებთან. გვ. 50 და შემდეგი.

ფიქრობენ, რომ რკინის უძვე-  
ლები მეტალურგიის ამ საწარმოო  
კერისათვის საჭირო ნედლეუ-  
ლის მოპოვება სწორედ დიუნუ-  
რი დასახლებების რაიონში სწა-  
რმოებდა, რაზედაც ფიჭვნარის  
ძველი მოსახლეობის გარკვეული  
ნაწილი უნდა ყოფილიყო დასაქ-  
მებული.

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდე-  
გისა და მომდევნო ხანის დასახ-  
ლებები არსებობდა არა მარტო  
დიუნაზე, არამედ ჩოლოქისა და  
ოჩხამურის წყალსაყარს შორის  
არსებულ ბორცვებზე და მიმდე-  
ბარე ტერიტორიაზე. ამ პერიო-  
დში ფიჭვნარ-ქობულეთის ტე-  
რიტორიაზე მოსახლე თემებს  
ჰქონდათ მრავალდარგობრივი  
მეურნეობა, სადაც კარგად გან-  
ვითარებული სოფლის მეურ-  
ნეობისა, მეთევზეობისა და მეც-  
ხოველეობის გვერდით წარმოდ-  
გენილი ყოფილა ხელოსნობა და  
მისი დამხმარე დარგები (ნედლე-  
ულის მოპოვება, ლითონდამუ-  
შავება, მეთუნეობა, ფეიქრობა  
და ა. შ.).

ძვ. წ. VI საუკუნისათვის ფიჭვ-  
ნარ-ჩოლოქის მიღამოებში აღი-  
ნიშნება ქალაქური ტიპის მსხვი-  
ლი დასახლებების არსებობა. ამავე  
დროს აქ ჩნდებიან პირველი ბერ-  
ძენი მოახალშენები, რომლე-  
ბიც, როგორც ჩანს, რკინის ნაწა-  
რმის სიუხვემ და სიიაფემ მიიზი-  
და.<sup>22</sup> მაშასადამე, ძვ. წ. VI საუ-

22. ღ. ხახუტაიშვილი. — დასახ.  
ნაშრ., გვ. 55-58.

კუნიდან აქაური მოსახლეობა აქტიურად ჩაბმული საერთაშორისო გაჭრობაში, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ გაშლილა ძვ. წ. V, IV, III ს. ს. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი იყო სინოპის, ჰერაკლეის, ლესბოსის, ქიოსის, თაზოსის, ფინიკიის, სირიის, პანტიკაპეიონის თუ რიგი სხვა ცენტრების (ქალაქების), ასევე კოლხური ქალაქებისა თუ სახელოსნო ცენტრების ხელოსნური ნაწარმი, აგრეთვე მონეტები (ჭიზიკინი, სინოპური დრაქმები, ალექსანდრე მაკედონელის სტატერები, ადგილობრივი, ე. შ.). კოლხური თეთრი და ა. შ.). ფიჭვნარის ნაქალაქარზე მოპოვებულ მასალაში ყურადღება მიიქცია, აგრეთვე, ტყვიის ორმოცდაათვრამიანმა საწონმა, რომელიც წონა-ზომის ძველბერძნულ სისტემას უკავშირდება. ეს მონაცემები იმისი უეჭვო მოწმობაა, რომ ძვ. წ. VI-II სს ფიჭვნარ-კობულეთის ტერიტორიაზე არსებულ ქალაქს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონია როგორც ძველი კოლხეთის სხვა ქალაქებთან, ისე ჩრდილო და სამხრეთ შავიზღვისპირეთის, აგრეთვე, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა და ბალკანეთ-ეგეოსის აუზის სავაჭრო-სახელოსნო და

კულტურულ ცენტრებთან.<sup>23</sup>

ძვ. წ. II საუკუნის შემდეგ ქობულეთ-ფიჭვნარის ნაქალაქარზე, როგორც არქეოლოგიური მასალები უჩვენებს, შეინიშნება საქალაქო ცხოვრების მკვეთრი დაქვეითება და დაცემა, თუმცა მცირე მასშტაბის დასახლებები შემდეგ პერიოდებშიც განაგრძობენ არსებობას.<sup>24</sup>

ქობულეთ-ფიჭვნარის დაქვეითების შემდეგ, ამ რაიონში, როგორც ფიჭრობენ, დაწინაურებას იწყებს ციხისძირის მიღამოებში არსებული დასახლება. VI საუკუნის ბერძნულ-ბიზანტიური წყაროები მას პეტრას უწოდებენ, ხოლო მოვიანო ქართული წყაროები — „ქაჯეთის ციხეს“.<sup>25</sup>

სამწუხაოდ, ჩვენ ცოტა რამ ვიცით იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა იყო თანამედროვე ქობულეთის ტერიტორიაზე ახ. წ. V-XVI საუკუნეებში. რა თქმაუნდა, მოჭიქული თიხის ჭურჭლების რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც აქ არის აღმოჩენილი, ბევრს არაფერს იძლევა ამ პერიოდში არსებული ვითარების წარმოსადგენად.

23. ა. კახიძე. — მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძევლი ქალაქების ისტორიისათვის (ქობულეთ-ფიჭვნარის ანტიური ხანის არქეოლოგიური ძეგლები). „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, IV, თბ., 1965, გვ. 67-92.

24. იქვე, გვ. 90-91.

25. ს. განაშია. — ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. შრომები, I. თბ., 1949, გვ. 29-44.

XVII საუკუნეში, როგორც აღ-  
ვნიშნეთ, ქობულეთი პირველად  
იხსენიება როგორც საბაზრო აღ-  
გილი; ამასთან, როგორც არქან-  
ჭელო ლამბერტი გვამცნობს, იგი  
არც ჩვეულებრივი საბაზრო აღ-  
გილი იყო და არც მხოლოდ ადგი-  
ლობრივი მნიშვნელობისა. ცნო-  
ბილია, რომ XVI საუკუნიდან,  
ერთიანი საქართველოს დაშლა-  
დასუსტებისა და ირან-ოსმალე-  
თის მოძალების გამო, ამიერკავ-  
კასიის ქვეყნებში, განსაკუთრე-  
ბით კი საქართველოში, ფართოდ  
გავრცელდა „ტყვის სყიდვა“.  
ცხადია, იგი განსაკუთრებით აყვა-  
ვდა ზღვისპირა რაიონებში (აფხა-  
ზეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა),  
სადაც ტყვეთა ვაჭრობის რიგი  
ბაზრები წარმოიქმნა. მათ შორის  
XVII საუკუნის პირველ ნახევარ-  
ში განსაკუთრებით ცნობილი ყო-  
ფილა ქობულეთის ტყვეთა ბაზა-  
რი. როგორც არქანჭელო ლამბე-  
რტი გვამცნობს, „...ქობულეთში,  
მუდამ ტყვებით ვაჭრობენ. ამას  
ხელს უწყობს ის გარემოება, რომ  
ახლო ქალაქებიდან — რიზედან,  
გონიოდან და ტრაპეზუნტიდან აქ  
მოდის მრავალი თურქი ვაჭარი.  
მათ მოაქვთ ბევრი ფული და ტა-  
ნისამოსი, რაც ფრიად ეჭირვება  
აქაურ ხალხს. თურქები კი სამა-  
გიეროდ მხოლოდ ტყვებს თხოუ-  
ლობენ. ამიტომაც აქ მოყავთ თუ-  
რქებზე გასაყიდად ქართლელე-  
ბიც, კახელებიც და აფხაზებიც...  
იპარავენ როგორც მამაკაცებს,  
ისე დედაკაცებს, დიდებსაც  
და პატარებსაც. ზოგჯერ ივ-

აზაკები ღამე თავს დაესხ-  
მიან მეზობლის სახლს, შეტე-  
ხენ ძალით სახლის კარს, შებოჭა-  
ვენ ვისაც კი შინ იპოვნიან და ვი-  
რდაპირ ქობულეთში გააქანებენ.  
ზოგჯერ კი მოტყუებით მიიბი-  
რებენ თავის სახლში, დაატყვევე-  
ბენ და შესაფერ დროს ქობულე-  
თშივე წაიყვანენ თურქებზე გა-  
სასყიდად“.<sup>26</sup>

ძნელია თქმა, თუ როდემდის  
შეინარჩუნა ქობულეთმა ამგვა-  
რი ავალსახენებელი „დიდება“.  
ყოველ შემთხვევაში, აღწერილ  
ამბიდან ასი წლის შემდეგ, ვახუ-  
შტი ბაგრატიონი არაფერს ამბო-  
ბლა ქობულეთში ტყვეთა ბაზრის  
არსებობის შესახებ. „ალამბრისა  
და აჭყვის სამხრით დის მდინარე  
ქობულეთისა. გამოსდის ხინო-  
აჭარის მთასა, მოდის დასავლე-  
თით, მიერთვის ზღვასა ეგრეთვე.  
ზღვის პირს ამ წყალზედ არს ქო-  
ბულეთი, მცირე ქალაქსავით და  
ნავსადგური ფრიად კეთილი“.<sup>27</sup>  
მართალია, დასავლეთ საქართვე-  
ლოს, კერძოდ ქობულეთის მხა-  
რის რიგი ადგილების აღწერისას  
ვახუშტი ბაგრატიონი უშვებს  
შეცდომებს,<sup>28</sup> მაგრამ მისი ცნო-

26. არქანჭელო ლამბერტი, — სამეგ-  
რელოს აღწერა. გვ. 71-72.

27. ვახუშტი. — აღწერა სამეფოსა  
საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 175.

28. Дм. Бакрадзе. — Археологи-  
ческое путешествие по Гурии  
и Ад-чаре, спб. 1878, стр. 16-  
— 17.

ბები უშუალოდ ქობულეთის შე-  
სახებ სანდო და რეალური  
ჩანს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევ-  
რიდან ქობულეთი თურქეთის  
მფლობელობაშია და ამ პირობებ-  
ში რჩება 1878 წლამდე.

1850 წელს ცნობილი ისტო-  
რიკოსი პლატონ იოსელიანი მი-  
უთითებდა, რომ ქობულეთი  
ერთ-ერთი ძველი ზღვისპირა ქა-  
ლაქია, რომელიც მდიდარია ქრი-  
სტიანული ძეგლებით. მისი ცნო-  
ბით, ქობულეთში ქრისტიანობა  
ოსმალებს აუკრძალავთ XIX სა-  
უკუნის დამდეგს.<sup>29</sup> როგორც  
ჩანს, მკვლევარს მაინცადამაინც  
მდიდარი ცნობები არა ჰქონია  
ქობულეთის შესახებ.

1873 წლის აგვისტოში ქობუ-  
ლეთი მოინახულა ცნობილმა  
მკვლევარმა და საზოგადო მოღვა-  
წემ დიმ. ბაქრაძემ. იგი წერდა:  
ქობულეთი შეჯგუფულია ზღვის  
ნაპირას მდ. აჭყვას შესართავ-  
თან... ქობულეთი პატარა სავაჭ-  
რო ქალაქია, რომელიც თურქი  
მუდირის (უბნის უფროსის) რე-  
ზიდენციას და იმ ბატალიონის  
შტაბ-ბინას წარმოადგენს, რომ-

ლის შემადგენლობაშიც აომოჩ-  
ნდნენ როგორც აღილობრივი  
მცხოვრებლები, ისე ჩერქეზები.  
ქობულეთში ჩვენ ჩავუარეთ ორ  
ორსართულიან სახლს, რომლე-  
ბიც ეკუთვნოდათ ძველი გურუ-  
ლი გვარის ადგილობრივ მფლო-  
ბელთ თაგდირიძეებს ანუ თავ-  
დგირიძეებს: ალი ფაშას, ოსმან  
ბეგს, ხუსეინ ბეგს და მურად  
ბეგს. ჩვენ ვფიქრობდით მათ  
სახლში ვაგვეთია ლამე, მაგრამ,  
სამწუხაროდ, ვერც ერთ მათგანს  
სახლში ვერ შევესწარით, ხოლო  
მათი მეუღლეები არ გვინდოდა  
შეგვეწუხებინა, თუმცა მათ, რო-  
ცა ქმრები სახლში არ არიან, უფ-  
ლება აქვთ სტუმრად მიიღონ  
ვინც არ უნდა იყოს... ლამე გავა-  
თიეთ ერთ პატარა ღუქანში და  
ადგილობრივი ვახშმითაც კმაყო-  
ფილი დაგრჩით".<sup>30</sup> სამწუხაროდ,  
დ. ბაქრაძე არაფერს აღნიშნავს  
იმის შესახებ, თუ რა ძეგლები  
იყო გადარჩენილი ქალაქის ტე-  
რიტორიაზე, რა ხასიათისა იყო  
მოსახლეობის საქმიანობა, როგო-  
რი იყო ექსპორტ-იმპორტის  
ასორტიმენტი და ა. შ.

ასეთია ზოგიერთი ცნობა ძვე-  
ლი ქობულეთის შესახებ.

30. Дм. Бакрадзе. — Указанный  
труд, стр. 12 — 13.

29. П. Иоселиани.—Города, су-  
ществовавшие и существующие в  
Грузии. Тифлис, 1850, стр. 50.

## აგარის ეკლესიის საუნდე

გასული საუკუნის ცნობილი არქეოლოგი და მოგზაური პ. უვაროვა არაერთხელ იყო კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. მან ფეხით თუ ცხენით შემოიარა აჭარის ხეობები, მთები, ესაუბრა ადგილობრივ მცხოვრებლებს და ბევრი ფრიად საყურადღებო ცნობა შემოგვინახა. თუმცა, როგორც მის მიმართ, ისე სხვების მიმართაც თედო სახოკია გულისტყივილით შენიშნავდა, რომ ჩვენს ეროვნულ საუნჯეს რუსეთში ეზიდებიანო, და იქვე დასძენდა: „ჩვენს შორის კი არავინ გამოჩნდა ისეთი, რომ ამავე ნივთებისათვის თავი ერთად მოეყარა და შთამომავლობისათვის უკლებლივ გადაეცა“.

პ. უვაროვასათვის აჭარაში მოგზაურობიდან ყველაზე უფრო ნაყოფიერი 1888 წლის ზაფხულში მოწყობილი ექსპედიცია იყო. ამ წელს მან გაწმინდა და გათხარა აგარის (ხულოს რაიონი) ჩანგრეული ეკლესია.

სხვათა შორის ექსპედიციაში მეზობლად მდებარე საციხეურის ეკლესიის გათხრაც მოისურვა, მაგრამ ბინის უქონლობამ და სიცეებმა ხელი ააღებინა ამ განზრახვაზე, თორემ... „უეჭველად აქაც

რაღაცას მივაკვლევდითო“, წერდა შემდეგში უვაროვა.

აქ, აგარაში აღმოჩენილი უნიკალური საგნები მკვლევარმა ქალმა შესწავლის მიზნით რუსეთში გაიტანა. ამასთან მან ფრიად ძვირფასი ცნობები შემოგვინახა სხალთის ეკლესიაზე.

ჩვენი მხარის მატერიალური კულტურის ეს ორი ძეგლი მოგზაურმა შეისწავლა და საქართველოსადმი მიძღვნილ თავის ფუნდამენტურ და კარგად ილუსტრირებულ ნაშრომში „ქრისტიანული ძეგლები“ შეიტანა. იგი 1894 წელს სერიით „ქავკასიის არქეოლოგიის მასალები“ გამოვიდა მოსკოვში. მანამდე კი მათზე ნაწილობრივ თქვა თავისივე წიგნში — „აფხაზეთი, აჭარა, შავშეთი, ფოცხოვის უბანი. მგზავრის ჩანაწერები“, ნაწილი მეორე, რომელიც 1891 წელს გამოქვეყნდა.

აგარისა და სხალთის ეკლესიების აღწერას ავტორმა წარუმდლვარა ჩვენი მხარის წარსულის მოკლე მიმოხილვა.

ახლა, წერს მკვლევარი, აჭარა ბათუმის ოლქის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს (აერთიანებდა აჭარის, ართვინისა და თვით ბათუმის ოლქებს) და ქვემო და

ზემო აჭარად იყოფა. ძველად კი  
მთელ ამ მხარეს საერთო სახელი  
— სამცხე ანუ ზემო ქართლი ერ-  
ქვა. ჩრდილოეთით მას გურია  
ესაზღვრება, სამხრეთით შავშე-  
თი და პერანგას ქედი. როგორც  
ცნობილია, ამ ადგილების  
მკვიდრო, ისე როგორც მეზობელი  
შავშეთისა და ლაზისტიანის მცხო-  
ვრებლებს, ქრისტიანობა მეოთხე  
საუკუნეში წმინდა ნინოსაგან  
მიუღიათ.

ამავე აზრს ასაბუთებს ნ.  
ლომოური თავის ნაშრომში „ეგ-  
რისის სამეფოს ისტორია“. იგი  
120-ე გვერდზე წერს: „შეიძლება  
ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანობის  
სახელმწიფო სარწმუნოებად გა-  
მოცხადებას ეგრისში (ლაზეთში)  
მეოთხე საუკუნეში ჰქონდა ად-  
გილი, ე. ი. დაახლოებით იმ ხანე-  
ბში, როგორც იბერიაში. იგი  
ამავე უფრო გარკვევით იმეო-  
რებ 130-ე გვერდზე.

3. უვაროვა წერს, აჭარის მო-  
სახლეობა მეთორმეტე საუკუნე-  
ში მართლმადიდებლური იყო,  
ქრისტიანობისაკენ მათ სწრაფვა-  
ზე მეტყველებენ უამრავი ეკლე-  
სიები. და ტაძრები, რომლებიც  
მთელ დასავლეთ საქართველო-  
შია მიმოფანტული და მნახვე-  
ლებს ნანგრევებითაც კი ანცვიფ-  
რებენო.

ახლა აჭარის ბინადარნი ისლამს  
აღიარებენ, ამიტომაც მათ ზოგ-  
ჯერ თურქებად მიიჩნევენ, ისინი  
კი ნამდვილად სუფთა ქართვე-  
ლური ტომისანი არიან, ამბობს  
მეცნიერი, აჭარლები კარგახანს

თურქების უღელქვეშ გმინავ-  
ლნენ, მაგრამ მშობლიური მათში  
მაინც ვერ წაბილწესო. თურქუ-  
ლი ენა სრულებით უცნობის ჭა-  
ლებისა და ბავშვებისათვის. მათ,  
მართალია, დაივიწყეს მამა-პაპათა  
სარწმუნოება, მაგრამ თავის  
თავს „გურჯებს“ უწოდებენ და  
ამაყობენ მშობლიური ქართული  
ენის თავიანთი სუფთა კილო-  
თიო.

რელიგიური დანიშნულების  
მატერიალური კულტურის ძეგ-  
ლებს გარდა პ. უვაროვას ყურად-  
ღება თაღოვანი ხიდებისთვისაც  
მიუქცევია. ისინი ოლილი ქვებითა  
და კირით აუგიათ ჩვენს წანაპ-  
რებს, რაც მათ მაღალ ოსტატო-  
ბაზე მეტყველებს.

სავსებით მისაღებია ჩემს მიერ  
წინათ გამოთქმული მოსახრება  
იმის შესახებ, ამბობს მკვლევარი,  
რომ აჭარის მცხოვრებლებს ქრი-  
სტიანული სამლოცველო სახლე-  
ბი ოდითგანვე ჰქონდათ აგებული  
მთებზე, ხეობებსა და ბარშიც.  
აჭარასა და შავშეთში ასეთი პა-  
ტარა ტაძრები შეიძლება უფრო  
მეტი იყოს, ვიდრე აფხაზეთში,  
ჩვენ, მართლაც, აჭარაში უამრა-  
ვი ამგვარი ნაგებობა აღვრიცხეთ  
და გაგზომეთ. ყველა ისინი ერთი  
ფორმისაა და ამიტომაც ყველაზე  
არ შევჩერდებით. მით უმეტეს,  
რომ ზოგი მათგანი სხვებმა უკ-  
ვე აღწერესო.

მკვლევარი სწორად შენიშნავს,  
რომ აჭარასა და შავშეთში ეკლე-  
სია-ტაძრები ციხე-სიმაგრეებისა  
და მიუვალი კოშკების მეზობ-

ლად, ან შიგნით არის ნაგები, არაც იმდროინდელმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში ეკლესიების აგება ციხე-სიმაგრეებთან ან შიგნით, არაბების, უფრო კი თურქ-სელჩუკების პირველი შემოსევების დროს უნდა დაეწყოთ.

უვაროვას გადმოცემით, ასეთ ეკლესიებს განეკუთვნება: ქედის (მოპირდაპირე მხარეზე), ზემო ანუ დიდაჭარიდან შუა აჭარაში გადმოსასვლელთან მდებარე დანდალოს, ოჩიასწყლის ან ოჩიასმსხლის (ავტორს ოჩიასსხალი უწერია), ხულოს ზევით მდებარე ს. დიაკონიების, ხიხაძირის, ვარდციხედ ცნობილი ხირხათ-ხიხანისა და სხვა. ამ უკანასკნელზე ადგილობრივ მცხოვრებლებს უთქვამთ, თამარ მეფემ ააგოო.

აჭარის ზოგიერთი ეკლესია-ტაძარი პავლინოვმა და სხვებმა აღწერეს, ამიტომაც პ. უვაროვა მათზე თავს იყავებს და ამბობს, პატარა ეკლესიებიდან მე მხოლოდ აღვწერ აგარისას, როგორც ძალზე საინტერესოს თავისი ადგილმდებარეობითა და მასში აღმოჩენილი საგნებითო.

აგარის ეკლესია განცალკევებით, ბორცვზე ყოფილა აგებული. ამ ადგილისათვის ხალხს ნასაყდრალი უწოდებია. ეს გორაკი დასავლეთით ღორჯომის ხეობას ესაზღვრება, ჩრდილოეთით ამავე სახელწოდების სოფელს, აღმოსავლეთით ს. აგარას, სამხრეთით

კი ამავე სახელწოდების ხეობას, ეკლესიის სტრატეგიულ აღგილ-მდებარეობაზე ისიც მეტყველებს, რომ აქედან გზა ჩრდილოეთით გურიაში გადადის, აღმოსავლეთით კი — ახალციხეში.

მკვლევარმა გადაწყვიტა ეკლესიის ნანგრევები გაესუფთავებინა და შემდეგ კიდევაც გაეოხარა. ეს მოსაზრება შენობის გარე ღაზეერვამ ნათელი გახადა. შესასვლელ კარზე წააწყდნენ პირველ ძვირფას აღმოჩენას — ბრინჯაოს მშვენიერ ხატს წმინდა გიორგის გამოსახულებით.

ეკლესია ორნაწილიანი და წაგრძელებული ოთხუთხედის ფორმის ყოფილა, ქვებიდან კოხტად გამოჭრილი ლოდებითა და კირით ნაგები, სიგრძით 17 მეტრი, სიფართით — 10 მეტრი. თაღი მთლიანად შიგნით ჩავარდნილყო და ბევრი რამ კიდევაც დაეზიანებინა, მაგრამ დაუმსხვრეველი თაღის ქვის არქიტექტურული დეტალები, კრამიტი და თლილი ფილები მაინც გადარჩენილა. მათ წყალსადინარები და ერთმანეთზე გადასაბმელი სამაგრები ჰქონიათ, რაც ცხადყოფს მშენებლობის მაღალ ღონეს იმდროინდელ აჭარაში.

კრამიტისა თუ თლილი ფილების სიგრძე ერთ არშინზე მეტი ყოფილა. იატაკი ქვის დიდი ზომის ფილებით დაეგოთ. სვეტები, კოლონადები, მათი თავები, საყრდენები, კედლები სხვადასხვა სტილზე, სხვადასხვა ფერით მოეხატათ. ყველაფერს სუფთა დახ-

ვეშილი ოსტატობის ხელი აჩნდა. არქეოლოგების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა თითქმის დაუზიანებელ ქვის კანკელს წააწყდნენ. იგი საკურთხეველს ეკლესიის სხვა ნაწილებისაგან ჰყოფს და ხატების თავმოყრის აღგილს წარმოადგენს. მას მთელი ბრწყინვალებითა და ორნამენტებით ამჟობენ, რომ მორწმუნებზე დიდი ემოციურ-რელიგიური გავლენა მოახდინოს.

კანკელი აღგილიდან დაძრულიყო. თავდაპირველად ქვიდან გამოჭრილ ბრტყელ საფეხურზე შეედგათ. აქ მხოლოდ კოლონადები და მათი დამამშვენებელი არქიტექტურული დეტალები დახვდათ. ისინი, უფრო კი კანკელი, ოსტატებს ფაქიზად, თვალის მომჭრელად მოეჩუქუროთმებინათ. კომბინირებულ ფიგურებსა და ორნამენტებს, ფაქიზად დახვეწილ ქვებს, სწორ კუთხეებსა და წითელი ფერის ხაზებითა და სარტყელებით დამშვენებულ კანკელს აღტაცებაში მოუყვანია პ. უვაროვა. ამიტომაა, რომ იგი თავისი ნაშრომის ბოლო სიტყვაში ისევ უბრუნდება მას და ამბობს, რომ ეს კანკელი ფრიად ფაქიზადა დახვეწილი, ამასთან უფრო მაგარ ქვაზე, ვიდრე სადმე სხვა-გან კავკასიაში შევხვედრივარო. იგი უსათუოდ განვითარებულ ებოქას განეკუთვნება და ნამდვილი აღმოსავლური ხასიათისაა, როგორც დამუშავების, ისე ორ-

ნამენტის მხრივო. მაგრამ ის იქვე შენიშნავს, რომ შორეულ წარ-სულს არ უნდა ეკუთვნოდეს, რა-დგან წითელი ფერის ნახატები კარგად შემონახულა, თუმცა არაერთი საუკუნე ნანგრევებს ქვეშ გაატარაო.

ეკლესიის თაღის ჩამონგრევა, ჩვენი აზრით, გვიან უნდა მომხდარიყო. ესაა იმის ერთი მიზეზი, რომ იგი ხელუხლებელი აღმოჩნდა. მართალია, მოსახლეობა მამა-პაპის ნასაყდრალს არ დაარბევდა და წმინდა ადგილად გამოაცხადებდა, მაგრამ იმხანად განაცოტა მოხეტიალე-ყაჩალი დაძრწოდა მთებსა და ხეობებში? მათ შეეძლოთ ბინა დაედოთ აქ და კიდევაც „გაესუთავებინათ“ ის. კანკელის ერთ ლოდზე მდიდრულად მოხატული ტოლფერდა ჯვარი, პილასტრები და ლვთისმშობლის ხატი იპოვეს. ეს უკანასკნელი სპილენძის ფირფიტებით ხის დაფაზე დაემაგრებინათ.

ნახეს აგრეთვე ქვის ჯვრები, თეთრი ფიალისა და სხვა ჭიქეულის, ჭურჭლეულის ნატეხები, პირფართე თიხის დოქები საყელურებითა და ვიწრო სადგამებით. მათ ჯვრისებრი ორნამენტი ამშვენებდა.

ნანგრევებს ქვეშ გარეული თხების, ცხვრების უამრავი და ირმის ერთი რქაც აღმოჩნდა. ეტყობა, ისინი დასამუშავებლად მოეტანათ, რაღაც ირმის რქები ორივე მხრიდან უკვე მოემზადებინათ.

აქვე იპოვეს რკინის ჯვრები, კავები, დიღი ზომის გასალები, დანა, ბრინჯაოს ორი ეყვანი და რკალები, აგრეთვე ვერცხლის ბალთა და ღილები.

უვაროვა სპეციალურად ეხება და ფრიად მაღალ შეფასებას აძლევს ქვის ქანიდან ფაქიზად გამოკვეთილ ხატს. ეს ფიგურებიანი ხატი ორიარუსიანია. ქვევითა ნაწილზე გამოსახულია სამი მხედარი, რომლებსაც მზის დისკოები ანუ შარავანდი მოსავს. პირველს ხელში ხმალი უჭირავს, მეორეს — ფარი, ხოლო მესამეს — შუბი, რომლის წვერილა შემორჩა ხატს.

ზევითა იარუსი ცის კაბადონს უჭირავს, რომლის შუაში მკვეთრად ამოკვეთილი და შარავანდით მოსილი იესო ქრისტეა ჯვრის გადასახვის მომენტში. აღბეჭდილია აგრეთვე ღვთისმშობელი და ორი წმინდანი. ისინი ხელებგაწვდილები მიმართავენ ქრისტეს.

აგარის ხატის ხილვით აღფრთვანებულია მკვლევარი და ხაზს უსვამს ამ ნამუშევრის ზედმიწევნით დახვეწილობას, ნათელ ფერებს, ტანსაცმლის ნაოჭების კლასიურ აღბეჭდვას და საერთო მოხატულობას.

ამ იარუსებს შუა შეუირაღებული თვალითაც კი შეიმჩნევა დაზიანებული ქართული წარწე-

რა, რომელიც უვაროვას ალ. ხანაშვილისათვის უჩვენებია. ეს რთველმცოდნეობის ამ გამოჩენილ მოჭირნახულეს უთქვაშს, მე-14 საუკუნის მხედრული წარწერაა. მაგრამ იგი ხომ გვიან გააკეთა უცნობმა პიროვნებამ, რომ თავისი აღტაცება გამოეთქვა ოსტატების მიმართ ასეც წერია: „მაცხოვარო შემოქმედ...“

ფრიად საყურადღებოა ბრინჯაოს ხატიც. როგორც ვთქვით, იგი ეკლესიის შესასვლელ კარზე იპოვეს. მასზე ცხენზე მჯდომი წმინდა გიორგია გამოსახული ურჩეულის მოკვლის დროს. ეს ნამუშევარი, არქეოლოგის აზრით, აგარაში აღმოჩენილ სხვა საგნებისაგან განსხვავდება როგორც შესრულებით, ისე ხასიათით.

ისმება კითხვა — სად შეიძლება მივაკვლიოთ აგარის ეკლესიის უნიკალურ საუნჯეს და დავიბრუნოთ იგი?

პ. უვაროვა აჭარაში მოავლინა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ და მანვე გამოსცა ამ მეცნიერის ხენებული ნაშრომი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ აგარის ეკლესიის საუნჯე მოსკოვის რომელიმე მუზეუმში ან სხვა დაწესებულებაში უნდა ინახებოდეს.



## კლასიზათევამი

ნაზი ნოღაიდელი. „ვ. ი. ლენინი აჭარის ზეპირსიტყვიერებაში“.  
გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1969 წ.

ხალხი ოდითგანვე უმღერდა ჭეშმარიტების, სიმართლისა და ადამიანთა ბეღნიერებისათვის მებრძოლ გმირებს, ქმნიდა გრანდიოზულ, საკუთრივ სახეებს. ამ მხრივ მეტად მღიდარი ტრადიცია აქვს ქართულ ზეპირსიტყვიერებას. სწორედ ეს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გახდა ის მტკიცენიადაგი, რომელზეც აღმოცენდა ჩვენი ხალხური პოეტური ლენინიანა.

საერთოდ ქართულ ფოლკლორში, კერძოდ კი აჭარულში, საკმაოდ დიდი აღგილი უკავია ლექსებს, რომლებშიც ვ. ი. ლენინი წარმოგვიდგება, როგორც უბალლო რევოლუციონერი, მშრომელთა უებრო მეგობარი და კეთილისმყოფელი, „ყველაზე ადამიანური ადამიანი“, იდეალური პიროვნება. ამ ლექსების გულდასმით შესწავლა და გაანალიზება დაუსახვს მიზნად სარეცენზიონ ნაშრომის ავტორს ნ. ნოღაიდელს. უთუოდ მისასალმებელია, რომ იგი

ცდილობს ხალხური პოეტური შემოქმედების ფაქტები განიხილოს სინამდვილესთან მრავალმხრივ კავშირში, მასებისა და ბელადის სრულიად ახლებური ურთიერთობის ასპექტში.

ლენინის სახე შერწყმულია ისტორიასთან და ხალხური მთქმელებიც მას გვიხატავენ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში, ჩვენი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. პირველი რევოლუციის რომანტიკა და მომდევნო რეაქციით გამოწვეული უიმედობა, პირველი მსოფლიო ომი და ახალი რევოლუციური აზვირობება, დიდი ოქტომბრის ტრიუმფი და ბრძოლა კონტრრევოლუციისა და ინტერვენციის ძალებთან — ყველაფერი ეს წარუშლელად აღიბეჭდა ქართულ ხალხურ პოეზიაში. მშობლიურ მიწა-წყალზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ხომ ფრთხები შეასხა ჩვენს ხალხურ შემოქმედებას.

ნ. ნოღაიდელის ნაშრომში

მთლიანად მოტანილია იმ მისასა-  
ლმებელი დეპეშის ტექსტი, რომე-  
ლიც თითქმის ნახევარი საუკუნის  
წინათ აჭარის ახალი წითელი მე-  
ჯლისის პირველი ყრილობის დე-  
ლეგატებმა გაუგზავნეს ვ. ი. ლენ-  
ინს. ხალხის რჩეულნი ოქტომბ-  
რის ბელადს ატყობინებენ, რომ  
იგი არჩეულია ყრილობის საპა-  
ტიო თავმჯდომარედ. ავტორი ამ-  
ბობს, ამ მოვლენამ მაშინვე ჰპო-  
ვაო ასახვა აჭარის ფოლკლორში,  
და იმოწმებს შემდეგ სტრიქონ-  
ებს:

შენ იცოცხლე, იდლეგრძელე,  
დიდო ლენინ,  
რომ შეგვხსენი ჩვენ მონობის  
ბორკილები,  
სამური ცხოვრება რომ გაგვიჩინე,  
ვეღარ გვჩაგრას ბეგბი და ოლები,  
ჩვენ აჭარის მშრომელებმა,  
დიდო ლენინ,  
ჩვენი კრების საპატიო თავმჯდომარედ  
აგირჩიეთ.

შემდეგშიც ცხოვრებისეული  
კონკრეტული მასალა, ადგილო-  
ბრივი სინამდვილიდან აღებული  
ფაქტი ხშირად გამხდარა ხალხურ  
მთქმელთა შთაგონების წყარო;  
ახალი საწარმოების, სკოლებისა  
და საავადმყოფოების, გზებისა და  
ხიდების მშენებლობას, სამეურ-  
ნეო და კულტურულ აღმავლობას,  
მშრომელთა კეთილდღეობის  
ზრდას, რაც ყველგან თვალწა-  
თლივ იგრძნობოდა, არაერთი პო-  
ეტური ნიჭით მომადლებული  
ადამიანი აუმღერებია.

ჩემს სიხარულს ვეღარ ვიტავ  
და ლექსებიც მისოვის მინდა,  
ლენინი რომ დაიბადა,  
ჩიგრულთა მზე ამობრწყინდა.

ამ სტრიქონების ავტორს ლექ-  
სი უნდა მაღალი გრძნობების,  
უზადო სიყვარულისა და სიხარუ-  
ლის გამოსახატავად, მშრომელ-  
თათვის ყველაზე ახლობელი და  
ძვირფასი ადამიანის საღიდე-  
ბლად.

საქართველოს მშრომელებშია  
იცოდნენ. რომ ლენინი დიდად  
იყო დაინტერესებული რესპუბ-  
ლიკის სამეურნეო და კულტურუ-  
ლი აღორძინებით. მათ გაგონილი  
ჰქონდათ ლენინის სიტყვები პარ-  
ტიის მეათე ყრილობის ტრიბუ-  
ნიდან: „წაიკითხეთ თუ არა გა-  
ზეთში, რომ იხსნება ბაქო—თბი-  
ლისის ნავთსადენი? თქვენ მალე  
წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთ-  
სადენი გაყვანილია ბათუმამდე“.

6. ნოლაიდელს მოაქვს ამიერ-  
კავკასიისა და, კერძოდ, საქართვე-  
ლოსადმი ვ. ი. ლენინის შეუნ-  
დებელი ყურადღების დამადა-  
სტურებელი ციტატები. პირველი  
სოციალისტური სახელმწიფოს  
მეთაური მოითხოვდა ჩვენი მდი-  
დარი მხარის საწარმოო ძალების  
განვითარებას, ელექტროფიკაცი-  
ისა და მორწყვის დიდი სამუშა-  
ოების დაწყებას, ამასთან ადგი-  
ლობრივი მოსახლეობის მიმართ  
განსაკუთრებით ფრთხილ დამო-  
კიდებულებას, მათი ინტერესების  
შელაცვის ყოველგვარი ცდის ალ-  
კვეთას; ასე რომ, ბელადისადმი  
მშრომელთა სიყვარული იყო კო-  
ნკრეტული, ცხოველმყოფელი  
გრძნობა, რომელიც ასევე ცხოვე-  
ლმყოფლად აისახა ხალხურ პო-  
ეზიაში.

არასოდეს ხალხის მწუხარება  
არ ყოფილა ისე მძიმე და გულში  
ჩამწვდომი, როგორც მაშინ, როცა  
გარდაიცვალა ვ. ი. ლენინი.

გარდაიცვალა ლენინი,  
ცრემლით მოირწყო მთა-ბარი,  
მდინარემ დენა შესწყვიტა,  
შეწყდა კლდეების ზანზარი.  
ბუნებაც მიხდა, აღარ გვყავს  
ოქტომბრის მთავარსარდალი.

დიდი გლოვის დღეებში ჩვენმა  
ხალხმა იშვიათი სიმტკიცე გამოი-  
ჩინა და დადო ურყევი ფიცი,  
მთელი გულით მიენდო ლენინის  
პარტიას. გავიხსენოთ მასობრივი  
შესვლა პარტიის რიგებში. საბჭო-  
თა ადამიანებს უნდოდათ, ამით  
როგორმე შეეცხოთ უდიდესი და-  
ნაკლისი. ხალხური მთქმელებიც  
თავიანთ ლექსებში მწუხარებას-  
თან ერთდ ძლიერად გამოხატავ-  
დნენ მასების ერთგულებას რევო-  
ლუციისადმი, ლენინის იდეებისა-  
დმი. ეს ლექსები ნაკარნახევი იყო  
ალალი გრძნობით და ხელს უწყ-  
ობდა პატრიოტიზმის გაღვივე-  
ბას, ნერგავდა ლენინური ტრადი-  
ციებისადმი ერთგულებას.

ყველა თაობას სოციალიზმისა  
და კომუნიზმის იდეალების გან-  
ხორციელებისათვის ყოველდღი-  
ურ ბრძოლაში თვალშინ უდგას.  
დიდი ლენინის სახე. „ლენინი  
იყო ჩემი პაპის თანამედროვე,  
ასევე ჩემი თანამედროვე, და იქ-  
ნება ჩემი შვილის თანამედრო-  
ვეც“. პოეტის ეს სიტყვები შეი-  
ძლება უფრო განვავრცოთ —  
ლენინი იქნება ყველა თაობის თა-

ნამედროვე. ხალხურ პოეზიაში  
სწორედ ასეა გაგებული ლენინის  
უკვდავება.

რევოლუციამდელი ხალხური  
ლექსები ეს არის ხალხის გენის  
უსახელო შემოქმედება. ლიტერა-  
ტურის ისტორია არ იცნობს ისე-  
თი ხალხური პოეტური შედევრე-  
ბის ავტორთა სახელებს. რომლე-  
ბიც გენიოსებსაც კი ანცვიფ-  
რებთ. სულ სხვა მდგომარეობა  
შეიქმნა რევოლუციის შემდეგ  
წერა-კითხვის მთლიანი მცოდნე-  
ობის, ზეპირსიტყვიერებისა და  
საერთოდ ხალხური შემოქმედე-  
ბისადმი მზრუნველი დამოკიდე-  
ბულების პირობებში. ასე, მაგა-  
ლითად, ნ. ნოღაიდელის მიერ ცი-  
ტირებული ყველა ლექსის ავტო-  
რი ცნობილია. ესენი არიან ხულ-  
ოელი ქიბარ კახაძე, ჩაქველი  
ამირან სურმანიძე, ქაქუთელი წა-  
ჭი გოგიტიძე, ციხისძირელი ხასან  
მახარაძე, ჭვანელი რეჯებ მუავა-  
ნაძე, აჭყვისთაველი ხასან ხაბაძე,  
ლორჯომელი ზეირალი ბახუნტა-  
რაძე, ლელველი ქამილ ტაკიძე,  
სარფელი მამია თანდილავა, მახ-  
ოელი სულეიმან ბერიძე და სხვე-  
ბი, წერა-კითხვის მცოდნენი, რო-  
მლებიც განიცდიან ლიტერატუ-  
რის გავლენას და ზოგჯერ ახდე-  
ნენ მხატვრული ლიტერატურის  
ფოლკლორიზაციას. მათი შემო-  
ქმედება ნ. ნოღაიდელის ნაშრო-  
მში განხილულია ეკონომიურად,  
კომპაქტურად, ნათლად. ნაშრომი,

რა თქმა უნდა, მოიგებდა, რომ ავტორს ხელთ ჰქონდა უკანას. — კნელი ათი წლის ფოლკლორული მასალებიც. ციტირებული ლექსები ამოღებულია ნაზი ნოღაიდელისვე წიგნიდან „აჭარული ზეპირსიტყვიერება“, რომელიც გამოიცა 1959 წელს. სამწუხაროდ, უურნალ-გაზეთებიც კი ამ წიგნში დაბეჭდილი ლექსების ხელახალი პუბლიკაციით გადიან ფონს.

ნაკლად მიგვაჩნია ხალხური პოეტური ლენინიანას ქრონილო-გიური ჩარჩოების მეტისმეტი გაფართოებაც. ბროშურის თითქმას ნახევარი დათმობილი აქვს შავ-ბნელ წარსულს—თურქ დამპყრობთა ბატონობას აჭარაში, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად აჭარის დაბრუნებას დედა-სამშობლო საქართველოსთან და სხვა მნიშვნელოვან, მაგრამ ლენინამდელ ისტორიულ ფაქტებს. მართალია, ლენინიანა

არ შეიძლება მარტო ლენინის პიროვნებით შემოვთარგლოთ, მაგრამ არც ის იქნებოდა სწორი, რომ ყველაფერი, რაც მისი იდე-ების ხორციშესხმასთან და გამარჯვებასთანაა დაკავშირებული, გამოგვეცხადებინა ლენინიანად.

— ხალხური პოეზია ზღაპრული ჭა არისო, ამბობდა ერთი გამოჩენილი ქართველი მქვლევარი, — რამდენიც არ უნდა აიღო წყალი, მაინც არაფერი აკლდებაო. ასეთივეა ამ პოეზიის ორგანული შემადგენელი ნაწილი—პოეტური ლენინიანა. იგი სულ უფრო მდიდრდება, განსაკუთრებით კი ახლა; როცა მთელი ჩვენი პლანეტა ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის იუბილესათვის.

ნაზი ნოღაიდელის ნაშრომი საიუბილეო ნობათია.

### პ. შანიძე

# ს ა ტ ი რ ი ს გ ა ხ ვ ი ლ ი თ

შოთა როიგა, „აიშონა-დაიშონა“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ვაჟა-ფშაველა ასე განსაზღვრა-  
 ვდა მწერლის ნიჭის ლირსებას:  
 „მწერლის ნიჭის შინაგანი ლირსე-  
 ბა... ისაა, თუ რა მოვლენანი გაუ-  
 ხდია მას თავისი მწერლობის საგ-  
 ნად და რა ლირებულებისაა ეს  
 მოვლენანი, რამდენად დამოკიდე-  
 ბულია ამ მოვლენებზე ბედი და  
 უბედობა, სიავე და სიკეთე აღა-  
 მიანთა სიცოცხლისა, ცხოვრები-  
 სა, და რამდენად ცხოვლად, ნათ-  
 ლად, მყაფიოდ, ძლიერად გვიხა-  
 ტავს ამ მოვლენათ, რამდენად აგ-  
 ვიტაცებს, გვიმორჩილებს მისი  
 ნაწერები... ყველა ეს კი დამოკი-  
 დებულია იმაზე, თუ მწერალი  
 რამდენად ღრმადაა ჩახედული  
 ცხოვრებაში, რამდენად ესმის სა-  
 ჭირბოროტო კითხვები ამ ცხოვ-  
 რებისა და რამდენად ძლიერად  
 იგრძნობა მათი მავნებლობა თუ  
 სარგებლობა“ („ვაჟა - ფშაველა  
 ლიტერატურისა და ხელოვნების  
 შესახებ“, 1967. გვ. 168).

მწერალს ღრმად აქვს გაცნობი-  
 ერებული თავისი ქვეყნის საჭირო-

ებანი და ეპოქის მოთხოვნილება-  
 ნი. შოთა რუსთველს არანაკლე-  
 ბად გაეგებოდა ჩვენი ქვეყნის  
 მაშინდელი სასიცოცხლო ინტე-  
 რესები, ვიდრე თამარ მეფეს.

საბჭოთა მწერალი კარგად უნ-  
 და ერკვეოდეს ჩვენი პარტიისა  
 და მთავრობის ამოცანებში და ეხ-  
 მარებოდეს მას ამ ამოცანების  
 შესრულებაში.

სწორედ ამ თვალსაზრისით შე-  
 ვეხებით შოთა როიგას უკანასკნე-  
 ლი პერიოდის შემოქმედებას.

შოთა როიგას ახასიათებს აქ-  
 ტუალური თემების შერჩევის  
 უნარი. მისი პოეტური ნიჭი კარ-  
 გად აგნებს ახალ, საინტერესო  
 თემებს. ამას ცხადყოფს სარე-  
 ცენზო წიგნი „აიშონა-დაიშონა“. მასში მრავალი ნაწარმოებია შე-  
 ტანილი. ყველა მათგანის განხილ-  
 ვა აქ შეუძლებელია. მხოლოდ  
 ზოგიერთზე შევჩერდებით. პირ-  
 ველ რიგში უნდა დავასახელოთ  
 ის განყოფილება, რომელსაც  
 ეწოდება „აიშონა-დაიშონა“. აც

ნაწილის სათაური ავტორს წიგნის  
სახელშოდებად გამოუტანია. ეს,  
რასაკირველია, არ არის იშვიათი  
მოქლენა, მსგავსი შემთხვევა სხვა  
მუქრლებთანაც გვჩვდება, მაგრამ  
ამ მომენტზე ყურადღებას იმი-  
ტომ ვამახვილებთ, რომ აქ მოქმე-  
დებს ერთი მტკიცე წესი: ამ ნა-  
წილში კონდენსირებული უნდა  
იყოს მთელი წიგნის იდეური ში-  
ნაარსი. ჩვენი აზრით, ამ მხრი-  
ვაც, წიგნის საერთო იდეური გა-  
აზრება გამართლებულია. განკო-  
ფილებაში „აიწონა-დაიწონა“ აღ-  
წერილია რევიზიის პროცესი. კო-  
ლმეურნეობის თავმჯდომარესთან  
მოდის საწარმოო სამმართველოს  
რევიზორი გვარად გოჭიაშვილი.  
აქვე გამოჩნდებიან სხვა რევიზო-  
რებიც — ყლაპიაშვილი, ცოხნი-  
აშვილი და სხვები. როგორც ჩანს,  
ეს არის ნიღაბ-გვარები. ასეთი  
გვარების გამოყენება ჩვეულებ-  
რივი მოვლენა იყო კლასიკურ  
ლიტერატურაში. მათი გამოყენე-  
ბა ახლაც შეიძლება, თუ იგი ახა-  
ლი სიტუაციის შესაბამისი იქნება.

გოჭიაშვილი მეღორეობის მე-  
ურნეობის შესამოწმებლად მო-  
სულა, მაგრამ ამ დარგის მას არა-  
ფერი გაეგება და ქარაფშუტულ  
კითხვებს სვამს.

რევიზორი — ო, როგორ მომე-  
წონა თქვენი სოფელი! ჩა შესა-  
ნიშნავი ბუნებაა!

გრამიტონი — კი, ბატონო...  
რევიზორებს ძალიან მოვწონ-  
ვართ.

რევიზორი — მაინტერესებს,  
როგორია თქვენთან ღორის ფერ-

მის მაჩვენებლები... რითი კვე-  
ბავთ ღორის? როგორია წველადო-  
ბა?

გრამიტონი — ღორის წველა-  
დობა, ბატონო?!  
რევიზორი — ტო ესტ, ხორცა-  
დობა!

ავტორი მკაფიოდ, თვალნათ-  
ლივ აჩვენებს, რომ ასეთი არამკი-  
თხე რევიზორებია კოლმეურნეო-  
ბის დოკლათს რომ ანიავებენ. შე-  
მოწმება თავისთავად ცუდი რო-  
დია, პირიქით, დროული და ობი-  
ექტური რევიზია ერთობ საჭი-  
რო და აუცილებელია, მაგრამ და-  
საგმობია ისეთი რევიზორები,  
როგორიც დიდმა რუსმა მწერალ-  
მა გოგოლმა დაგვიხატა; ისინი  
ხომ პიროვნებას — სასაფლაოზე  
უცდიდნენ და იქ იწყებლნენ მიც-  
ვალებულის შემოწმებას, მაგრამ  
მკვდარს რა მოეკითხება და ასეთ  
რევიზიას ჩაღა მნიშვნელობა  
აქვს.

წიგნში მხილებულია ჩაის პუნ-  
ქტის — მუშაკების თაღლითობა,  
თვალთმაქცობა. ესენი არიან ტი-  
ტიკო და ნიტიფო, რომლებიც წო-  
ნაში ატყუებენ სამსონს. მაგრამ  
ისინი დაუსჯელი არ ჩჩებიან. ავ-  
ტორის სასახელოდ უნდა ითქვას,  
რომ იგი სოციალურ გარემოში  
აღმოაჩენს ხოლმე ისეთ ცოცხალ  
— პროგრესულ ძალებს, რომლე-  
ბიც ანგარიშს უსწორებენ ამ მა-  
ვნე საწყისებს და დროულად ასა-  
მართლებენ მათ.

სამსონა — საღ გარბიხარ... ახ-  
ლა შეგეშინდა?

ტიტიკო — ნიანგის ჩანგალზე

ამიყვანე, სამსონა ხომ?

**ქალი** — აბა, ერთი სასწორი  
შევამოწმოთ!

**სამსონა** — წამობრძანდი ბა-  
ტონო, აგერაა მაგათი მრუდე სას-  
წორი: აიწონა-დაიწონაო მღერო-  
დნენ...

**კაცი** — „აიწონა-დაიწონა“ კა-  
რგია. ფელეტონის სათაური  
გვაქვს.

მართლაც „ნიანგის“ წარმომად-  
გენელი ამხელს ამ თაღლითებს.  
რევიზორმა მათ სასაფლაოზე მი-  
ტანამდე მიუსწრო, ბოროტების  
ჩადენის დროს ამხილა ისინი.

ამ ნაწარმოებში მწერალი მოხ-  
დენილად იყენებს დიალოგს. მი-  
სი დიალოგები ბუნებრივია, სხარ-  
ტი, კონკრეტული. მოვიტანთ ამის  
ერთ მაგალითს. პატარა სცენაში,  
რომელსაც ეწოდება „ძაღლი, ნი-  
კიფორე და აფრასიონი“, გვხვდე-  
ბა ასეთი ლაკონური დიალოგი:

**ნიკიფორე** — ამბობენ, კაცო,  
მექრთამის აღმომჩენი ძალლი გა-  
უწვრთნიათო... მოვა თურმე,  
ერთს დაყნოსავს და თუ გასვრი-  
ლი ხარ, გათავდა შენი საქმე!

**აფრასიონი** — რას ამბობ, კა-  
ცო?

**ნიკიფორე** — კაცთან რაღაცას  
ქე გააწყობ კაცი, მარა ძალლთან  
რა საერთო უნდა გამონახო!

**აფრასიონი** — დავიღუპეთ და  
ეგ არის... ღმერთმა ნუ ქნას მათი  
ძალლი ჩვენს სამმართველოში  
შემოუშვან.

შოთა როყვა ცნობილია თავი-  
სი ლირიკული ნაწარმოებებით.  
მას ლექსებს ის თავისებურებაც

ახასიათებს, რომ ისინი ფაბულია-  
ნია. მისი ლირიკული გმირი ჩა-  
თულია საზოგადოებრივ საქმია-  
ნობაში. დავასახელებთ „ამისკარაშ-  
დენიმე მაგალითს სარეცენზიო  
წიგნიდან. აქვე შევნიშნავთ, რომ  
ყველა მათგანი იუმორისტულ-სა-  
ტირული ხასიათისაა. აი, მაგალი-  
თად, „ათანასეს ლექცია“. ლი-  
რიკული პერსონაჟი თავგამოდე-  
ბით ებრძვის ლოთობას.

რამდენია, მაგალითად,  
აიღებს და გადაჰქიცეს,  
ოჯახს ანგრევს,  
წესრიგს არღვევს,  
კაცის სახეს დაკარგავს.  
რამდენია, მაგალითად,  
რომ ზედმეტად შეტოპავს...  
აი, ასეთ შემთხვევებზე  
ჰქონდა ლექტორს მსჯელობა...  
ნათევამს მტკიცე ძალა მისცა,  
რეპლიკებიც მოთოვა,  
სიტყვიერად დაგვიმტკიცა,  
რომ მავნეა ლოთობა.

მაგრამ ასეთი ორატორი ლექ-  
ტორი, რომელსაც ჰქონდა იშვია-  
თი უნარი „რეპლიკის მოთოვი-  
სა“, ბოლოს თვითონ მოითოვა  
ღვინით. ერთხელ იგი ნახეს ტა-  
ლახში ამოსვრილი. იფიქრეს,  
„ღორიაო, მაგრამ არა, ღორს რაღ  
უნდა ჰალსტუხი?“.

წავიღოთო... ხელით არა,  
მოიტანეს ფიცარი  
და ტალახით გალაფული  
ათანასე ვიცანით.

ჭერ ხომ სიტყვით გვიქადაგა,  
ენაც ვეღარ მოთოვა,  
ბოლოს საქმით დაგვიმტკიცა,  
რომ მავნეა ლოთობა.

ასევე საყურადღებოა ლექსი  
„ხათაბალა“. მისი მოქმედი პირია

კალისტრატე მოლარე, რომელმაც  
ერთხელ დაწესებულებაში

რაღაცნაირად დასვა კითხვა

მთლად ეჭვიანი,

— ჩვენს შორის დარჩეს და  
სამართველოში ახლა ვინ არი  
კაცი ყველაზე უფრო ჭირიანი?

ეს საჩოთირო კითხვა გაიგეს

და კალისტრატე მოხსნეს. შემდეგ  
მისი აღდგენა არ მოხერხდა. გულ-  
დაწყვეტილი კალისტრატე ამ-  
ბობს, „ მაგრამ სულელი მე ყვი-  
ფილვარ ყველაზე მეტი, რომ ამ  
ჩემს ენას ვერ მოვუარე“.

ჩვენი აზრით, აქ ავტორი მეტად  
მუქი სალებავებით ხატავს სინამ-  
დვილეს, რაც არ შეიძლება გამა-  
რთლებულად ჩაითვალოს. ამჯე-  
რად არ ჩანს პოეტის ის პარტი-  
ული მიდგომა, რაც ასე დამახა-  
სიათებელია ავტორის სხვა ლექ-  
სებისათვის, საღაც თავს იჩენს  
პროგრესული ძალა და ამარცებს  
ბოროტებას. ავტორის სხვა ლექ-  
სები: „ეზოში ავი ძალლია“, „და-

თვი და მგელი“, „ქოლგა-ვოლგა“,  
„მიეთითა“ და სხვა იუმორის-  
ტულ-სატირული ლექსები დაუნ-  
დობლად ამხელენ ყალბის მქნეა  
ლებს, ხორცმეტებს, და უნდა ით-  
ქვას, რომ აქ შ. როყვას სატირა-  
ერთობ მახვილია.

დღეს მოხდება, ხვალ მოხდება, —  
თქმა წინასწარ გვეძნელება;  
მაგრამ ქოლგა ქოლგა და  
„ვოლგად“ რატომ ეჩვენებათ!

ავტორის სამართლიანი დასკვ-  
ნით ყველამ კარგად უნდა იცო-  
დეს, რომ უკანონოდ შეძენილი  
ქონება, უშრომლად მოხვეჭილი  
ფული აღამიანს არ შერჩება და  
როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე  
ამბობს: „ყველა კაი წარუვალს,  
განელევის რაცა ჰქონდა პოვნილ  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით  
და ხვეჭით“.

ელ. ჩავლივაშვილი





ა ლ უ კ ს ა ნ დ რ ა ს ა მ ს ი ნ ი ს


# პ რ ტ ე ქ ც ი ა

ა ნ უ ე რ თ ი ა მ გ ა ვ ი ხ ე თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა რ

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

კაბინეტი. ტელეფონი. მაგიდა, სკამი და აშ სკამის პატრონი დიმიტრი, შემოდიან ქალი და ბიჭი.

- სალამი პატივცემულო დიმიტრი, როგორ ბრძანდებით, როგორ გიყითხოთ?
- გმადლობა, არა მიშავს...
- ეს ჩემი ბიჭი გახლავთ, სკოლას წელს ამთავრებს... მიდი, შვილო, ბიძიას ხელი ჩამოართვო.
- სალამი ჩემო ბიძიკო, როგორაა სწავლის საქმე? (დიმიტრი ხელს ართმევს და ულიმის).
- სწავლას ჯერ არა უშავს, ბოლოს თუ გაგვიმართლა (ახლაც და შემდეგში შვილის მაგივრად დედა ლაპარაკობს).
- ძალიან სასიამოვნოა... (სინამდვილეში დიმიტრის უსიამოვნო გრძნობა იპყრობს).
- სხვა, ბატონო დიმიტრი, ოჯახში როგორ ბრძანდებით, ნათელა ხომ კარგადა?
- გმადლობთ, არა გვიშავს.
- ღმერთო, მომკალი... მგონი, ვერ მიცანით... მე....
- ოთ როგორ არა, ვიცნით, თქვენ... (დიმიტრი ოფლს იწმენდს).
- მე თქვენი მეუღლის ამხანაგი ვარ, სკოლა ერთად დავამთავრეთ. არ გახსოვთ, თქვენს ქორწილში ქალთა თამაღდე რომ დამნიშნეს და თქვენი სადღეგრძელო ყანწია რომ დავლიე?
- გამახსენდა, გამახსენდა..
- ასეა, ჩემო ბატონო, ძველ მეგობრებს ასე ადვილად ვივიწყებთ.
- დამნაშავე ვარ და მაპატიეთ („რაღაც ძალიან შორიდან დაიშუო ამ ქალმა“, — ფიქრობს დიმიტრი).
- თქვენზე მეტი დამნაშავე მე ვარ... ერთ ქალაქში ვცხოვრობთ და ასე როგორ უნდა დავკარგოთ ერთმანეთი.

- ნამდვილად არ უნდა დავკარგოთ... („ბოლოსდაბოლოს არ იტყვი, რა გინდა?“)  
 — ბრაზობს დიმიტრი).
- როდესაც გაიგებთ, რაზე შეგაწუხეთ, გაგიკვირდებათ სწორედ...   
 — როგორ გევადრებათ! („ნამდვილად ბინის მიღება უნდა“).   
 — ჩემი ბიჭი რომ წელს სკოლას ამთავრებს, მაგი უკვე გითხარით, მკონია.  
 — მოგსწრებიათ უფაცი და ისაა („დავილუპე უმაღლესში მოწყობას მოხვეს“).  
 — მაგის ვაკეაცობა საინინროზე რომ დაჯდება, მაშინ ვიკითხოთ..  
 — ძნელი კია... წელს გამოცდებს მანქანა იბარებს. ლექტორებს თურმე სათო-  
 უდ არ იკარაბენ.  
 — მაგის საპროტექციოდ კი არ მოვსულვარ თქვენთან, სხვა რამეზე მინდა შეგაწუხოთ.  
 — („აგაშენა ღმერთმა!“) შეწუხება რას ქვია, ქალბატონო...  
 — ქეთევანი, ბატონო.  
 — დიახ იმას ვამბობდი, პატიცემულო ქეთევან, არა ხართ მართალი... უნდა შევაწუ-  
 ხოთ ერთმანეთი, დავეხმაროთ კიდევ... ადამიანი ადამიანის მეგობარი მარტო სუფრაზე  
 კი არ უნდა იყოს!
- ასეთი სიტყვების შემდეგ, ბატონო დიმიტრი, გავბედავ და სათქმელს პირდაპირ  
 მოგახსენებთ.
- ბრძანეთ („მაგას ნამდვილად ბინა უნდა“).  
 — გაჭირვებით კი გაგიჭირდებათ, მაგრამ ათასი ნაცნობი გყავთ და აუცილებლად  
 უნდა დამეხმაროთ.  
 — თუკი შესაძლებელია... („ახლა მეტყვის სამსახურში მომაწყვეო“).  
 — თქვენთვის შეუძლებელი არაფერია.  
 — ხომ გითხარით, შევეცდები-მეთქი („ღმერთო, რა შეგცოდე!“).  
 — რომ ვერ მიშოვოთ, მაინც მადლობელი ვიქნები.  
 — მითხარით, ბოლოსდაბოლოს, რა უნდა გიშოვნოთ, ქალბატონო ქეთევან?  
 — უცხო სიტყვათა ლექსიკონი!  
 — რა ბრძანეთ?? (დიმიტრი წყალსაც სვამს და ოფლსაც იწმენდს).  
 — უცხო სიტყვათა ლექსიკონი-მეთქი, ასე არ ჰქვია, შვილო? (შვილი თავს უქნევს).  
 — სხვა არაფერი გნებავთ?  
 — არც მაგაზე შეგაწუხებდით, მაგრამ ძალიან ცოტა გამოუშვიათ და ერთი ამბავია  
 ატეხილი. სკოლაში დამრიგებელს უთქვას ჩემი ბიჭისათვის, მაგ წიგნს თუ ვერ იშოვ-  
 ნი, მაშინ....
- რა მაშინო?
- დამრიგებელი რომ ამას გეტყვის, დანარჩენი შენ უნდა მიხვდე.  
 — ჰოდა, ცოტა ჭეუით იყოს მაგი თქვენი დამრიგებელი!  
 — საჩივლელად კი არ მოვსულვარ თქვენთან, წიგნისთვის შეგაწუხეო.  
 — გიშოვნით, ქალბატონო ქეთევან, სიტყვას გაძლევთ.  
 — ისე თქვენ გაიხარეთ ქვეყანაზე, როგორც მე ახლა გამახარეთ... აბა იმე-  
 დი მქონდეს?  
 — იმედი კი არა წიგნი გექნებათ. დღეს ოთხშაბათია, არა? პარასკევს მობრ-  
 ძანდით და წაიღეთ.  
 — ასე უცებ გაგიჭირდებათ შოვნა, ჯობს ორშაბათს მოვალ.  
 — როგორც გენებოთ.  
 (ქალისა და ბიჭის წასვლის შემდეგ დიმიტრი ტელეფონს კრეფს)

- ალო, შერაბი ხარ?
- კი ვარ, გაგახსენდი?
- რას შვრებით, სახლში როგორა ხართ?
- მობრძანდი და გაიგებ.
- ერთი სათხოვარი მაქვს.
- შენ რომ ჩემთვის რკო არ მოგიცია?
- გაგიყეთებ მაგ საქმეს, ოღონდ...
- ახლა არ მითხრა, სამედიცინზე კაცი მომიწყვეო.
- წიგნი მინდა, მეტი არაფერი, უცხო სიტყვათა ლექსიკონს ვერ მიშოვნი?
- შენ რა, დისერტაციის წერა ხომ არ დაგიწყია?
- მიშოვნი თუ არა?
- მაგას კი არა, მატარებლის ბილეთს ვიშოვნი ამ სიცხეში.... არ გრცხვენია შენ! შვალ დამირეკე (გახარებული დიმიტრი ქუჩაში მიმავალ ქალებს უყურებს).

### მოქმედება მეორე

ისევ დიმიტრი და ტელეფონი.

- მერაბ, დიმიტრი ვარ მე...
- უცხო სიტყვათა ლექსიკონი, არა? იმხელა კაცი შემპირდა, რომ ასეთ პატარა საქმეზე შესაწუხებლად არ ლირდა... ხვალისთვის დარეკვაც არ გინდა, მოდი და წაილე. (დიმიტრი ისევ ქუჩაში იცქირება, მაგრამ ქალები არ ჩანან).

### მოქმედება მესამე

დიმიტრის კაბინეტში ტელეფონი რეკავს.

- მერაბი ვარ. შენ წიგნს ხუთი კაცი ეძებს, ბოლოსდაბოლოს ვიშოვნით და ისაა! დიმიტრი ქუჩაში ალარ იცქირება, საღაც, შესყდლოა, ქალები დაღიოღნენ).

### მოქმედება მეოთხე

დიმიტრის კაბინეტში სათვალებიანი უცნობი დგას.

- ბოდიში, დიმიტრი ლუკიჩი თქვენ ბრძანდებით?
- დაახ.
- მე ვარლამ ნიკოლაევიჩმა გამომგზავნა თქვენთან.... ერთი სათხოვარი მაქვს.
- ვარლამ ნიკოლაევიჩისაგან დიდად დავალებული ვარ.... ბრძანეთ.
- უცხო სიტყვათა ლექსიკონს ვერ მიშოვნით? (დიმიტრის ისეთი ფერი დაედებს სახეზე, რომ სტუმარი ფიქრობს, გული წაუვიდაო და წყალს დაალევინებს).
- მაშ უცხო სიტყვათა ლექსიკონს ეძებთ?
- ბოდიში, არ მევონა, ასე თუ შეგაწუხებდით... სხვა ღროს გამოვივლი.
- თუ კაცი ხარ, მითხარი, შენთვის გინდა ეს წიგნი?
- არა. მე გივი ივანიჩს შევპირდი, გიშოვნი მეთქი, გივი ივანიჩი კარლო ლევა-ნიჩს შეპირებია, კარლო ლევანიჩისათვის კი მერაბ ყაისაროვიჩს უთქვამს....
- ჰოდა, მერაბ ყაისაროვიჩი მე შემპირდა, უცხო სიტყვათა ლექსიკონს ვიშოვნიო (წყალს ახლა სტუმარი სვამს).

— პატივცემულო დიმიტრი, მე ქეთევანი ვარ... ერთი კვირაა დავდივარ და თქვენ-  
თან შემოსული ვერ მოვახერხე.

— პირდაპირ გეტივით, პატივცემულო ქეთევან, ვერც მე მოვახერხე თქვენი წიგ-  
ნის შოვნა. ამ ქალაქში ხალხს ვიცნობდი მეგონა და... სხვა რამ დაგევალებინათ ჯობ-  
და, უცხო სიტყვათა ლექსიკონი კი...

(ქეთევანი წიგნს აძლევს)

— ინებეთ, პატივცემულო დიმიტრი, ერთი ცალი თქვენთვისაც წამოვილე, ზველა  
მაღაზიაში იყიდება.

— მაღაზიაში იყიდებათ?

(გაოგნებული დიმიტრი, აღარც წყალს სვამს).

— გამაბრიყვეს, უშოვნელი რამეა, თურმე რამდენიც გინდა, თაროზე აწყვია...  
ტყვილად შეგაწუხეთ, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ, ღმერთმა საპროტექციო არა-  
ფერი გაგიჭირვოთ.



## გ ი ნ კ ა რ ს ი

1. ვარშავიძე — დიდება შენდა (ლექსი)	3	10. აგებარიშვილი — სულმდა- ბლობა (მოთხრობა. ინგლისუ- რიდან თარგმნა თ. ფარე- შვილმა)	51
2. გეაგიძე — შენ დამილოცე (ლექსი)	4	11. ზობე — ლექსები	58
3. ხალვაში — და ხდება ასეც (ლექსი)	5	12. ჩხარტიშვილი — მინატუ- რები	59
4. გორგილაძე — მაჩვენეთ (ლექსი)	6	13. გეგერიაძე — ლექსები	60
5. რობერტ — პოეტი (ლექსი)	7		
6. ჭათებაური — გემი „რუს- თაველი“ ბათუმის ნავსალ- გურში (ლექსი)	10	<b>ლენინიანა</b>	
7. ლორიძე — მისი ნამბობი (მოთხრობა. დასასრული)	11	14. გიგილეიშვილი — უცველა პოეტის უმღერის ჩანგი	61
8. მალაზონიძე — ცა და მწვერვალი (ლექსი)	29	15. აპარის წარსულიდან	
9. მოდებაძე — მამის კერა (მოთხრობა)	30	16. ხარაჯი — ქობულეთი	62
10. სალუქმაძე — ფიქრი (ლექსი)	39	17. ჩავლეიშვილი, ი. ბერი- რიშვილი — აგარის ეკლესიის საუნდე	71
11. ჰაბულიძე — „პოსეიდონი“ (მოთხრობა)	92	<b>ჭიგის თარო</b>	
12. ართილაშვილი — მწიფობისთვე (ლექსი)	50	18. ჟანიძე — ალალნათქვამი	81
		19. ჩავლეიშვილი — სატირის მახვილით	
		20. სატირა და იუმორი	
		21. სამხრიძე — პროტექცია (მოთხრობა)	

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/X, 1969 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი,  
შეკვეთის № 4266 ემ 00814, ქალალის ზომა 60×90, ტირაჟი 1.800.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს <sup>\*</sup> ბეჭედვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიტიკური ფრენვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის 22).

1·2/2 - 53270

ЗАМЕЧАНИЯ  
ВО ВСТАНОВЛЕНИИ

3560 40 553.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературали Аджара“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИНДЕКС 78118